ა. ყამარაული

ხევსურეთი

სახელგამი

ალ. იაკ. ყამარაული

ხევსურეთი

ნარკვევი

29406

საქ. ს. მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა-ბუნებრივი კაბინეტ Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

საახალგაზრდა გამომცემლობა
ტფილისი 1932

კორექტორი
გამომშვები } ს. ლორთქიფანიძე.

გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა
კამოს ქუჩა, № 68
შეკ. № 579
მთ. 837
ტირაჟი
3000

ავტორისაგან

ხევსურებს დიდი ხანია ვიცნობ.

შვიდი წლისა ვიქნებოდი, როდესაც დედაჩემმა პირველად წაშიყვანა ხევსურეთის სოფელ **ჯუთაში**.

ეს სოფელი ჩვენი სოფლიდან (კარკუჩიდან) 10-12 კილომეტრით იქნება დაშორებული.

მახსოვს, რომ გაგვიმასპინძლდნენ კარაქით, ყველით, რძითა და პურით.

იმ დღიდან დაიწყო ჩემი ნაცნობობა ხევსურებთან. მას მერე ჩვენს ოჯახშიაც ხშირად ვხვდებოდი მათ. მამაჩემთან ჩამოდიოდნენ, როგორც ს. ჯუთიდან, ისე შატილიდან, როშკიდან თუ ბარისახოს მიდამოებიდან. მამაჩემს მათში დიდი ნაცნობობა ჰქონდა და მათ შორის „**ძმადნაფიციც**" ბევრი ჰყავდა.

სულგანაბული, გულისყურით და ხალისიანად ვისმენდი მათს ნაამბობს ხევსურეთის წარსული ცხოვრებიდან, მტრის შემოსევის ამბებს ხევსურეთის ჩრდილოეთიდან თუ ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, მათი მოგერიების ამბავს, ხევსურების თავგანწირულ გმირობას, სიჩაუქე ვაჟკაცობას.

ამ ამბებში გამოკრთოდა ხევსურების იშვიათი გულოვანობა, სიგმირე და თავდადება.

ხევსურების შესახებ მამა-ჩემმაც (იაკობ დავითის-ძემ) ბევრი რამ იცოდა. მას ხშირად გაუზიარებია ჩვენთვის,—თავისი ბავშვებისათვის,—ფანდურზე დაკვრა-დამღერებით ხევსურების ძველებური სიმღერები, მათი გმირობისა და გულადობის შესახებ მტერთან ბრძოლაში.

ამ თემმა ასე ღრმად დამაინტერესა სიყრმიდანვე და მენატრებოდა უფრო დაახლოვებით გავცნობოდი მათ, მაგრამ ჩემი მისწრაფება დიდხანს განუხორციელებელი დარჩა. მხოლოდ 1927 წელს მომეცა შემთხვევა ექსპედიციას გავყოლოდი ხევსურეთში. გადავწყვიტე, ჩემი ძალღონის დაგვარად,, რაძდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, გავცნობოდი ხევსურების ყოფა-ცხოვრებას, მათს ადათ-ჩვეულებებს.

პირადი დაკვირვებისა და ადგილობრივ ხევსურების გამოკითხვის გარდა, მათი ზნე-ჩვეულების გასაცნობად ვსარგებლობდი აგრეთვე ხევსურეთის შესახებ არსებულ ლიტერატურით.

ამ მხრივ უფრო საგულისხმოა და ყინამდვილესაც სავსებით შეეფერება ბეჭდვითი სახით გამოქვეყნებული მასალები: **პოეტ რაფიელ ერისთავისა, ნ. ურბნელისა** (ნიკო ხიზანაშვილისა), **რადდესისა, გურკა-კნიაჟინისა, ს. მაკალათიასი და პროფ. ა. შანიძისა.**

ამ მასალებს შორის უფრო ძვირფასი მასალები პირველ სამ ავტორს და განსაკუთრებით პროფ. ა. შანიძეს ეკუთვნის.

როგორც ხედავთ, ხევსურების შესახებ ლიტერატურა მაინც მოგვეპოვება, მაგრამ ეს კუთხე ჯერ კიდევ საკმაოდ არაა შესწავლილი და გაგებული.

ამისათვის ხევსურეთის საფუძვლიან შესწავლას უდიდესი და სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც საქართველოს, ისე საბჭოთა სამეცნიერო ძალებმა და ორგანიზაციებმა.

ეს კუთხე ჩამორჩენილია, კულტურას მოკლებულია; მას არ გააჩნია მიმოსვლის გზები, არ მოეპოვება საკმარისი სკოლები, საავადმყოფოები და საერთოდ ყოვლად ღატაკია რაიმე კულტურული დაწესებულებების მხრივ.

ხევსურეთი ჯერ კიდევ თითქმის პირველყოფილ მდგომარეობაში იმყოფება, იგი ჯერ კიდევ სიბნელითაა მოცული და მისი კულტურული დონის ასამაღლებლად საჭიროა კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციების თავგამოდებული და გულმოდგინე მუშაობა.

სასურველად დამრჩებოდა თუ ეს ჩემი მცირე ნარკვევი მოწოდების მძლავრ ხმად გაისმებოდა, რათა უაღრესად ხელი შეეწყოს და წარმატებით წარიმართოს ხევსურეთში კულტურული რევოლიუცია.

დაბოლოს არ შემიძლია უგულითადესი და უგულწრფელესი მადლობა არ გამოვუცხადო იმ პატივცემულ ხევსურებს, რომელთაც ნამდვილი, უტყუარი ცნობები გამიზიარეს ხევსურების ზნე-ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. ეს პირები არიან: მიხა ოჩიაური, ტუჩა ქეთელაური, აბიკა ჯაბუშანური, ალექსი ოჩიაური, ლადო ბალიაური, ნინო წიკლაური, ძმანი გაბო და ერასტი ბალიაურები.

თავი პირველი

გეოგრაფიული მდებარეობა

ხევსურეთი მაღალი, მთაგორიანი კუთხეა. მისი საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1600 მეტრს აღწევს.

ხევსურეთი მდებარეობს კავკასიონის მთაგრეხილის ორსავ კალთაზე მდ. **თერგის** (ასსა) და **არგუნის** სათავეში, ხევსურეთის არაგვისა და მისი ტოტების ხეობებში.

ხევსურეთს ჩრდილოეთით საზღვრავს ქისტეთ-ინგუშეთი (ღლილო), სამხრეთ-აღმოსავლეთით—ჩაჩნეთი, აღმოსავლეთით—თუშეთი, სამხრეთით—ფშავეთი, დასავლეთით—ხევი და გუდამაყარი.

ხევსურეთის უმთავრესი და უდიდესი ნაწილი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთობებზე მდებარეობს და **პირაქეთი ხევსურეთი** ეწოდება. მისი მეორე ნაწილი კი, რომელსაც იმავე მთაგრეხილის ჩრდილო ფერდობები უჭირავს, **პირიქითი ხევსურეთი** ეწოდება.

პირაქეთი ხევსურეთი მდებარეობს ხევსურეთის არაგვის მისადევარზე. მის ფარგლებში შედის შემდეგი ხეობები: **გორ-შელმის-წყალი, ხახმატის-წყალი, ბლოს-წყალი** და **ქმოსტ-როშკის-წყალი.** ეს წყლები ერთმანეთს ერთვიან და შეადგენენ ხევსურეთის არაგვს, რომელსაც ქვედა მდინარეობაში გზადაგზა ერთვის—მარჯვენა მხრიდან ოხერხევდს წყალი, მარცხენა მხრიდან კი—ლიქოკისა და აქუშურას წყალი,

ბარისახოდან 8 კილომეტრის მანძილზე მდ. ხევსურეთის არაგვის დასწვრივ მდებარეობს **ორწყალის** მიდამოები, რომელიც პირაქეთი ხევსურეთის კარიბჭეს წარმოადგენს. აქ ხევსურეთის არაგვი უკანა ფშავის წყალს უერთდება და მის ქვემომდინარეობას ფშავის არაგვი ეწოდება.

კავკასიის მთაგრეხილიდან გამოზიდული ქედი ორ ნაწილად ჰყოფს პირაქეთ ხევსურეთს, ერთს ეწოდება **არხოტი,** მეორეს—**პირიქითი** ანუ **მთას იქითი.**

არხოტი მდებარეობს მდ. არხოტის წყლის ნაპირებზე. ეს მდინარე შემდგომ ქისტეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე მიმდინარეობს და მას იქ ეწოდება მდინარე **ასსა.**

არხოტის წყალს მარჯვნიდან ერთვის: **კოლოთანის წყალი**, **თანნიის წყალი** და **ბისნის წყალი**, მარცხენა მხრიდან—**ველკეთილის** და **თერგის წყალი**.

თერგის წყლის შესართავს ქვემოთ მდებარეობს ეგრედ წოდებული **ოჯახის სათიბე**. აქაა მიჯნა არხოტსა და ქისტეთ-ინგუშეთს შორის.

მთასიქითი (პირიქითი) მდებარეობს მდინარე შატილისა და მილმახევის ხეობებში. მილმახევი შემდგომ მიმდინარეობს ჩაჩნეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მას იქ ეწოდება მდ. **არგუნი**. მდ. შატილსა და მილმახევის შესართავთან მდებარეობს **ალაყოს გორი**. ესაა საზღვარი პირიქით ხევსურეთსა და ჩაჩნეთს შორის.

ბ უ ნ ე ბ ა. როგორც მოგახსენეთ, ხევსურეთი მთაგორიანი ადგილია. იქ ველები სრულებით არ მოიპოვება. ერთადერთი ვაკე მდებარეობს მხოლოდ იქ, სადაც მდ. არაგვის ვიწრო კალაპოტი ოდნავ სიგანეზე იწევს ბარისახოს მახლობლად და პატარა ველს ემსგავსება. ამ ადგილის სიგრძე $^3/_4$ კილომეტრი იქნება, სიგანე—რამდენიმე ათეული მეტრი. ამ ადგილს ეწოდება **ყორშა**.

ჩვეულებად არის გადაქცეული, რომ ამ მინდორს ყოველი ცხენოსანი ჭენებით გაივლის ხოლმე, რადგან ხევსურეთში ამაზე უკეთესი საჯირითო ადგილი არსად მოიპოვება. მხედარი ერთს მაინც გაინავარდებს ხოლმე.

პირაქეთ ხევსურეთში სალკლდოვანი ადგილები შედარებით ნაკლებად არის. აქ მთის კალთობები მკვეთრად როდია ჩამოკვეთილი და დაქანებული, როგორც პირიქით ხევსურეთში. აქ საუცხოვო იალაღები და სათიბი ადგილებია. ამ მიდამოს არ ეკარება უდნობი ყინულეთი და ზაფხულობით თოვლი ყველა მთებზე დნება, **ჭაუხისა** და **ცროლის მთის** გარდა.

ჭაუხის კლდოვანი მწვერვალები პირაქეთ ხევსურეთის ყველა მთებზე მაღლაა ატყორცნილი და თავისი მშვენიერი სანახაობით ადამიანის თვალს იტაცებს.

ვიწრო ხეობებით და ჩამოკვეთილი ფრიალო კლდეებით ამ მიდამოში ყველაზე შესანიშნავი ხეობა არის **ღულის ჭალა**.

პირიქით ხევსურეთი თავისი ბუნებით უფრო მკაცრია. მისი თვალუწვდენი მწვერვალოები და აბასრული კლდეები ცად ატყორცნილა და გარდუვალი ყინულითაა დაფარული.

თუმცა ხევსურეთს პატარა ფართობი უჭირავს, მაგრამ თავისი დიადი, მძლავრი სანახაობით, უსწორ-მასწოროდ ერთიმეორეზე მი-

ყრილ-აზიდულ და ქიმებად წამოშვერილ ტინის კლდეებით გხიბლავთ, მიხვეულ-მოხვეულ, კლაკნია ხეობებით თვალს ატყვევებს. აქ ამ ხეობებში ღრიალითა და ჭექა-ქუხილით მოჰყეფენ მთიდან დაქანებული მდინარეები და თან მოაქვთ ქვა-ღორღი და ლოდები. (იხ. სურ. № 1)

სურ. 1. წყალვარდნილი მდ. არგუნზე (ხევსურეთი, პირიქითი ანუ მთასიქითი)

ეს მდინარეები გაშმაგებით და ძალუმათ ენარცხებიან გზადაგზა ჩახერგილ ტინის ლოდებს, რომლებიც ცისაკენ მიექანებიან, თავისი ჩრდილით ჰფარავენ ცის დასავალს და არემარეს სდებენ მკაცრსა და მოქუშულ ელფერს.

ჩრდილო ხევსურეთის მოტიტვლებული ქედები ველური და მოლუშულია. მაგრამ მისი სამხრეთი ნაწილი, რომელიც ფშავეთს ებჯინება, მეტისმეტათ წარმტაცი და მომხიბლავია თავისი სანახაობით. ეს ქედები ტყითაა შემოსილი და ფერდობებზე დაშვებული ლამაზი ღელე-ველები დაფარულია ტანაყრილ, სურნელოვან მცენარე ყვავილებით.

ჰ ა ვ ა. ხევსურეთის ჰავა კონტინენტალურ ჰავად უნდა ჩაითვალოს. აქ მთელი წლის განმავლობაში, მეტ ნაწილად, ქარი ზუზუნებს, იცის თოვლის ქარბუქი და ზვავები.

ზამთრობით ეს კუთხე ᲮᲗლად მოწყვეტილი რჩება არა მარტო გარეშე ქვეყნიერებიდან, არამედ ახლო-მახლო, მეზობლად მოსახლე ადგილებიდანაც. ზაფხულობით კი, როგორც საერთოდ მთაგორიან ადგილებს სჩვევია, აქაური ამინდი მეტად ცვალებადია.

ხევსურეთის მთებში ამინდის ცვალებადობას საგულისხმოდ აგვიწერს მე-XIX საუკუნის პოეტი **რაფიელ ერისთავი** *).

„ზაფხულია. მთა-მთა მისდიხართ. ცა ლურჯად კრიალებს. ღრუბლის ხაგლეჯიც კი არსად მოსჩანს. მზე გაჭერს, გწვავს.

უცებ საიდანღაც ნიავი ამოსისინდა, ცაზე ღრუბლის ქულები წამოლალა.

უცებ ჭექა-ქუხილმა გააყრუა მიდამო და კოკისპირულმა წვიმამ თავიდან ფეხის ბრწკილებამდე გაგალბოთ.

მაგრამ დეკორაცია სწრაფად იცვლება. ნახევარი საათიც არ გაივლის, რომ კვლავ მოიწმინდება, მზე კაშკაშებს, ჩამოცხება... თქვენს ქვემოდ კი, ძირს, ხევხუვებში შავი ნისლი სქლად ჩაწოლილა; იქ უფსკრულში იკლაკნება ელვა, ისმის ჭექა-ქუხილი, გრგვინავს მეხი და მის ხმაᲗ ბანს აძლევენ მთები.

კმაყოფილებით დასცქერით ამ სანახაობას, ამ სწრაფ ცვალებადობას, ბუნების ასეთ თავნებობას... მაგრამ, აგერ, ხეობებიდან დაიძვრის ნისლი, მთების კალთებზე ზლაზვნით მოსცურავს, თან მოაქვს ცივი სიო და სიცივისაგან გაძაგძაგებთ.. უცებ წამოუშენს წვნიკი ხორხოშელა, თითქოს სცხრილავსო.. მაგრამ თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ გადაილებს, ისევ გამოიდარებს, ბუნებაში ისევ მყარდება მყუდროება და სიწყნარე...“

*) „Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе“. Р. Эристов. (Газ. »Кавказ“ 1854 г. № 43, 45)

ნიადაგი. ხევსურეთში მიწის ნიადაგი ქვიანია, ნაძეტნავად არხოტსა და პირიქით ხევსურეთში. ზოგან თიხნარიც გვხვდება და შავნიადაგიანი მიწაც. აქ სახნავი მიწები მაღალი მთების ფერდობებზე მდებარეობს. ამ მიწების დამუშავება მეტისმეტად ძნელია. თვითონ ნიადაგიც მწირი და უღალოა. ამის გამო აქ რიგიანი მოსავალი ძალიან იშვიათი მოვლენაა.

მცენარეულობა. ხევსურეთი ტყეებით მდიდარი არ არის. თვალსაჩინო ტყეები მის სამხრეთ ნაწილში თუ მოიპოვება, არაგვისა და ლიქოკის ხეობებში. ამ მხრივ უფრო საგულისხმოა ლიქოკის ხეობა. აქ მთის კალთობები ტერრასებად ჩამოსდევს და მისი გარდიგარდმო ფართობები ყველგან დაფარულია ჭირნახულით, ხნულებით, სათიბებით, საძოვარი მინდვრებით და სხ. ამ ტერრასების შუა მდებარე ადგილები კი ფოთლოვანი ტყეებითაა დაფარული. ამ ტყეებში ყველაზე მეტად გვხვდება: ჭანდარი, არყი, თხემლა, მურყანი, ვერხვი, შუხა და სხ.

პირიქით ხევსურეთში კი მეტნაწილად წიწვნარი ტყეებია— შატილის მიდამოებში, არაგვის დასწვრივ და არხოტის არემარეში მდ. ასსას ხეობაში. მშვენიერი, თვალწარმტაცი ტყეებია არხოტის მხარესაც.

პირიქით ხევსურეთში ფოთლოვანი ხეებიც გვხვდება, მაგალითად ჭანდარი, თხემლა, ვერხვი, არყი და სხ.

ტყიანი ადგილები აქ ვიწრო ზოლებად გასდევს ფრიალო კლდეებისა და გიჟმაჟად მომჩქეფარე, მთებიდან დაქანებული მდინარეებს შუა.

ხევსურეთის ზოგიერთ სოფლებში, მაგალითად ჯუთაში, არხოტში, ბისოში, ხახმატში თუ სხვაგან, ტყის უქონლობისა გამო ბინის გასათბობად შეშის მაგივრად „**ქურთს**“, „**ბართს**“, ანუ წივას ხმარობენ.

ცხოველთა სამეფო. ხევსურეთში ნადირებისა და მხეცებიდან მოიპოვება: გარეული თხა (ფსიტი), ნიამორი (შველი), დათვი, მგელი, მელა, ტუოა, კატუნა (გარეული კატა) და სხ. პირიქით ხევსურეთში ირემიც გვხვდება, თუმცა ძალიან იშვიათად, რადგანაც ამ მხარეში ეს ცხოველი თითქმის გასწყდა.

პირიქით ხევსურეთში, მიუვალ კლდე-ქანჩახებში, ბუდობენ ჯიხვები; ანატორის მიდამოებში კი მრავლად იცის გარეული თხა. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ ხევსურები ამ მიდამოებში არ ნადირობენ, რადგან ამ ადგილს წმინდა ადგილად სთვლიან და ანატორის ჯვარის რისხვისა ეშინიათ.

გ ზ ე ბ ი.

შეუჩვეველი ადამიანი ერთის შეხედვით იფიქრებს, რომ ამ კუთხეში ხალხი არც კი მოსახლეობს სადმეო, რადგანაც გზას ვერსად დაინახავს. მართლაც,

სურ. 2. საცალფეხო მთის ბილიკი უფსკრულის თავზე.

არც ადრე მოიპოვებოდა და არც დღეს მოიპოვება ისეთი გზები, როგორსაც ჩვენ ვჩვეულვართ.

მაგრამ გაჰხედავთ თვალუწვდენელ ქედის ლავგარდანს და ამჩნევთ, რომ მიხვეულ-მოხვეულ და კლაკნით მიმავალ ქედის თავზე მისდევს საცალფეხო მთის ბილიკი (იხ. სურ. № 2), სადაც შეუჩვეველი ადამიანი ვერც კი გაივლის. ეს ბილიკი სიგანით ერთი მეტრის მესამედს არ აღემატება, ხშირად კი არც ამ სიგანეა. ხევსურები ამ ბილიკზე ფეხით კი არა ცხენებითა და ჯორაკებით დადიან და ზოგჯერ აქ დოღსაც მართავენ.

საულელტეხილო გზები.

საულელტეხილო გზებს შორის ყველაზე შესანიშნავი გზებია:

1) **ველკეთილის გადასავალი,** რომელიც აერთებს პირაქეთ და პირიქით ხევსურეთს.

2) **არხოტის გადასავალი,** არხოტისა და პირაქეთ-ხევსურეთის შემაერთებელი.

3) **ფხიტურის გადასავალი,** რომელიც ბაკურხევის საშუალებით პირაქეთ ხევსურეთს მთის გუდამაყართან აერთებს.

4) **საძელისის გადასავალი,** რომელიც პირაქეთ ხევსურეთს ჯუთის ხეობით ხევთან აერთებს.

5) **ჯუთის გადასავალი,** არხოტისა და ხევის შემაერთებელი.

6) **ანდაკის გადასავალი,** რომელიც პირაქეთ ხევსურეთს მთის თუშეთთან აერთებს.

7) **ცროლისა და ისართღელეთის გადასავალი,** რომელიც აერთებს პირაქეთ ხევსურეთს და არხოტს.

8) **მათურას გადასავალი,** რომელიც უკანა ფშავს პირიქით ხევსურეთთან აერთებს.

მისასვლელი გზები.

ხევსურეთისაკენ რამდენიმე გზა მიდის. ყველა გზები კავკასიონის მთავარ უღელტეხილზე გადადის ან მის კალთობზე შესდევს.

ავიღოთ, თუ გნებავთ, **პირველი მისასვლელი გზა.** ამ გზით ჯერ ფშავეთის თვალსაჩინო ნაწილს გადავივლით და მერე შევდგამთ ფეხს ხევსურეთში. იქ კი ერთი დასახლებული ადგილიდან მეორემდე თვალთუჩინარი და ვიწრო საცალფეხო ბილიკების გარდა სხვა გზები არ მოიპოვება. ეს ბილიკები მიიკლაკნება მთის ქედის ფრიალო კლდეების ნაპრალებზე რამოდენიმე ასეული მეტრის სიმაღლეზე.

ეს გადასასვლელი გზა სოფ. **ყინვანიდან** იწყება, რომელიც მდებარეობს მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ანანურიდან 6 კილომეტრის მოშორებით, სახელდობრ იქ სადაც მდინარე არაგვი ფშავის არაგვს ერთვის.

ფშავის არაგვის შეყოლებით 42 კილომეტრი უნდა გავიაროთ ჟინვანიდან შუაფხომდე.

შუაფხო უკანა ფშავის ცენტრია და მეტ ნაწილად ფშავლებითაა დასახლებული.

აქედან შევდივართ ფშავეთის მოსაზღვრე სოფელ მათურაში.

ხევსურეთი ამ სოფლიდან იწყება.

ვიწრო, ერთი მეოთხედი მეტრის სიგანე საცალფეხო ბილიკი თავბრუდამხვევ ფრიალოს თავზე მიიკლაკნება 2860 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ეს ბილიკი სერავს კავკასიონის მთავარ ქედის უმთავრეს უღელტეხილს, ეგრედწოდებულ **მათურას გადასავალს** და შუაგულ ხევსურეთში გადადის.

ხევსურეთისაკენ მიმავალი **მეორე გზა** ფასანაურიდან იწყება, რომელიც საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობს, ტფილისიდან 96,4 კილომეტრის მოშორებით; შემდეგ იგი გუდამაყრის ხეობას შესდევს 10 კილომეტრის მანძილზე, მერე სამხრეთისაკენ უხვევს და ბაკურხევს აჰყვება.

ბაკურხევიდან იწყება ფხიტის გადასავლის აღმართი, რომლის სიმაღლეც ზღვის დონიდან 2971 მეტრს აღწევს.

ფხიტის ხევის გადაღმა, ბაკურხევიდან 10 კილომეტრის მანძილზე, მდებარეობს ხევსურების მეორე სოფელი — **უკანაფხო**. მის შემდგომ იწყება ხევსურეთის ჩვეულებრივი საცალფეხო მთის ბილიკი, რომელიც აჰ ხეობის კალთობებზე მდებარე სოფლებს გადაივლის. ამ ხეობის კუდში გზა ორად იყოფა: ერთი მიდის სამხრეთისაკენ სოფ. ბარისახოს მხარეს, მეორე კი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, და გაივლის შემდეგ სოფლებს: ღულოს, ბისო-ხახმატს და შემდეგ შატილს.

ბარისახოში მისვლა პირველი გზითაც შეიძლება. 42 კილომეტრს თუ გაივლით ჟინვახიდან ორწყლამდე ფშავეთის და ხევსურეთის არაგვის შესართავთან, ჩრდილოეთისკენ უნდა მოუხვიოთ და მიჰყვეთ ხევსურეთის არაგვის ხეობას.

ხევსურეთის ადმინისტრატიული ცენტრი მდებარეობს ორწყლიდან 8 კილომეტრის დაშორებით სოფ. ბარისახოში.

ხევსურეთის მესამე გზა იწყება სოფ. ყაზბეგიდან ან აჩხოტიდან, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობენ. (ყაზბეგი — 44 კილომეტრით და აჩხოტი კი 48 კილომეტრით არის დაშორებული კავკავს). ამ ორი სოფლიდან გამოსვლით მოგზაური მიდის შავი არაგვით შემდეგ სოფლებზე: სნოზე, ახალციხეზე და კარკუჩაზე, რომელნიც ყაზბეგიდან 6,8 და 10 კილომეტრის დაშორებით მდებარეობენ.

კარკუჩიდან 6 კილომეტრის დაშორებით იწყება ალმართი პირველ ხევსურულ სოფელ ჯუთისკენ. ეს სოფელი დაშორებულია



სურ. 3. სოფ: ახიგლა—არხოტის ცენტრი (პიროქითი).

ყაზბეგიდან 22 კილომეტრით და მდებარეობს ჯუთის წყლის მარცხენა მხარეს. აქ ჩვენ გვხდება ლამაზი ჯუთის მთა. სამხრეთისკენ

ჯუთის მთიდან აღმართულია თვალწარმტაცი ჭაუხი (როშკის მთა), სიმაღლით 3847 მეტრი ზღვის დონიდან. ჭაუხი თავის სიმაღლით თითქოს ხევსურეთის მთების მთავარსარდალია. ჭაუხის ფერდობებზე მძლავრი ყინული ძევს; იშვიათი სილამაზისაა ეს ცად აბჯენილი წვერვალი. სოფ. ჯუთას ქვევით არის ორი წყალვარდნილი (ჩანჩ-ჭერი), რომელიც თავისუფლად და იოლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ჰიდრო-ელსადგურისთვის.

ჯუთიდან მიდის ბილიკი ჯუთის გადასავალისკენ, რომლის სიმაღლე 3383 მეტრია ზღვის დონიდან. გადასავლამდე 16 კილომეტრი გზა მეტად ძნელი სავალია. გადასავლიდან სოფ. კვირიწმინდამდე არის 16 კილომეტრი, ხოლო კვირიწმინდიდან ახიელამდე 2 კილომეტრი. სოფელი ახიელა არხოტის სარაიონო ცენტრია. (იხ. სურ. 3) ეს რაიონი შესდგება შემდეგი სოფლებიდან: ამღა, ჭიმღა, კვირიწმინდა და თვით ახიელა.

არხოტი, მდინარე ასსას ხეობის გამოკლებით, წარმოადგენს ხევსურეთის ტიტველ კლდოვან ნაწილს. ზამთრობით აქ ჯუთის, როშკის, ღულის და შატილის მხრიდან გზა იკეტება და მაშინ ეს ადგილი მოწყვეტილია და კარჩაკეტილი რჩება 6 თვის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში კარჩაკეტილადაა ეს ნაწილი. არხოტელებს თუმცა აქვთ საშუალება მდინარე ასსას ხეობით ინგუშეთსა და კავკავს შორის კავშირისათვის, მაგრამ ეს გზა მეტად ძნელია და მით ნაკლებ სარგებლობენ, რადგან მტრული განწყობილება აქვთ ხევსურებსა და ინგუშებს, რომლებიც ასსას ხეობის გამოსავალში და სხვა მიდამოებში ცხოვრობენ, რომლებზედაც მიდის კავკავის გზა.

არხოტიდან შეიძლება შატილში გადასვლა იქიდან ბისოზე, ხახმატზე, ღულზე, უკანახოზე და ბაკურხევზე—ფასანაურში, ან ბარისახოზე, ორწყალზე, მაღაროსკაოზე და ჟინვაიზე—ანანურში, —ანდა შეიძლება დაბრუნება არხოტიდან ჯუთის უღელტეხილით სოფ. ყაზბეგში. შატილიდან მათურ-შუაფხოს გზითაც შეიძლება დაბრუნება და შემდეგ ან თიანეთის ან კიდევ ორწყალისა და ჟინვანის გზით.

დასახლებული პუნქტები ადმინისტრატიული ცენტრებით.

დასახლებული პუნქტები ხევსურეთში მეტად მცირეა და რაც არის ისიც თავისი მდებარეობით და ნაგებობით საშუალო საუკუნის ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენს. (იხ. სურ. მე-4).

ფოტო-სურათზე სოფელი შატილი—სათემო ცენტრი. იგი მდებარეობს 1510 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ღული ხევსურეთის ერთ-ერთ შესანიშნავ სოფლად ითვლება და ესეც თემის ცენტრია, 1647 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.



სურ. 4. სოფ. შატილი—პირიქითის ცენტრი.

სოფ. ლებაისკარი 2227 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. იგი 15 კილომეტრით დაშორებულია შატილიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და სულ რამდენიმე მოსახლისაგან შესდგება. ამ სოფელს ამშვენებს კარგად შენახული ციხე (იხ. სურათი ძე-5), რომელიც თავის დროზე ლებაისკარს დარაჯობდა.

შემდეგ მოსდევს სოფ. ბარისახო, რომკი, ამღა, ჭიმღა, ახიელა და სხვა.

ხევსურეთი მოფენილია პატარა სოფლებით, სადაც მხოლოდ 30—40 ადამიანი ცხოვრობს თავისი ძველი ადათებით, მსოფლმხედველობით, წესებით და კარჩაკეტილობით.

ხიძველეთა ძეგლები

მიუხედავად იმისა, რომ ხევსურები მეტად ძველი ტომის ხალხად იგულისხმება და აგრეთვე ის, რომ შემოსულ გარეშე ძალას მათზე ნაკლები გავლენა ჰქონდა, სამწუხაროდ მაინც ძველი ძეგლები და მეცნიერულად ღირსშესანიშ-

ნავი რამ არაფერი გვხვდება. რაც არის, ისიც მეთორმეტე საუკუნის ნაშთებზე უძველესი არ არის.

ხახმატში დანგრეულია ეკლესია, რომელიც, გადმოცემით, თამარ მეფის მიერ არის აგებული.

სურ. 5. ციხე „ლებაის-კარი" (პირიქითი) სოფ. შატილიდან 15 კილომ. დაშორებით

ქისტი-ჭალის ხეობაში გვხვდება დიდი ციხე-კოშკის ნანგრევი, რომელიც ხეობაში შესავალ გზას სდარაჯობს, იგი შესდგება ორი შენობისაგან. აგრეთვე სოფელ ქისტინში აღმართულია მკვიდრი ციხე, რომელსაც, როგორც სჩანს, მთავარ ციხესთან ჰქონია კავშირი.

სადაც ახლა შატილია მთის მწერვალზე, რომელიც დაქანებულად ეცემა მდინარე არღუნისაკენ, იქ უწინ ძველი შატილი იყო. ამჟამად დარჩენილია ნახევრად დანგრეული ციხეები, სადაც თამარ მეფის დროს ცხოვრობდენ შატილიონები, რომელთაგან ბევრი რაღაც ეპიდემიას გაეწყვიტა, ხოლო ვინც გადარჩენილიყო, ისინი უკვე ქვევით ჩამოსულიყვნენ, შეერთებოდენ ანატორელებს და დაეწყოთ მოსახლეობა ძველი შატილის სახელწოდებით.

სურ. 6. ა კ ა ლ დ ა მ ე ბ ი.

შატილიდან 4 კილომეტრის მანძილზე მდინარე არდოთის და არგუნის შესართავთან, მაღალ კლდეზე მდებარეობს მკვდარი ქალაქი —ანატორი, რომლის აღმოცენებაც თუ, ძველ თქმულებებს დავუჯერებთ, ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ამ მხარეში ძვინვარებდა ეპიდემია

და ხალხი ამ ავადმყოფობის თავიდან აცილების მიზნით აგებდა განსაკუთრებულ ბინებს (იხილეთ სურათი მე-6), სადაც ათავსებდენ ავადმყოფებს და სადაც ეს ავადმყოფები იხოცებოდენ კიდეც.

სურ. 7. ჩ ო ნ ჩ ხ ი (ადამიანის)

რამდენიმე ასეთი ნაგებობაა ხევსურეთში, ზოგიერთ მათგანში დღესაც შეხვდებით ადამიანის ჩონჩხებს (იხილე სურათი მე-7).

შატილიდან 7 კილომეტრის მანძილზე, კლდეზე, აღმართულია თორღვაის ციხე, რომელიც იცავს მას სოფელ მუცოს მხრივ მისავალიდან (იხ. სურათი მე-8).

სიძველეებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე საღმრთო, სამსხვერპლო და საეკლესიო განძეულობა, რომლებიც თითქმის ხევსურეთის ყოველ საკურთხეველში გვხვდება.

სურ. 9. გუდანის ჯვარის საღმრთო, სამსხვერპლო და საეკლესიო განძეულობა. „ღვთის მსახურნი“.



სურ. 8. თარღვაის ციხე, რომელიც ამაგრებს და იცავს სოფ. მუცოს (პირიქითი)

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ბუნებრივი სიმდიდრენი

ხევსურეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს და მეტ ყურადღებას იზიდავს: 1) სხვადასხვა შემადგენლობის მინერალური წყლები, 2) მარმარილოს, ანტრაციტის, ბროლის და აგრეთვე სპილენძის, ვერცხლის და ოქროს მადნები და 3) ალპიური საძოვრები.

ყველა სახის ბუნებრივი სიმდიდრე, სამწუხაროდ, ჯერ სავსებით არ არის შესწავლილი და საექსპლოატაციოდ გამოყენებული.

მინერალური წყლები

ხევსურეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის მხოლოდ მინერალური წყლებია გამოკვლეული. მათმა გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ მინერალურ წყლებს, განსაკუთრებით ზოგიერთს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

ამიტომ ვთვლით საჭიროდ დაწვრილებით შევჩერდეთ ამ ღირსშესანიშნავ საკითხზე.

წყაროების ზერელე გამოკვლევამ შემდეგი მოგვცა:

ლიქოკის ლამაზ ხეობაში შესავალთანვე ერთმანეთის ახლო ოთხი რკინა-კიროვანი წყაროა.

მათი საერთო დებეტი დღე-ღამეში დაახლოვებით ათას ვედრას უდრის.

მათგან ერთი კილომეტრის დაშორებით არის მეტად მაგარი რკინოვანი ცივი წყარო; ამავე მანძილზე, ხეობის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ჭალასთან, მთა კარათის წვერის ძირში, ვეძადედის ძიდამოებში ორი მლაშე წყაროა, რომელთა დებეტი 2000 ვედრას უდრის დღე-ღამეში. ორივე ეს წყარო მეტად ცივია; ქვედა წყაროს ტემპერატურაა 9°ც (ცელსიუსით), ზედასი 15°ც. ორივეს დიდი გაზი აქვს და მცირე ოადიო-აქტიობა.

ამ წყაროების რაიონი მდიდარია მეტად კარგი, ჯანსაღი ჰავით და სამკურნალო თვისებებით, რომელიც საჭიროა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტად გადაიქცეს.

აქაურმა მცხოვრებლებმა კარგად იციან ამ წყაროების მნიშვნელობა, მაგრამ ექიმის რჩევა-დარიგების უქონლობის გამო ცუდად ხმარობენ, ესე იგი, მათ არ იციან ამ წყლებით სარგებლობის წესი

და ნორმა. ამიტომ ხშირად სარგებლობის მაგივრად ვნებს კიდეც ეს წყალი.

ასევე შეიძლება ითქვას სხვა წყაროების შესახებ, რომელიც მრავლად მოიპოვება ხევსურეთის მიდამოებში.

სოფელ ჭერმეთავის ახლოს, ღუდანის ღელის მარცხენა ნაპირზე, მიწიდან ამოდის გოგირდწყალბადოვანი ღუდანის წყარო, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი პურის ცხობაში ხმარობენ.

ხახმატის ხეობაში, სოფ. ჭიეს ახლოს, რამდენიმე ადგილას არის ჭიეს-წყალის შადრევანი. მისი წყალი ტუტა-კირიანია, ტემპერატურა — 8°ც, დიდი გაზი აქვს, დებეტი კი — დაახლოვებით 4000—5000 ვედრას უდრის.

ორივე ეს წყარო ღირსშესანიშნავია, როგორც სამკურნალო წყლები.

გარდა ამისა, არის კიდევ სხვა მრავალი წყაროები, რომელთაგან ზოგი მეტად მიუვალ ადგილასაა, ზოგიც ნაკლები ღირსებისაა, მაგრამ, მთლიანი სურათის წარმოსადგენად საჭიროა მათ შესახებაც ითქვას. აი, ეს წყაროები:

თვით სოფ. ჭალაში ტუტე-მარილოვანი წყაროს ტემპერატურაა 9°ც, რომელსაც „სოფლის—ჭალასაც“ და „ბოლაურსაც“ უწოდებენ.

სოფელ აჭეშიც არის ასეთივე წყარო, რომელსაც ნადირხევის ვეძას უწოდებენ.

ხახმატში ტუტე-კიროვანი წყაროა, 500 ვედრა დებეტით.

ხახმატის წყლის მარცხენა ნაპირზე სოფელ ბისოს პირდაპირ, ასეთივე წყარო გამოდის.

დაბოლოს, სოფელ ღულში ორი ტუტიანი წყაროა, მაგრამ ძნელად მისადგომ ალაგას.

ქიმიკოს რ. დ. კუპცისის ანალიზმა, რომელიც ტფილისში საქართველოს ჯანსახკომის ლაბორატორიაში იყო მოხდენილი, მეტად დადებითი შედეგები მოგვცა.

ეჭვს გარეშეა, რომ გამოკვლეულ მინერალურ წყლებს გარდა ხევსურეთში მიწის წიაღში ჯერ კიდევ გამოუკვლეველი მრავალი სიმდიდრეა.

მიწის წიაღის სიმდიდრენი.

ხევსურეთის მიწის წიაღის სიმდიდრე ჯერ სავსებით არ არის შესწავლილი, მაშინ, როდესაც ზერელე გამოკვლევაც კი გვაძლევს წარმოდგენას მათი სიმრავლისა და სხვადასხვაობის შესახებ.

კარათის წვერის მთის ძირში თეთრი მარმარილოს ბუდობია. რასაკვირველია, მისი მარაგის შესახებ ძნელია მსჯელობა, მაგრამ ფენების გარეგნობაც მოწმობს, რომ აქ მისი დიდი მარაგია.

ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით ასეთი მარმარილო სხვაგანაც რამდენიმე ადგილასაა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მარმარილოს ეს ფენები ერთსადაიმავე მძლავრი ბუდობიდანაა.

ხევსურეთის ზოგიერთ რაიონში გვხდება სპილენძი, ანთიმონის ბუდობი, აგრეთვე ანტრაციტიც.

მთის ბროლიც არის ჯუთა-როშკის რაიონში, ტყვია და თითბერი — სოფ. მუცოში, ხოლო არდოთის მახლობლად არის თიხა, რომლისაგანაც მცხოვრებნი ჩიბუხებს ამზადებენ, რომელიც განირჩევა თავისი სიმკვრივით, სიმაგრით.

სოფელ ოხერხევის მცხოვრებთა სიტყვით, ამავე სოფლის ახლოს აღმოჩენილია ოქრო და ვერცხლი. თუმცა ეს ჯერ არ არის შემოწმებული, მაგრამ ხევსურეთის მთების გეოლოგიური წარმოშობა არ უარყოფს ამის შესაძლებლობას.

ყველა ეს ცნობა ამტკიცებს, რომ თუ ხევსურეთის მთელი ბუნებრივი სიმდიდრე მოხერხებულად იქნება გამოყენებული, მაშინ ეს ქვეყანა ეკონომიურად შესამჩნევი გახდება მთელ საბჭოთა კავშირში.

თავისუფლად და იოლად შეიძლება ხევსურეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია, მაგრამ ამ მხრივ ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა.

საექსპლოატაციო ცდები.

ერთად-ერთი სერიოზული ცდა ოქროს ამოსაღებად დაიწყო 1890 წელს ახიელას რაიონში შავი ზღვის ფლოტის მეორე ეკიპაჟის ლეიტენანტის ნ. ვ. ფილკოვიჩის მიერ, რომელმაც ახიელას მცხოვრებთ მიმართა „მიეცათ მისთვის იჯარით ეს სოფელი და მთელი მისი მიდამო, რომელსაც ფილკოვიჩი დაინახავდა საჭიროდ სახნავ-სათესი და სათიბი ადგილების გამოუკლებლივ“. ასე ამბობენ აქაური მცხოვრებნი და ამასვე ამოწმებს 1890 წ. 2 ივლისის საზოგადოებრივი ხელშეკრულება, რომლის პირიც ჩვენ გვაქვს და რომელსაც აქვე ვათავსებთ, როგორც საინტერესო მასალას ეკონომიური და ისტორიული კავშირის გამოსაკვლევად.

საზოგადოებრივი ხელშეკრულება.

„ათას რვაას ოთხმოცდაათ წელსა, ივლისის ოცდა ორსა დღესა, ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი: მცხოვრებნი ტფილის გუბერნიისა, თიანეთის მაზრის ახიელას საზოგადოებისა, სოფ. ახიელის, ამღას, ჭიმღას, კოლოთანის და კვირიწმინდის მცხოვრებნი, რიცხვით 100 კომლი, მათ შორის ხმის უფლებით 70 კაცი, რომელნიც მთელი მოსახლეობისა და სოფლის ყრილობაზე დამსწრეთა $^2/_3$ შე-

ადგენენ, ამავე საზოგადოების მამასახლისის ალუდა ქიბიშაურის თანადასწრებით ვმსჯელობდით შავი ზღვის მეორე ფლოტის ეკიპაჟის ლეიტენანტ ფილკოვიჩის განცხადებაზე ჩვენი მიწების მის მიერ იჯარით აღების შესახებ, რომ ამ ადგილ-მიდამოში მოხდეს ოქროს, ვერცხლის, თითბრის, ტყვიის, სპილენძის და სხვა ლითონების დაძუშავება.

ჩავთვალეთ რა ფილკოვიჩის წინადადება ჩვენთვის მისაღებად, ჩვენ, ერთმანეთში მოლაპარაკების შემდეგ, ერთსულოვნად, საერთო ჩვენი ნება-სურვილით დავადგინეთ:

1) მიეცეს ლეიტენანტ ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე ფილკოვიჩს იჯარით ამღას, ჭიმღას, კოლოთანის და კვირიწმინდის ადგილ-მამული, რომ მან დაიწყოს ძვირფასი ლითონების, როგორიც არის ოქროს, ვერცხლის, ტყვიის და სპილენძის ბუდობების აღმოჩენა და დამუშავება მთავრობის ნებართვით. ფილკოვიჩს ეძლევა ამის უფლება ამ სოფლის საზღვრებში ყველგან, სადაც კი იგი ჩასთვლის მიზანშეწონილად, სახნავ-სათესი და სათიბი ადგილების გამოუკლებლივ.

2) საზოგადოება ვალდებულია დაუთმოს ფილკოვიჩს 5 დესეტინა ერთიანი მიწა ქარხნის ასაშენებლად, სადაც ლითონის გარეცხვა და გაწმენდა იწარმოებს, ხოლო მოიჯარადე ვალდებულია დასახელებული ქარხანა ააშენოს და თვითეულ დესეტინაზე ყოველწლიურად ოთხმოცდაათი მანეთი გადაიხადოს.

3) ფილკოვიჩის მიერ საიჯარო გადასახადის მაგივრად საზოგადოებას უნდა მიეცეს პაი—ერთი მეასედი მის მიერ გადამუშავებული ოქროსი, ვერცხლისა, ტყვიისა და სპილენძისა, რომელიც მის მიერ მიჩნეული იქნება დამუშავებისათვის გამოსადეგად.

4) საზოგადოებას უფლება რჩება ისარგებლოს თავისი მიწით: სახნავ-სათესით, სათიბით, ტყით და საძოვრებით, რამდენიც საჭირო იქნება მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად.

5) თუ ფილკოვიჩისათვის საჭირო იქნება სათიბი, სახნავი, ტყე, საძოვარი, მაშინ მან მცხოვრებთა სასარგებლოდ წლიურად უნდა გადაიხადოს სახნავ მიწაზე ოთხმოცდაათი მანეთი და სათიბ მიწაზე 20 მან. დესეტინაზე.

6) ლითონების დამუშავებით გამოწვეული ხარჯი ეკისრება მოიჯარადრე ფილკოვიჩს, მას არ აქვს უფლება საზოგადოებას რაიმე თანხა დააკისროს წამოწყებულ საქმის სასარგებლოდ.

7) საზოგადოება შემდეგ უფლებას ანიჭებს ფილკოვიჩს: ფილკოვიჩმა შეიძლება სურვილით შეიამხანაგოს გარეშე პირი

8) საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას ლითონის დამუშავების დროს: ურმით გადაზიდვაში და სხვა სამუშაოს შესრულებით, რომელშიც ფილკოვიჩმა უნდა გაიღოს ფასი, სახელდობრ: წლიურ მუშას უნდა მიეცეს არა უმეტეს ორასი მანეთისა, ხოლო დღიურს —სამი აბაზი; სხვა გადაზიდვის დროს მაღაროდან ქარხნამდე— ფუთზე ორი შაური, და თუ ლითონი კავკავში წაიღება—ფუთზე ათი შაური.

9) თუ რამე მიზეზით ჩვენი მიწის ნაწილი ხაზინას გადაეცემა და ფილკოვიჩი უკვე ხაზინის მოიჯარადრე იქნება, მესამე მუხლში აღნიშნული პაი—ერთი მეასედი დამუშავებული ლითონისა—მაინც მოსახლეობის სარგებლობაში რჩება, თანახმად ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლისა.

10) თუ ამ პირობას, როგორც ერთი მხარე, ისე მეორე რაიმე მიზეზით დაარღვევს, მოპირდაპირე მხარეს გადაუხდის ჯარიმის სახით ხუთასი ათას მანეთს.

11) ვადა ამ ხელშეკრულებისა ოცდა ხუთი წელია, ამა წლის აგვისტოს პირველიდან დაწყებით. თუ ვადის გასვლის შემდეგ ფილკოვიჩი მოინდომებს იჯარის გაგრძელებას ისევ ოცდახუთი წლით, საზოგადოებას უფლება არ აქვს უარი უთხრას და იმავე ხნით და იმავე პირობებით უნდა დაიდვას ხელშეკრულება, როგორც აღნიშნული ხელშეკრულებაა.

12) ამა ხელშეკრულების დასამტკიცებლად შინაური და ნოტარიული წესით ჩვენ ვირჩევთ ჩვენის მხრივ დავით ქიბიშაურს და მარაიძე წიკლაურს, რომელთაც ვანიჭებთ უფლებას შეიტანონ ხელშეკრულებაში სხვადასხვა ცვლილება თავისი შეხედულებით, რაზედაც ხელს ვაწერთ“:

ხელშეკრულება ყველას მიერ ხელმოწერილი და სათანადოთ შემოწმებულია.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ხევსურეთის გეოლოგიური გეგმიანი და დეტალური გამოკვლევა იმას დაადასტურებს, რომ იქ, დედამიწის სიღრმეში, უთვალავი სიმდიდრეა ჩამარხული.

ალპიური საძოვრები

ხევსურეთის ალპიური ზონები თავისი სურნელოვანი და სასარგებლო საძოვარი ბალახებით ყოველი კონკურენციის გარეშეა. ამიტომ საზაფხულო ალპიური საძოვრების მაქსიმალურად გამოყენება და რძის ნაწარმოებთა რაციონალურად დაყენება დიდ მოგებას მისცემს ამ კუთხეს.

ხევსურეთი, რომელიც ალპინიზმისა და ტურიზმის ქვეყანა.

ბოლო ხანებში, რაც მშრომელთა კულტურულმა დონემ აიწია, საბჭოთა ტურიზმსა და ალპინიზმს მეტად დიდი გასაქანი მიეცა. დღითი-დღე იზრდება ინტერესი მისდამი და ეს მეტად ჯანსაღი გასართობი ფართოდ იჭრება მშრომელთა მასებში.

ხევსურეთს შეუძლია მისცეს ადამიანს მრავალი საინტერესო შთაბეჭდილება და მდიდარი მასალა თვითგანვითარებისათვის, იგი მასიური ექსკურსიებისათვის ჩვენი კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო კუთხედ გადაიქცევა.

ამიტომ საჭიროა ხევსურეთის მარშრუტები შეტანილ იქნეს საექსკურსიო გეგმებში, რომლებსაც ადგენენ კავშირის და საქართველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების დაწესებულებანი, საზოგადოებანი.

ასეთი ღონისძიება ხელს შეუწყობს ხევსურეთის კულტურულ-ეკონომიური დონის აწევას.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ისტორიულ ცნობები ხევსურების წარმოშობის შესახებ.

ხევსურეთი ქართველთა მოდგმის მთიელებითაა დასახლებული.

ხევსურთა წარმოშობის ნამდვილი სათავე ჯერ კიდევ შესწავლისა და კვლევა-ძიების მდგომარეობაში იმყოფება. ბევრის აზრით, ხევსურები „ჯვაროსანთა წმინდა ომებიდან“ დარჩენილ შთამამავლობას წარმოადგენენ, ვითომც ჯვაროსანთა ერთი ნაწილი კავკასიის მიდამოებში ჩარჩენილიყოს და შემდგომ ძლიერი თემების ზედმიწოლით იძულებული გამხდარიყოს ამ მიუვალ ხევ-სერებისათვის შეეფარებინოს თავი.

ამ აზრის მომხრენი თავის მოსაზრებას ხევსურების ნიშანდობლივ ჩაცმულობასა და შეიარაღებაზე ამყარებენ. ხევსურის ტანისამოსისა და იარაღის აუცილებელ მორთულობას წარმოადგენს „ჯვარის“ გამოსახულება, რომელიც ერთდროს „ჯვაროსანთა“ ემბლემას შეადგენდა.

ჩვენი დროინდელი ხევსურის შეიარაღებას, თანამედროვე თოფის გარდა, შეადგენს: ფარ-შუბი, დაშნა (ხმალი ანუ სატევარი), ლითონის სამკლავე, ჩაჩქანი, ჩაფხუტი, საცერული.

ქვემოდ ვათავსებთ ხევსურის ადრინდელ იარაღებს.

ზემოხსენებულ მოსაზრებას ის გარემოებაც აბათილებს, რომ ასეთი შეიარაღება მარტო ხევსურებში როდი ყოფილა, იგი სხვა ერებშიაც ბევრგან იყო გავრცელებული. ხევსურებში წარმოსადეგობის მხრივ შევხვდებით, როგორც ახოვანსა და არაჩვეულებრივი ლონის მამაკაცს, ისე ბაჩა კაცებსაც. მათში დიდი მრავალფეროვანობაა სახის მოყვანილობისა, თმის ფერისა თუ თვალის იერისა.

ხევსურების ენაში ჭაჭანებად არ მოიპოვება დასავლეთ ევროპის რომელიმე ეროვნების სიტყვის ძირები. ხევსურები რომ მართლაც „ჯვაროსანთა“ ნაშთი ყოფილიყვნენ, ეჭვს გარეშეა დღემდეც შეინახებოდა მათში იმ ერთა სიტყვის ძირები.

ნამდვილად კი ხევსურების ლაპარაკი დღესაც უძველეს ქართულს მოგაგონებთ.

თქმულება ხევსურეთის წარმოშობის შესახებ.

ხევსურებში შემდეგი თქმულებაა დარჩენილი ხევსურეთის წარმოშობის შესახებ:

„უძველეს დროს კახეთში მაღაროელმა-გლეხმა ბატონის რისხვა დაიმსახურა და აფშოს მიდამოებში გადაიხვეწა. იქ თავისი ვაჟის დახმარებით ოჯახს ნანადირევით არჩენდა.

ერთხელ მისი ვაჟი ნადირობამ შორს გაიტყუა. ნაცნობ მიდამოებს გასცდა და უცხობ ულრან ხევ-ხუვებში შეიჭრა.

იქ მოჰკლა მან გარეული თხა. ეს სწორეთ ის მიდამოები იყო, სადაც ამჟამად სოფელი **გუდანი** მდებარეობს.

ბინაზე რომ დაბრუნდა, მამა განაცვიფრა თხის სიმსუქნემ და შვილს მიჰმართა:

— შვილო, ჩვენი საცხოვრებელი მიდამო მეტად მწირია, მიწა ჩვენს შრომას ვერ გვინაზღაურებს, ძთები აქ ხრიოკია და ბალახიც კი არ ხეირობს. დავტოვოთ ეს კლდეები და გადავინაცვლოთ იქ, სადაც ეს თხა მოგიკლავს. სადაც გარეულ თხას ასე გასუქება შეუძლია, იქ ადამიანსაც იოლად ეცხოვრებაო.

შვილი უკვე მიჩვეული იყო აფშოს მიდამოებს, არ ეთმობოდა ეს არე-მარე და მამის სიტყვები სიჩუმით ჩაატარა.

მაშინ მამა კიდევ მიუბრუნდა:

— შვილო, გატყობ გული გეთანაღრება, აფშოს მიდამოები არ გეთმობა, მაგრამ ხომ ხედავ, რომ აქ ცხოვრება ძალიან გვიჭირს. აჰანდე, წაიღე ეს ხორბალი, დასთესოდე იმ ალაგას, სადაც ეს თხა მაჰკალ, და მერე გავსაჯოთ როგორ მოვიქცეთ.—ამ სიტყვებით გადასცა ერთი ქისა ხორბალი.

ვაჟიც აღარ აუხირდა. წაიღო ხორბალი და დათესა. არაჩვეულებრივი მოსავალი მისცა. მაშინ გადასწყვიტეს ბინის გადანაცვლება და იმ ადგილს **გუდანი** უწოდეს.

მოხუცს იქ შეეძინა ორი ვაჟი: არაბა და ჭინჭარა. შემდგომ ამათი შთამამავლობით გაივსო ხევსურეთის მთელი სამხრეთი ნაწილი“*).

მეორე თქმულებაც არსებობს, ვითომც თამარ მეფეს ახლდა ვინმე თანამგზავრი ურია და ხევსურები იმისაგან წარმოსდგნენო.

სხვა მკვლევარნი ხევსურების წარმოშობის სათავეს სხვაგან ეძებენ. მათის აზრით, ეს თემი დროთა განმავლობაში თანდათან

---

*) Р. Эристов—„Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском Округе“—(газ. „Кавказ“ 1854 г. № 43).

შეიქმნა შემოხიზნულ ელემენტებისაგან. ეს მოხდა ომიანობის და შფოთიანობის ხანაში, როდესაც მტრისაგან შევიწროვებულნი კავკასიონის მიუვალ მთებს აფარებდნენ თავს. ბევრი მათგანი, ალბად სისხლის ძიებას გამოერიდა, აქ შემოიხიზნა და მომრავლდაო. ასე მსჯელობენ ეს მკლევარნი.

ასეთი სხვადასხვანაირი აზრი ტრიალებს ხევსურების წარმოშობის შესახებ, მაგრამ ერთი რამ კი მაინც უდაოდ უნდა ჩაითვალოს, სახელდობრ ის, რომ ხევსურები ქართველთა ტომს ეკუთვნიან, მათი ყოველდღიური სასაუბრო ენა დაწმენდილი ქართულია. ხევსურის ლაპარაკზე შოთა რუსთაველის ხანა დაგიდგებათ თვალწინ.

საერთოდ უნდა ვიფიქროთ, რომ პირაქეთი ხევსურეთის მოსახლეობა ამ მიდამოებში შემოხიზნულ ქართველებისაგან უნდა იყოს წარმომდგარი.

პირიქითი ხევსურეთის მოსახლეობა კი უფრო შემთხვევითი ელემენტებისაგანაა შემდგარი. თქმულება დარჩენილა, რომ ამ კუთხეში რამდენიმე საგვარეულოა გადასული პირაქეთ ხევსურეთიდან. ალბად სისხლის აღებას თუ გაერიდნენ. ესენი არიან: ჭინჭარაულები, არაბულები, ქეთელაურები. პირიქით ხევსურეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ალბად, მოსაზღვრე (სანაპირო) რაზმების შთამომავლობისაგან წარმოიშვა. ეს რაზმები კი სხვადასხვა თემისა და გვაროვნებისაგან შესდგებოდა. აქ არიან, მაგალითად, **გიგაურები, ცისკარაულები, ჯაბუშანურები, ბალიაურები, ნაროზაულები, ოჩიაურები** და სხვა.

მაგრამ, ცხადია, მხოლოდ ასეთი ცნობებით არ შეიძლება ეს საკითხი ამოწურულად ჩაითვალოს. ამას ჯერ კიდევ ხანგრძლივი და სპეციალური კვლევა-ძიება დასჭირდება.

ხევსურული ტანისამოსი.

ხევსურები ტანისამოსს შინნაქსოვი შალისას ამზადებენ და თვითონვე ღებავენ ბალახეულობის ნახარშში—მუქ ლურჯად, ყავისფრად, მწვანედ ან შავად.

ამ საქმეს ხევსურის ქალები უძღვებიან. ქალებს აცვიათ კოჭებამდე დასული შალის ჯუბა, რომელიც იმავე დროს პერანგის მაგიერობას ეწევა. ჯუბაზე მანდილოსნებს აცვია მოკლე ჩოხა, რომელიც შემკულია სიმეტრიულად ნაქარგი ორნამენტებით.

მამაკაცის ტანისამოსი ერთგვარად განირჩევა დედაკაცის ტანისამოსისაგან. კაცებსაც ისეთივე ორნამენტებით ნაქარგი შალის პერანგები აცვიათ, როგორც ქალებს, თუმცა მათი პერანგები გაცილებით უფრო მოკლეა. ეს პერანგები შემკულია მრავალი ორნამენ-

ტით და ჩაქარგული ძაფის ჯვრებით. პერანგის ზემოდან მამაკაცები იცვამენ კალთა-კალთაზე გადადებულ საუკეთესო ხარისხის მაუდის ჩოხებს.

სურ. 10. მამულა ჭინჭარაულის ოჯახი სოფ. შატილიდან (მამულას ქუდი, შარვალი და ჩექმები არა ხევსურულია).

ამჟამად ხშირად შეხვდებით ქართულად გამოწყობილ ხევსურს. ეს მოვლენა უახლოესი ჩვენი დროის ამბავია. (იხ. სურათი №-10).

ზამთრობით ხევსური, მამაკაცი თუ ქალი, ზემოდან იცვამს **გუდანურს,** ესე იგი ტყავის ქურქს.

ხნიერი და მოხუცებული მამაკაცები თავზე იხურავენ მაუდის ყალამიანი, ცხვრის ტყავის ქუდებს, ახალგაზრდობა კი—მძივებითა და ორნამენტებით მორთულ დაბალციან ნაბდის ქუდებს.

როგორც მოხუცი ხალხის, ისე ახალგაზრდების ქუდს შიგნიდან დატანებული აქვს ფიცრის ან რკინის რკალი, ოომ კეჭნაობის ან ფარიკაობის დროს თავს იცავდეს დაშნისა თუ ხანჯლის ჭრილობისაგან.



სურ. 11. ხევსურის დედაკაცი პრიმიტიულ სართავ მანქანაზე (ჯარა) მატყლიდან ართავს ძაფს.

ქალებს შვიდი წლიდანვე საოჯახო საქმეს აჩვევენ. უპირველესად ასწავლიან მატყლის შემზადებას (ჩეჩვა, რთვა, ქსოვა), ათი წლიდან კი—ჭრა-კერვასა და ქარგვას. (იხ. სურათი მე-11-12.)

საზოგადოდ, ქალები ბავშვობიდანვე მხარში უდგანან დედას ყველა საოჯახო საქმეში.

ხევსურეთის ჩაცმულობა რადდეს აღწერილობით.

ტაბ. I, სურ. 1. ამ ხალვათ ტანსაცმელს, რომელსაც **ჯუბა** ეწოდება, პერანგის მაგიერ იცვამენ შიშველ ტანზე და კოჭებამდე სწვდებათ. ჯუბის წინა კალთები ბოლომდე სადაა, ზურგის შუა ნაწილთან კი ორი ხელის გულის სიგრძეზე იწყება ნაქარგი ზოლი, რომელიც ბოლომდე ჩასდევს და ფარშემო ქობად ევ-



სურ. მე-12. ხევსურის დედაკაცი საქსოვ დაზგაზე მუშაობის დროს (სოფ. ხახმატიდან).

ლება. ეს ზოლი ფერად-ფერადია: მუქი წითელი და ყვითელი, ხოლო გარშემო შავი ზოლი მისდევს. სამივე ფერის ზოლი გაბმითაა ჩაქარგული და სიგრძივ ჩაგვირისტებული. ზოლები თანაბრად მისდევს ერთმანეთს $^1/_4$ დიუმის მოშორებით. საყელო-გულისპირი განივრადაა ამოჭრილი, საყელოს სიმაღლე 2 დიუმი იქნება და სარჩულად უძევს ძველი ტილოს ნაჭერი, გარედან კი მძივებით მოქარგული



2.



ორი ზოლი შემოსდევს რამდენიმე ღილით. საყელოს კუთხეები წინიდან მორგვალებულია. გულისპირისა და საყელოს წინა მხარეს ჩაქარგული აქვს წითელ-ყვითელ ვიწრო ზოლი ოთხ წყებად, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, რომელშიაც ვიწროდ ჩართული აქვს წითელ-ყვითელი ქსოვილი, გარშემო კი მისდევს ყვითელი მძივით ნაქარგი ზოლი. ამათ შუა მოთავსებულია ორი კვადრატი წითელი ქსოვილისა, რომელსაც ცალ მხარეს თეთრი გვირისტი ჩასდევს. მობრტყო ყვითელი ზოლის შემდეგ ჩაკერებულია დაკბილული კუწუბი, ერთი მეორისგან თანაბარი მანძილით მოშორებული ენებით, სიგრძის ზოლები შიგ ნარევია: თეთრი, შავი და ყვითელი ნაკუწებისა.

ეს გახლავთ მაიაკაცის მოკლე პერანგი მუქი წითელი ფერისა. ტლანქი შალის ქსოვილია. (ტაბ. I სურ. 2)

ხევსურები ცდილობენ, რაც შეიძლება ლამაზად შეამკონ პერანგის გულისპირი. საკმარისია გულდასმით დააკვირდეთ აქ მოთავსებულ სურათს, რომ ეს თავისებური ორნამენტაცია წარმოიდგინოთ.

ყველა ჩაკბილული თუ პარალელურად მიმდევარი ჩაფარიშები თვითონ პერანგის ქსოვილზეა ჩაგვირისტებული საგულისგულოდ შერჩეულ ფერადი მძივებით. წინა მხარეს, გულისპირის შუაში დატანებულია სამკუთხა ნაჭერი, რომელსაც შუაგულსა და კუთხეში ღილები აკერია, შუა ღილის გარშემო მძივებია ჩაქარგული. ამ სამკუთხედის ზემოდ ორი ასხმული მძივია დამაგრებული, ქვემოდ კი ხუთი ასხმულა. ეს მორთულობა ფერადფერადია: წითელი, თეთრი და შავი.

ტაბ. II. პირველ სურათზე მოცემულია ქალის საგარეო ზედატანი, ე. ი. **ქალის ჩოხის** ხურგი. აქ მოსჩანს ვერცხლის სირმებით მოქარგული და ვერცხლის ღილებით შემკული სამხრე. ეს სამხრე (კაპიშონი) თავზე არ წამოიხურება, რადგანაც ჩოხის ზურგზეა დაკერებული. ჩოხის მორთულობას წარმოადგენს თანამედროვე იაფფასიანი ნაწარმოები. ჩოხის წინა მხარეს მოვლებული აქვს ინდიგო-ლურჯი გვირისტი, რომელსაც გარშემო ჩასდევს იმაზე უფრო მობრტყო მეწამული და წითელი ფერის ზოლები. მათ შუა ჩართულია ჩაკბილული კუწუბი. ამ სამივე ზოლის შუა ჩასდევს საგულისგულოდ შერჩეული მძივის გვირისტი. წითელ ზოლს ჩამწკრივებული აქვს ღილები, რომელთა გარშემოც მოვლებულია წითელ-ყვითელ-შავი ფერის ყაითანი, რომლის ბოლოებიც ფოჩად ეშვება.

მე-2 სურათზეა **მამაკაცის ჩოხა**. ასეთ ჩოხას მეტ ნაწილად ლურჯი შალისას ჰკერავენ და შესამკობად ზედ აკერებენ კუწუბა



ტაბულა II.

ზოლებს. ამ სურათზე, მკერდის მარჯვენა მხარეს უბის ჯიბე მოსჩანს, რომელიც ჩვეულებრივ არ წარმოადგენს ამ ჩასაცმელის აუცილებელ კუთვნილებას.

ჩოხას ბრტყელ ზოლად ორსავ მხარეს ჩასდევს ამოქარგული ჯვრები თეთრი ვიწრო სირიფით, რომელსაც შუა ჰყოფს მასზე უფრო წვრილი ზოლი, რომელიც გვერდით ჩასდევს და მთელი ჩოხის კალთებს ქობად ევლებად. ამ სურათზე ნათლად მოსჩანს ერთი მეორეზე მიწყობილი, გარდიგარდმო დალაგებული და ქეშად დაგეზებული თარგები. ყველა ეს თარგები ჩოხაზეა დაკერებული. თარგები ფერადფერადი ქსოვილისაა—წითელი, ყვითელი, ცისფერი, თეთრი, ნარინჯის ფერი და ყველა ეს ფერები მოხდენილად, შნოიანად და გემოვნებით არის შეხამებული.

ტაბ. III, 1 სურათზე გახლავთ ქალის **შუბლთსაფენი**. მას ამზადებენ ზოლიანი ტილოს ქსოვილისაგან. მისი სიგრძე $2^1/_2$ გოჯს უდრის და ბოლოში შალის ფოჩები აქვს ჩაკბილული, შიგ ჩაქარგულია ყვითელ-ყვითელი ჩაკბილული კუწუბები.

შუბლთსაფენის შუაგულში ამოქარგულია ჯვარი, მისი კუთხეები კი ღილებითაა შემკული. შუბლთსაფენის ბოლოები კისრისკენ ეშვება. მის ქვეშ თავსდება ამაზე უფრო ვიწრო და მარტივი შუბლთსაფენი ყალბი ნაწნავების დასამაგრებლად (იხ. სურ. 4.)

მე-3 სურათზე გამოხატულია ხევსურული ხელთათმანი. ეს ხელთათმანი მეტისმეტად თავისებური რამ არის. მას გარშემო მოვლებული აქვს კუწუბიანი ქსოვილი და ღილები.

განსაკუთრებით საგულისხმოა ამ ხელთათმანის გარშემო კუწუბად შემოყოლებული რკინის პაწია რგოლები (იხ. სურ. 9.)

ხევსურული ხელთათმანი ნამდვილი ფუფუნების საგანია. **მას** მუქ წითლად ღებავენ ან ენდროს ფერად და თავისებური ელფერი აქვს. ხელთათმანი აღმა-დაღმა და გარდი-გარდმო გვირისტითაა დაბლანდული, რაც მას სიმკვიდრეს და გამძლეობას ჰმატებს. ხელთათმანი შემკულია მძივებით და ღილებით.

მე-5 სურათი ხევსურულ **წინდას** წარმოადგენს. ხევსურული წინდა ფეხს მხოლოდ კოჭამდე ჰფარავს. მას ქსოვენ წმინდა თეთრი ბაწრისას და შემდგომ ზედ აბლანდავენ სხვადასხვა სახეებს მუქი წითელი და ლურჯი მატყლის ბაწრით.

მე-6 სურათზეა ხევსურული **დროშა** ანუ ბაირაღი. ხის ტარზე აცმულია ვერცხლის ბირთვი, რომელზედაც ზოგჯერ პაწია ვერცხლის ჯვარია ამართული და დროშის ტარზე ჩამოკიდებული სხვადასხვა ქსოვილის რამდენიმე ნაჭერი.



1



2

3.



4.



5.

ᲝᲜᲔ. IN.

ხევსურის შეიარაღება რადდეს აღწერილობით და მცირეოდენი შესწორება-დამატებით.

აქვე ვათავსებთ ძველებური ხევსურული იარაღის აღწერილობას, კაჟიანი თოფის გარდა, რადგანაც იგი უკვე ხმარებიდან გამოდევნა თანამედროვე ხაზიანმა თოფმა (ვინტოვკამ) (ტაბულა IV).

1 სურათზე ჩაჩქანი ანუ წვრილთვალა. სიგრძით $1^1/_4$ არშინი იქნება, სიგანით კი $^3/_4$ არშინი, თუ მხედველობაში ძივიღებთ საშუალო მკერდის ზომას. ჩაჩქანი უამრავი წვრილი რკინის რგოლებისაგანაა შეჭედილი, რომელთა საშუალო განი გოჯის ერთ მეოთხედს უდრის, რგოლები ოდნავ შეზნექილია და დაკავშირების ადგილას ცოტა შესქელებული.

რადგანაც ჩაჩქანის ეს რკინის ძეწკვები ყველა მიმართულებით მისდევს აღმა-დაღმა თუ გარდიგარდმო, ამის გამო თვითეული რგოლი ოთხ რგოლზეა დაკავშირებული, განაპირა მწკრივის რგოლები კი მხოლოდ მის ასწვრივ მდებარე რგოლებთან. ეს ჯაჭვის პერანგი თავზე ჩამოცმით ჩაიცმება. ჩაჩქანის გული ჩაჭრილია 5—6 გოჯის სიგრძეზე, საკინძის შესაკრავი მოთავსებულია კისერთან და იკვრება აშკის ხრიკაზე. საყელო შეიძლება მთლიანადაც შეიკრას და ნაწილობრივადაც, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. საამისოდ საკმაოა, რომ ერთერთი მამალი ხრიკა რომელიმე დასწვრივ რგოლს მოსდოთ. ჩაჩქანის სახელოები ბოლოში 7 გოჯის სიგანისა იქნება, სიგრძით კი ისეთი მოკლეა, რომ მხრის ძვალს ნახევრობამდეც ვერა სწვდება. ჩაჩქანის კალთები იშვიათად თუ ერთდება. ჩაჩქანს მუცლის დასაფარავად წინა მხარეს აქვს ჩაჭედილი სამკუთხედი, ასეთივე სამკუთხედი, მაგრამ უფრო მომცრო, ზურგის ძხრივაცა აქვს.

მე-2 სურათზე გამოხატულია ოდნავ გამოზნექილი **ლითონის** ქუდი, რომელსაც **ჩაფხუტი** ეწოდება. ჩაფხუტი სიგანით $3^1/_2$ გოჯი იქნება, სიმაღლით კი 1 გოჯი. ჩაფხუტი ოდნავ მოკალული სპილენძისაა და თხლად განკვეთილ ბირთვს ემსგავსება. ჩაფხუტს ყალამის ადგილას გაკეთებული აქვს გამოზნექილი სქელი როზეტკა ოდრიგალის მსგავსად მოხრილი და კუთხოვანი. მისი ზედაპირი მოფენილია ღილის მოყვანილობის ბურთულებით. თვითონ ტლანქი ნაოსტატარია, ალბად ხევსურულ სახელოსნოშია დამზადებული. ჩაფხუტის ყალამას გარშემო ახლო-ახლო დატანებული აქვს ნაჩვრეტები, რომლებზედაც დამაგრებულია წვრილთვალა ჯაჭვის ბადე, რომელიც თავს და კისერს ფარავს. ეს ბადეც იმგვარადაა ნაჭედი, როგორც ჩაჩქანი.



Таб. IV.

სახის ქვედა ნაწილისათვის ჩაფხუტს დატოვებული აქვს ღია ადგილი $2^1/_2$ გოჯის სიგანისა და 2 გოჯის სიმაღლისა. ჩაფხუტი ნაწილობრივად მხრებსაც იფარავს. მჭიდროდ დასახურად ჩაფხუტს ორსავე მხარეს გამობმული აქვს ნიკაპის ქვეშ შესაკვრელი მაგარი თასმა.

მე-3 სურათზე გამოხატულია მარტივი სახის **სამკლავე**. ეს სამკლავე რკინისაა და ორსავ მკლავზე იხმარება.

მის მორთულობას შეადგენს ან ზედნატკეცი ქანდაკებანი და მაშასადამე გამოზნექილი, ან შიგ ნაჭდევი და მოვარაყებული სახეები. სამკლავის შიგნითა პირი გლუვია, ზეპირს კი ზოგჯერ დასწვრივი ხაზები ჩასდევს ჭდევით, სამკლავეს ბოლოში შიგნითა თუ გარეთა გვერდის მხრიდან წანამატი აქვს ჩაქსოვილი მაჯის დასაფარავად შესაკრავით, რომლის საშუალებითაც სამკლავესთან გადაბმულია აგრეთვე წვრილთვალას ხელთათმანი. ეს წამატებული ხაწილი ან სამკლავეზეა შეჭედილი ან კიდევ წვრილი ანჯამებითაა გადაბმული. მაჯის დასაფარავი ნაწილი ორ მოგრძო ლითონის ფირფიტისაგან შესდგება. სამკლავეს თავსა და ბოლოს დატანებული აქვს ბალთები და ტყავი მკლავზე დასამაგრებლად. ბოლოზე ჩატანებული აქვს ლითონისავე თათმანი. თათმანს ამზადებენ ორფა წვრილთვალა რკინის რგოლებისაგან, როგორც ჩაჩქანს, ზოგჯერ კი თათმანი ცალწვერა მავთულისა იჭედება. თათმანს სპრჩულად უდევს მწვანე ფერის მსხვილი მაუდის ნაჭერი. წვრილთვალას ორმაგი თათმანის განაპირა რგოლები წვრილთვალას რგოლებზე მაგრდება, ისე რომ ეს ჯაჭვის თათმანი ხელზე კი არ ჩაიცმება, არამედ ხელის ზურგს ეფარება.

ყოველი ხევსური მუდამ თან ატარებს ორპირლესულა ხანჯალს, დაკვრითი და ძგერებითი ჭრილობის მისაყენებლად. ამას გარდა ხევსურები ორგვარ დაშნას ატარებენ. ერთი სწორეა ხანჯალივით, მხოლოდ ცარპირლესულა და ყუიანი. მისი პირის სიგრძე 11 გოჯს აღწევს, სიგანე კი სამი გოჯიც არ იქნება. ყუის სისქე ბოლოსკენ თანდათან თხელდება და ბოლოში ერთი მერვედი დიუმი იქნება. დაშნის ტარი ტლანქი ნამუშევარია, ან რქისა ან ძვლისა. თუ ძვლისაა, მაშინ ხმლის ტარი შუაზე გადახერხილ ძვლის ორი ფირფიტისაგან (კოტასაგან) შესდგება. როგორც ხმლის ტარი, ისე ქარქაშიც შემკულია მრავალი თითბრის ბალთებით, ზოგი შიგ ნაჭდევი, ზოგი დაკავშირებული და მეტად ტლანქი ნამუშევარი. ამავე ხასიათისაა მისი მორთულობაც—სიგრძეზე მწყობრად მიმდევნო ხაზები, პაწაწუნა წერტილები, რგოლები და სხვ. (იხ. სურ. 4, 5).

ქარქაში ხისაა, ხოლო გარედან გადაკრული აქვს ბოუქნელი, ხამი ტყავი, ხშირად თავიდან ბოლომდე თითბრის სალტებით შეჭედილი.

ამ სწორსა და კუდალა დაშნასაც ქამარზე იკიდებენ ისევე, როგორც მოგრძო და ოდნავ მოხრილ ხმალს. ქამრის ზედაპირი ტლანქი ნამუერევარი ბალთებითაა შემკული, როგორც სჩვევიათ კავკასიის სხვა ერებსაც. საჭიროა დაუმატოთ, რომ გრძელ ხეალს იმაგრებს აგრეთვე მხარიღლივ გადატარებული ტყავის თასმა. კუდალა დაშნა-კი მხოლოდ ქამარზეა ჩამოკიდებული. ხევსურული ხმალი ოსმალურ ხორასანს (ფალაშს) ბოგვაგოხებს, თუმცა იმაზე უფრო ნაკლებაა მოხრილი, ხმლის ტარს გარდიგარდმო დატანებული აქვს ბლაგვწვერიანი რკინა, რომ ხეარების დროს ხელი ხმლის პირისკენ არ დასხლტეს. ხევსურული ხმალი საერთოდ ამითი განსხვავდება ჩვენს ქვეყანაში ხმარებულ ხმლებისაგან, რომლებსაც ტარი სხვაფრივ მარჯვე სახმარებელი აქვთ, მაგრამ ბაინც შეიძლება დაქნევის დროს ხელი ხმლის პირისკენ დასხლტეს.

შემდეგია **ფარი** , რომელიც მორგვალებულ რკინას წარმოადგენს, შიგნიდან კი მას სარჩულად უძევს ბაგარი, სქელი ტყავი. ამ მობოკვილ რკინას გარს შემოყოლებული აქვს წვრილი რკინის სალტე ნახევარ დუიმის სიბრტყისა, რომელიც უამრავი წვრილი ლურსმებითაა მიჭედილი და ლურსმის წვეროებიც შიგნითვეა შებრუნებული. (იხ. სურ. 6, 7, 8).

ამ სალტის შიგნით $^1/_2$—2 დიუმის მოშორებით მისდევს მეორე რკინისავე სალტე ლურსმებით შეჭედილი. შუაგულში ჩამჯდარი აქვს ოთხკუთხი რკინა, რომლის ხაპირებიც შიგნიდაა შეზნექილი, მისი კუთხეები გადაჭიმულია და ტყავზეა მიმაგრებული. ტყავზე, მეტი სიმკვიდრისათვის კიდევ ორი რკინის შიბია გარდიგარდმო და აღმა-დაღმა ლურსმებით დამაგრებული, რკალის შუაგულში გადაჯვარადინებული და ფარის კიდეებზე მიმაგრებული. ფარის შუაგულში მოთავსებულია მოზრდილი გამოზნექილი რკინის ბუშტი ნახევარ სფეროს მოყვანილობისა.

შუალა ოთხკუთხედს კუთხეებში დატანებულია აქვს რკინის პატარა ანჯამები, რომელიც ფარშია ჩასმული, ამ ანჯამებზე მაგრდება ტყავის სახელური. სახელურს ხამი ტყავის თასმისას გრეხენ, ორი ასეთივე ანჯამა დამაგრებულია ფარის ზემო ნაწილში, რომელზედაც გამობმულია გრძელი ტყავის თასმა, რომლითაც ფარს მხარიღლივ იკიდებენ.

საცერული. ეს არის რკალივით მოხრილი ბეჭედი 1—2½ გოჯის სიგანისა. საცერულს ჩვეულებრივ რკინისას აკეთებენ, თუმცა სპილენძისა და რკალისაც გვხვდება. (იხ. ტაბ. III, სურ. 9, 10).

საცერულის შიგნითა მხარე ზოგჯერ ვიწროდ მომრგვალებულია, ზოგჯერ კი სწორკუთხოვანი წანამატით ბოლოვდება. ამ საკრივო ბეჭედს საცერულა მისთვის ეწოდება, რომ ცერის თითზე ატარებენ. საცერულის ზევითა ნაწილი, მთელი ბეჭდის სამი მეოთხედი, ბასრი კბილებითაა დაფარული. ჩხუბის დროს საცერულიან ხელს მუშტად კუმშავენ.

საცერულისაგან მიღებულ ნაკაწრს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ საცერულის დარტყმა ორნაირი სცოდნიათ: პირველ შემთხვევაში, დამრტყმელს თუ მიზანში ამოუღია სახე, მაშინ საცერულიანი მუშტი ისე დაირტყმება, რომ შუბლი ჩამოკაწროს და ცხვირი გახეთქოს; მეორე ნაირი დარტყმით კი საცერული ხვდება ყურის ძირას და ლოყაზე გადაქანდება.

საცერულს ხევსურები ხმარობენ მაშინ, როდესაც ჩხუბი მოუვათ გადამტერებულთან და არა მესისხლესთან. ხევსურების გაგებით სულ სხვაა, თუნდაც უბრალო მიზეზით გამოწვეული გადამტერება და ჯავრის ამოყრა და სულ სხვაა შურის ძიება, მესისხლეობა. საცერულს ხმარობენ მხოლოდ ჯავრის ამოსაყრელ ჩხუბში, რომ მოპირდაპირეს ნიშანი დააჩნიონ.

ხევსურების ბინა. ხევსურების სიბეჩავეს და უკულტურობას მათი საცხოვრებელი ბინები და ძათი მდგომარეობა ადასტურებს.

ეს ბინები ისეთი ბნელია და ვიწრო, რომ შეუჩვეველი ადამიანი ვერას გაარჩევს და დიდხანს ვერ გასძლებს შიგ. ხევსურების შენობები სიპი ქვის ყორეს წარმოადგენს (იხ. სურ. № 43), რომელშიაც სინათლე მხოლოდ ბანის ერდოდან ჩადის, იგივე ერდო ეწევა სამჭვარტლე მილის (ბუხრის) მაგიერობასაც. შეიძლება ზოგჯერ კედელში სადმე დაატანონ პატარა სარკმელი. სახლის შუა გულში ძევს მოზრდილი ქვა, სადაც ხევსური ცეცხლს ანთებს. ეს არის კერა. კერაზე იწვის წივა (ან ქურთი), რომელიც მწვავე სუნს აყენებს ხევსურის ქოხში. იმავე სახლში, ტყლუშურით გადაღობილის იქით ხევსურს ძოთავსებული ჰყავს შინაური საქონელი, რის გამოც სახლში ერთავად სუნი ტრიალებს. ამავე დროს ახლად ნაშობ ბატკანს თუ ხბოს თავისთან ამყოფებენ საცხოვრებელ განყოფილებაში.

მიუხედავად ასეთი ანტი-ჰიგიენური პირობებისა, ხევსურებში ხშირად შეხვდებით ღრმად მოხუცებულ ადამიანებს.

ჩვენი მოგზაურობის დროს სოფ. კვირიწმინდაში მოგვეგება ჭარმაგი და მხიარული მოხუცი **თორლა გიგაური** 107 წლისა, რომელიც ჯერ კიდევ თვითონ ხნავს და ჭირნახულსაც თვითონ აიკრეფს თურმე.



სურ. № 13. ხევსურების ბინა.

თორღა მოგვესალმა:

— მობრძანდით მთავრობის ხალხო!

სოფ. ჭრმღაში გავესაუბრეთ მოხუც **გაბური ამაისიძეს**, რომელიც 120 წელს გადაცილებული იყო, მაგრამ ისე ყოჩაღად იყო, რომ ყველა საოჯახო საქმეს თვითონ უძღვებოდა.

იმისდამიუხედავად, რომ საღი ჰავის წყალობით ხევსურეთში ისეთ ხნიერ ადამიანებს ვხვდებით, როგორც თორღა გიგაური და გაბურია, რადდეს მიერ მოყვანილი 1873 წლის სტატისტიკური ცნობები 1928 წლის ცნობებთან რომ შევადაროთ, ნათლად დავინახავთ, რომ ხევსურეთის მოსახლეობა კი არ მატულობს, არამედ კლებულობს.

ამრიგად, 55 წლის განმავლობაში,—1873 წლიდან 1928 წლამდე, ბარისახოს თემის მცხოვრებთა რიცხვი 577 სულით, ესე იგი 31% შემცირებულა. თითქმის ასეთსავე სურათს ვხედავთ ხევსურეთის სხვა რაიონებში.

ხევსურეთის მცხოვრებთა რიცხვის შემცირების ხელშემწყობი მიზეზები

ხევსურეთის მცხოვრებთა შემცირებას ხელს უწყობს არა ხელსაყრელი და ხშირად ფიზიკურად აუტანელი პირობები, მაგალითად: საცხოვრებელი ბინის ანტისანიტარული მდგომარეობა, ქალის აუტანელი ფიზიკური შრომა, დედათა წესის და მშობიარობის დროს სამრევლოში *) მოთავსება, რომელსაც ზამთრის საშინელი ყინვების დროსაც კი არ ათბობენ, რის გამოც ხშირად მშობიარეც და ახლად შობილიც იღუპებიან.

ხევსური ქალები ხშირად ხელოვნურად აჩერებენ დედათა წესს სხვადასხვა შხამიანი ბალახის წვენის მიღებით. ასეთ საშინელებას იმიტომ მიმართავენ, რომ მუშაობის გაგრძელების საშუალება და ოჯახში და საზოგადოებაში დარჩენის უფლება ჰქონდეთ.

ასეთი პირობები კი იწვევს ქალის ორგანიზმის დასუსტებას, სხვადასხვა ქალური ავადმყოფობით დაუძლურებას, რაც ხშირად სიკვდილით მთავრდება.

თუ ამას დაუმატებთ ხელოვნურად მუცლის მოშლას ქალის გათხოვების პირველ სამ წელს და სისხლის აღების წესს, რომელსაც ჯერ კიდევ ღრმად აქვს ფესვი გადგმული, ჩვენთვის აშკარა იქნება, თუ რატომ მცირდება ხევსურთა რიცხვი.

---

*) სამრევლო—ის ადგილია, სადაც ხევსურების ქალები და დედაკაცები იმყოფებიან დედათა წესის და მშობიარობის დროს.

ს ი ა

ხევსურების სოფლებისა და საზოგადოებისა, სადაც ნაჩვენებია თუ რამდენი კომლი და სული იყო 1873 წლის ცნობებით და რამდენია 1928 წლის აღწერის მიხედვით

I. ბარისახოს თემი ხევსურეთის არაგვის ფარგლებში

1873 წ. ცნობები რადდესიდან	რამდენი კომლია	1928 წ. ცნობები—ორივე სქესის მცხოვრებთა რიცხვი	რამდენი კომლია	შენიშვნა
1. ბარისახო . . .	39	111	28	
2. აქუშო . . .	26	88	16	
3. აჭე	18	51	13	
4. აჩეხა	4	19	6	
5. ბობჭვილო*) .	20	41	8	*) სწორია ბოკვჭილო
6. ბუჩუკურთა . .	20	42	10	
7. გველეთი . . .	13	59	14	
8. დათვისი . .	39	100	26	
9. ქობულო . . .	11	32	8	
10. მოწმოვო*) . .	19	86	26	*) მოწმო
11. ოხერხევი . . .	10	30	8	
12. საბერწე . . .	5	27	6	
13. საშილე*) . . .	8	12	3	*) სახილე
14. უკანაფხო . . .	27	49	12	
15. ჭალა*) . . .	10	33	9	*) ჭალა—ჭალის სოფელი ერთი და იგივეა
16. ჩირდილი . .	36	81	16	
სულ მამაკაცი 723. დედაკაცი—718	1441 სული ორივე სქესის	864 სული ორივე სქესის	209 კომლი	

ხევსურების ჩამორჩენილობა იქამდე მიდის, რომ ისინი დარწმუნებული არიან, რომ თუ ვაჟიშვილებს სხვადასხვა **ნადირის** სახელს უწოდებენ, ისინი დიდხანს იცოცხლებენ, რადგან, ხევსურების წარმოდგენით, წმინდა სულები არ მოინდომებენ საქმე იქონიონ მხეცებთან, ხოლო რაც შეეხება ბოროტ სულს, მას მხეცი ადვილად გაუმკლავდება და თავის სეხნიას გადაარჩენს. ახალგაზრდობას, რასაკვირველია, ეს არ სწამს, მხოლოდ მოხუცები კი ღრმად არიან ამაში დარწმუნებული.

ამ რწმენის შედეგად ხევსურეთში ასეთი სახელები გვხვდება: ვეფხვია, ნადირა, დათვია, მგელია, მგელიკა, ძაღლიკა, ლომია, ტურია, კურდღელა და სხვა.

თავი მეოთხე

მცხოვრებთა საქმიანობა. მიწადმოქმედება

მიწა (ნადელი), რომლითაც ხევსურები სარგებლობენ, მეტად მცირე და უნაყოფოა. გარდა ამისა, ისეთ მაღალ მთის ფერდობებზეა, რომ ძალიან დიდ მოვლას და დროს მოითხოვს.

რაც უფრო მოუხვრხებელ ადგილასაა ნადელი, მით უფრო მეტი შრომა და დრო სჭირდება დასამუშავებლად. ამიტომ ხევსურები თავის მიწის სიდიდეს ანგარიშობენ არა ფართობის მიხედვით, არამედ დროთი, როძელიც მის დამუშავებაზე იხარჯება. 10—20 დღის საბუშაო მიწა უდრის მხოლოდ 2—5 ჰექტარს. ასეთი წვითა და დაგვით მოყვანილი მოსავალი ხევსურის ოჯახს ძლივს აკმაყოფილებს.

პირაქეთ ხევსურეთში გვხვდება: ქერი, შვრია, უგრეხელა და ჭვავი, ბარისახოს რაიონში—ნაწილობრივ ხორბალიც (იფქლი), პირიქით ხევსურეთში—ქერი, შვრია, ჭვავი. ბოსტნეულიდან ხევსურეთში მხოლოდ კართოფილია.

ხევსურეთში ჯერაც არ ჩატარებულა მიწადმოწყობა, აქ ისევ მამაპაპური მფლობელობაა. საძოვრები, სახნავები და სათიბები ძველებურად ნაწილდება.

დამახასიათებლად უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურეთიდან კახეთში და სხვა კუთხეებში დასახლებული ხევსურები ახლაც კი სარგებლობენ და იჯარას იღებენ იმ მიწებიდან ($^1/_3$ მთელი მოსავლისა), რომელიც ოდესღაც მათ მამა-პაპას ეკუთვნოდა და დღეს მეზობლები საზიაოოდ ამუშავებენ.

ჩვენ შევძელით შეგვეგროვებინა ცნობები ისეთ პირებზე, რომლებიც სხვაგან მოსახლეობენ, ხოლო ხევსურეთში დარჩენილი მიწები მათ იჯარით აქვთ გაცემული ადგილობრივ მცხოვრებლებზე.

მესაქონლეობა.

მთიან ხევსურეთში მეტად მცირე ხვნა-თესვისათვის გამოსადეგი ადგილებია და, რაც არის, ისიც ისე მწირია, რომ მისი დამუშავებაც კი არ ღირს. ასეთ ადგილებში მცხოვრებნი მესაქონლეობას მისდევენ, რადგან აქ მეტად ბევრი ალპიური საძოვრებია, და აქაური ხევსურის სიმდიდრე და კეთილდღეობაც იმით გაიზომება, თუ რამდენი სული ძროხა ჰყავს მას.



სურ. № 14.
ხევსურის ოჯახი.
დიასახლისი პრიმიტიულ მოწყობილობით (სადღობელი)
ამზადებს კარაქს.

ხევსურული ძროხა ადვილი მოსავლელია და ყოველგვარი პირობების ამტანი. დღიურად იძლევა 15—50 ჭიქა რძეს, რომელიც მეტად სქელი და ნოყიერია.

სამწუხაროდ ჯერ კიდევ ხევსურეთში რძის ნაწარმოების დამუშავება ხდება მამაპაპური საშუალებებით (იხ. სურ. 14), მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ—ამ მივარდნილ წიაღშიაც, როგორიცაა ხევსურეთი, სეპარატორიც ჩქარა მოიკადებს ფეხს და გასდევნის მეურნეობიდან ძველ „სადღობელს“.

ძროხას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ხევსურეთში, რომ თითქმის ფულის ადგილს იჭერს, რადგან ყოველგვარ კეთილდღეობას და ავლადიდებას ძროხით ზომავენ.

სავაჭრო და სხვა ეკონომიური ურთიერთობა ძროხით ფასდება, მაგალითად, როცა ფარდაგს ყიდულობენ, იმაში 2—3 ძროხას აძლევენ.

ხევსურთა სიმდიდრის განსაზღვრა ასე შეიძლება: ღარიბის მეურნეობა შეფასებულია 3—4 ძროხად, საშუალოსი 7—8 ძროხად და კულაკისა—20 და მეტ ძროხად.

მეძროხეობის გარდა ხევსურეთში მისდევენ მეცხვარეობასაც, რომელსაც ეკონომიური მნიშვნელობა მხოლოდ ხევსურეთის შინაცხოვრებაში აქვს (რძიდან ყველის დამზადება, მატყლიდან—ხევსური შალის, ტყავიდან—ტყაპუჭების, გუდანურების). ხევსურეთიდან ცხვარი გარეთ არ გადის გასასყიდათ.

ხევსურეთში მეცხვარეობის საგრძნობლად ვანვითარება შეუძლებელია, რადგან ცხვარს საზამთრო საძოვრები სჭირდება, რომელიც ხევსურეთში არ გააჩნიათ, ხოლო ჩრდილო-კავკასიის საძოვრებით სარგებლობა ხევსურებს არ შეუძლიათ აქამდის აღმოუფხვრელ სისხლის აღების წესის გამო ინგუშებთან.

ხევსურები ნადირობასაც მისდევენ.

ნადირობა. ხევსური დახელოვნებული მსროლელია. ამიტომ უყვარს მას ამ ხელოვნების გამოჩენა. ხევსური მარტო თავის გასართობად, სავარჯიშოდ ნადირობს. იქ ნადირობას მხოლოდ პირადი გართობის ხასიათი აქვს.

ხევსურს უყვარს თავისი სიმარდისა და გაბედულობის გამოჩენა. ნადირობა მისთვის დიდი ვაჟკაცობაა, სადაც ათასნაირი საფრთხე მოელის გულად მონადირეს, როცა ის ჯიხვზე ნადირობს. ფრთხილ ნადირს კაცისათვის მიუვალი ადგილები უყვარს საცხოვრებლად.

ნადირობის მეტად ლამაზ და ცოცხალ სურათს იძლევა რაფ-

ერისთავი თავის „თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ ნაწერებში“ *).

„იქ, მიუვალ სალ კლდეებზე, სადაც ჯიხვი ბუდობს, სანადიროდ მიდის ორი ან სამი გაბედული მონადირე. ხან მათ ისეთ თვალმიუწდომელ სალ პიტალო კლდეებზე უხდებათ ფოფხვა, რომ სიცოცხლე მათი მაშინ ბეწვზე ჰკიდია“.

„არის შემთხვევა, რომ მონადირე თავბრუდამხვევ სიმაღლეზე მიდის და უცბად ბილიკი იკარგება, სწყდება. მაშინ მას მხოლოდ ისღა რჩება, რომ კლდეში ხანჯლით საფეხურები ამოსჭრას ფეხის მოსამაგრებლად, სანამ ისევ ბილიკს მიაგნებდეს. ამ საშინელ ბილიკზე სიარული უფრო ძნელი და სახიფათოა, ვიდრე ჰაეროსტრატით ფრენა. აქ, მიუვალ ადგილებში ბილიკი სამი გოჯის სიგანისაა, ერთის მხრივ—კედელივით აყუდებული სწორად ჩამოთლილი კლდე, მხოლოდ მეორე მხარეს თვალთუხილავი უფსკრული. ერთი უხერხული მოძრაობა—და სულიან-ხორციანად დაიკარგება მონადირე...

„როცა ჯიხვის კვალს მიაგნებს მონადირე, თოფის მანძილზე შორდება. ჯიხვისთვის იგი სტოვებს უფრო განიერ ბილიკს, რადგან თუ ის ასე არ მოიქცა და ჯიხვს გასაქცევი ადგილი არ ექნა, დამფრთხალი ჯიხვი ისეთი სიძლიერით გაექანება და ისე მძლავრად ჰკრავს მონადირეს რქებს, რომ უფსკრულში გადასჩეხავს...

„ჯიხვის ტყავი ხვდება მას, ვინც მოჰკლა, რქებს სამლოცველოს სწირავენ, ხორცს კი თანასწორად იყოფენ ნადირობის მონაწილენი“.

ზედმეტად არ მიგვაჩნია, რომ აქვე მოვიყვანოთ ზოგიერთი ხალხური ხევსურული ლექსები, რომლებშიაც საუცხოოდ არის დახასიათებული ჯიხვზე ნადირობა*)

ჯიკვს.

ჯიკვო, გუნებით მძიმეო, კლდიდამ რამ გამაგიყვანა?
ვაჟკაცმა პირ-შიშველამა სათავე წამაგიარა;
მშვილდმა მაგ შენი რქისამა დაგჭეხა, დაგათხრიალა;
ისარმა კილო-წითელმა იღლია გამაგიარა;
5 გულს მაგხვდა, მუკლსა გიწივა, მუკლ დადგა, ველარ იარა,
ჯიკვო საჯიკვის გორზედა, გასწიე, თორე თენდება,
გზას გიზის მენადირეი, სიკვისაგან კედრება.
ჯერ ვერ ას გათენებული, ნისლის კოტორი დაგედვა;
მაგრიდეს ნისლის კოტორთა, ცეცხლის გირკალი მაგება.

*) იხ. გაზეთი „Кавказ“ 1854 г., № 50.

*) პრ. ა. შანიძე „ქართული ხალხური პოეზია. I ხევსურული გვ. 201, 204, 207

ჯიკვზე ნადირობა.

ამაკე, მთვარის ნალეო, ამაანათე კლდესაო!
ჯიკვთ რო გაიგან მწვანილი,—დღისით სიმაგრეს წევსაო.
გზას უკრავს მენადირეი, ღამეს გაატანს ბნელსაო.
გათენებისად შაუკრავს გადასაკედსა წვერსაო.

—

5 ჯიკვნი საწოლთკე წასვლასა იგებენ სისკრის შუქითა,
ქუჩს სძოვენ თვირთვილიანსა, მიდიან წყნარის ბიჯითა.
როსაც წვერს დაეჯრებიან, გული უცხროობს შიშითა:
„ვა, თუ გზას გვეჯდას მოყმეი, ქვიშა შავღებათ სისხლითა!“

—

გაძრივლდა დილის ნიავი, ჩამახყიყინებს კლდესაო.
10 შაგიტყვა, მენადირეო, ჭყიტინებს, უცემს ფეკსაო.
გასწივა სალის კლდისკენა, აღარ ენდობის წვერსაო.
ყინვარში შენი შიშითა მშიერ აღამებს დღესაო.

—

ჩახენა მენადირემა, შამაიჯენჯა გულია.
სიცივისაგან გავკერდი ჯიკვების მაცადურია.
15 რა დაეკლების?—ამბობდა,—სალს კლდეში გადასულია.
კელთ აქვის თოფი-იარაღი, რა კარგა დამზადულია!

—

ახლა მშვიდობით წამიხვე. ჯიკვო, კლო რაღა ბგულაო?
გიშველა დილის ნიავმა, ახლა ცალია ვბრუნავო.
კიდე ჩამახოლ ლიხზედა, ეგრ კი ვერ წახოლ სრულაო.
20 გულ რო გახქონდას ტყვიასა, სულს ღლევდა, ამაშქუნაო.

—

სისხლი(თ) ძღებოდენ ყორნები, ხყეფდან სიკვდილის კმაზედა.
პირ-იქით ვეთელებოდით სხვას მეხადირეს გზაზედა,
მოყმესა პირ-შიშველასა მავხყევით თოფის კმაზედა.
ჯიკვო, ყინვარში ნაზარდო, შამაგყოლია კვალზედა.

—

25 საწყალო მენადირეო, ვის აქვ წვალება შენია?
შაკდომა გინდა (რას იქამ?), საცა ყინვრიან წვერია,
გამათხრა თავის საწოლსა, ღამე რო იყვას ბნელია,
კლდის ძირში გიგავ ლოგინი, კლდის ნაწვეთ ჩამაგდენია.

—

ძილს გიკრთობს ქვიშის წკიალი, გულჩი დარდი გაქვ მტრისაო,
30 გვერდს გიწევს შენი ბერდენკა, რკინას გულს იხვევ გრილსაო,
კელი გიკიდავ ზატორსა, იმედ გაქვ როგორც ძმისაო.
ცალკ სიცივე გალონებს, გმინს გააყოლებ გმინსაო.

—

შულამემდი რო გეძინას, მემრ დაძინება ძვირია,
დაგიყუვდების გვერდები, ჭაუხის ქვიშა გრილია.
35 საგათენებლო მასკვლავი გორის პირ გადახრილია,
მიზდევს ქვიშაზე სარტყელი, ჯიკვების გადაჭრილია.

—

წადი, შასწუხდი დედაი, გმინს გააყოლა გმინია.
რაად სწუხდები, დედაო? თაოდაც უფერ ჭირია.
ომი რო ნახას თვალითა, პირში დაშჩების ღმინია.
40 ფეკი ვერ წავა ცოცხალი, მტერ გზაში შამაყრილია.
მელექსეს თუ რას იკითხავთ, **გრანჯაის** გამათქმულია.

მენადირის ხიფართი.

ოკერო ჩვენო ტერლაო, მიჯნაო ქისტებისაო,
წინიდგე ძალით ნაჭერო ჩვენების ვაჟებისაო!
შიბ-წვერო გასაკედაო, მაგლილო ჯიკვებისაო!
პირ-იქითისკე შავ-წყალო, ფერი გძე სიმაგრისაო.
5 გარმადის არხოტივნები, სანადიროო სხვისაო.
შამაგიარეს, შავ-წყალო, ბოლოო გორებისაო.
გიგიამა და ადუამ ფერი დაიდვეს მგლისაო.
მკარზე სხავ ბერდენკაები, ჯარ უწყოვ გილდებისაო.
მაგაწიოკნესთ, ჯიკვებო, არ დაგიფერესთ სხვისაო.
10 ჩემსამც მაუვა დამწყევსა ხიფართი ეშმაკისაო!
ამხანიგს თოფი მოუხვდა, დღე დადგა ცოდო-ბრლისაო.
მარტიათაი ადუა დასანანები მტრისაო.
ნადირ კი არ მაღგონდების, აგდებს გულისგან გმინსაო.
ოდინათასა გიგიას გული ზდებივო ქვისაო,—
15 იქავ თოფევდა ნადირთა, ვითამ სრუ არა სჭირსაო.
მამრჩალან რა-კელს ალაგსა, შაკ-წყალ, ი წვერის ძირსაო.
ზედ ესწრობოდა ღამეი, ხანია ბნელებისაო.
ეგრე ითრევენ ერთ-ურთსა, დედა რო თავის შვილსაო.
მამრჩალან ველი-ველადა, ეხ' ვერ უპოვნავ კლდისაო.
20 გათენებს ტალიკანაი, დიდო ღამეო სთვლისაო.
ამაკე, ნულარ ღგვიანობ, სისკარო თენებისაო!

მაგივას ცის-პირ-ძვრისადა, სოფელო ქრისტებისაო..

ამაგის მალექსებელი საბოსლოს კარჩი ზისაო,
კელჩი უჭერავ ფანდური, ლექსებს ადვილად თვლისაო.
25 სალექსო გამამიტანეთ თითო გილდ ხაზინისაო.

მეურნეობის ფორმა. ხევსურეთში, როგორც უკვე ზემოთ იყო აღ-ნიშნული, გაცვლითი, ნატურალური სახეა მეურნეობის, რადგან ხევსურეთი ჩამოშორებულია მსხვილ სავაჭრო ცენტრებს და ეს კუთხე, რასაკვირველია, არ შეიძლება კაპიტალიზ-მის გავლენის ქვეშ მოხვედრილიყო, რადგან თვით მოსახლეობას არ აქვს მოთხოვნილება სამრეწველო ხასიათის პროდუქციაზე. ამიტომ იგი განაგრძობს ძველებურად.

მე-XIX საუკუნეში ხევსურეთის მეზობელ ადგილებში გზატკე-ცილების გაყვანამაც კი ვერ შესცვალა გაცვლითი მეურნეობა, იმ დროს, როცა ზედმეტი ნაწარმოები იქნა გატანილი ტფილისის და სხვა ქალაქების ბაზარზე.

ხევსურეთში შეტანილი ფული თითქმის უძრავად დევს, რად-გან შიდა ხევსურეთში აღებ-მიცემობა ფულზე არ სწარმოებს.

ხევსურეთში იარაღის ან სპილენძის ჭურჭლის და რკინის ავე-ჯის შეტანა ისე მცირეა, რომ არც ეს ჭქმნის დაგროვილ თანხის ბრუნვას.

ასე რომ აქ ფული სავაჭრო ურთიერთობაში არსებით როლს არ თამაშობს, ის მხოლოდ ხევსურების მცირე რიცხვის სიმდიდრის გამომხატველია, რომელნიც ღარიბებზე ბატონობენ.

თავი მეხუთე

ხევსურების რელიგიური შეხედულებანი.

ხევსურების სარწმუნოებას და რელიგიურ ადათ-ჩვეულებას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ იქ ერთი მეორეშია შერეული ქრისტიანობა, წარმართობა და მაჰმადიანობა.

ხევსურები დღემდე თაყვანსა სცემენ ქრისტეს, „ქალწულ" მარიამს, ანგელოზებს, მაგრამ ამავე დროს აღმერთებენ ბუნების ძალებს და სამღთოსაც სწირავენ მათ („ადგილის დედა" და სხვა,) მაგრამ მათ ჯვარის საიდუმლო ძალა იმდენად ძლიერ სწამთ, რომ ეს არის მათი სარწმუნოების და ხატის სიმბოლო.

მაგრამ ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ხევსურებს დიდათ მიაჩნიათ ისეთი დიდი ქრისტიანული უქმე, როგორიც არის კვირა დღე და სავალდებულოდ უქმობენ ამ დღეს, მაგრამ დიდ დანაშაულობად სთვლიან აგრეთვე მაჰმადიანთა პარასკევისა და ებრაელთა შაბათის გატეხას. ეს დღეებიც სავალდებულო უქმეებად ითვლება ხევსურეთში, თუმცა ასეთ უქმე დღეებში ხევსურებს ცოდვათ არ ეთვლებათ ქვრივ-ოხერისა და ობლების მიწის დამუშავება და საეკლესიო (ხატის) მამულზე მუშაობა; ხევსურეთში საერთოდ ძალიან გავრცელებულია უმწეო და ქვრივ-ობლის დახმარება.

ხევსურეთის ასეთი სარწმუნოებით განცვიფრებულია პოეტი რაფიელ ერისთავი და ასე სწერს: „საიდან შემოვიდა ხევსურეთში კურდღლის ხორცის აღკვეთა სომხებსავით, რომლებთანაც მათ საერთო არაფერი აქვთ? ან რისთვის უქმობენ ებრაელების შაბათს? ან ვინ ჩააგონა მათ ღორის ხორცის აღკვეთა, თავის პარსვა, მრავალცოლიანობა, რაც მაჰმადიანებს სჩვევიათ, მით უმეტეს, რომ ხევსურებს ასე სძულთ და ეზიზღებათ ისინი?" („Кавказ" 1845 г. № 45). მართალია, ხევსურები მრავალცოლიანობას ამჟამად ისე აღარ მისდევენ და სულ ორიოდე ასეთი შემთხვევა თუ არის აღსანიშნავი. 1928 წელს ასეთი შემთხვევა მხოლოდ 4 იყო მთელს ხევსურეთში. ხევსურს მეორე ცოლი მოჰყავს პირველი ცოლის სიცოცხლეშივე და უსათუოდ მისი დასტურით, უკეთუ პირველ ცოლთან ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგაც მემკვიდრე არ მიეცა. ასე რომ მეორე ცოლის შერთვა ხევსურს მხოლოდ პირველი ცოლის ნებართვით შეუძლია და ისიც მაშინ, თუ პირველი ცოლისაგან ვაჟი არ შეეძინა.

ჩვენის აზრით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ ხევსურეთში ასე მჭიდროდ არის ერთმანეთში გადანასკული სხვადასხვა სარწმუნოებრივი ადათ-ჩვეულებანი. მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პირიქით ხევსურეთის მოსახლეობა სხვადასხვა ეროვნებათა შერეულ შთამამავლობას წარმოადგენს; ამავე დროს ანგარიში უნდა გაუწიოთ მეზობელ ინგუშებისა (ქისტების) და ჩეჩნების გავლენას აღმოსავლეთიდან დაღესტნის მხრივ, ხოლო სამხრეთიდან კი შედარებით კულტუროსანი საქართველოს გავლენას.

თვითონ ხევსურების ჩაცმა-დახურვა და მოკაზმულობაც, მეტადრე სარწმუნოებრივი ადათ-ჩვეულების სხვადასხვაობანიც გვაფიქრებინებს, რომ ყოველივე ეს შერეული ეროვნული და სარწმუნოებრივი რწმენისა და ზნე-ჩვეულების ნაშთებია.

რელიგიური კულტის მსახურნი

იმ მიზნით რომ, პირშეუცვლელათ და წმინდათ ჰქონოდათ დაცული და შენახული ყველა ძველებური ადათ-ჩვეულებანი და რელიგიური წესები, და აგრეთვე რომ შესაძლებელი გამხდარიყო ყოველივე ამ სულიერი მოთხოვნილებებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, ხევსურეთში ჰყავდათ და დღესაც ჰყავთ—მრავალი ქურუმები და მოგვები, რომელთაც ხევსურეთში ეწოდება „ხატის კაცი“, **„ხატის მსახური“**.

„ხატის მსახურნი“ ორ ჯგუფად იყოფიან: პირველ ჯგუფს ეკუთვნიან სარწმუნოებრივი წესების ამსრულებლები, რომელთაც ეწოდებათ **,,ხევისბერი''**, **„ხუცესი“**, **„დეკანოზი“**, ხოლო მეორე ჯგუფს ეწოდება **„მოგვები“**, **„მკითხავები“** და **„მისნები“**. ამ უკანასკნელთა შორის ხევსურებში ყველაზე მეტის ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობს **ქადაგი**.

ხატის მსახურთა უფროსი—**ხევისბერი**, რელიგიური ცერემონიებისა და საოჯახო ადათ-ჩვეულებათა შესრულების გარდა, ასრულებს აგრეთვე მსხვერპლის შეწირვისა (სამღვთოს დაკვლას) და ხევსურების ყოფა-ცხოვრების სხვა წესებს.

მოგვების პირველ წრეს ეკუთვნიან აგრეთვე „მკითხავები“, რომლებიც მკითხაობენ ადამიანის ბედზე, მეორე წრეს კი **„მოხულთანები“**. ესენი მიცვალებულთ გამოიხმობენ (გამოიძახებენ) რომელიმე ოჯახური საკითხის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად.

ქადაგი მომეტებული ატაცებულობის დროს უმკითხავებს რომელიმე ოჯახს მომავალ ბედს და მისი წინასწარმეტყველება ხშირად იმითი ბოლოვდება, რომ ამა თუ იმ ოჯახმა სალმთო უნდა დაუ-

კლას რომელიმე ხატს. ეს საქმე, რა თქმა უნდა, უხევისბეროთ ყოვლად შეუძლებელია.

ასე რომ, თუმცა ქურუმების ეს ორი ჯგუფი სრულებით სხვადასხვა ხასიათისა და დარგის კულტს ემსახურება, მაგრამ, არსებითად რომ ითქვას, ერთს ჰანგზე მღერიან, ხევსურების გონებას აბრუებენ სხვადასხვა საიდუმლო სულების არსებობით, გულში სიყრმიდანვე უნერგავენ შიშს მათ მიმართ, მეორეს მხრივ კი ასწავლიან და აჩვევენ ქურუმების მორჩილებას და პატივისცემას.

ყველა ამ ქურუმ-მკითხავებს თუ მოგვებს დიდი გავლენა აქვთ ხევსურის ოჯახურ თუ საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებაზე და ამ გავლენისათვის ჯერაც ვერ დაულწევიათ თავი.

ამ ბოლო დროს ხევსურეთში კულტურის ნაკადმა იწყო დენა და რელიგიური წარმომადგენლების ნდობა და ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყა.

მაგრამ რამდენად ძლიერი და გავლენიანი იყო ეს რელიგიური კულტი ხევსურეთში, ნათლად სჩანს იმ საგულისხმო სტატისტიკური ცნობებიდანაც, რომელიც 1854 წელს მოჰყავდა რაფ. ერისთავს თავის წერილებში, სადაც ჩამოთვლილია ხევსურეთის უმთავრესი „ხატები“ ანუ სალოცავები:

სალოცავები ანუ ხატები

ხატის სახელწოდება	რომელ სოფელში იმყოფება	ხატის მსახურთა რიცხვი
ხახმატის-ჯვარი	ხახმატი	8
გუდანის-ჯვარი	გუდანი	8
ღულოს-ჯვარი	ღულო	5
პირქუშას-ჯვარი	ბაცალიგო	3
ჭორმეშავის-ჯვარი	ჭორმეშავი	3
ხადუს-ჯვარი	ხადუ (უკანა ხადუ)	1
ბლოს-ჯვარი	ბლო	2
ჭიშეხის-ჯვარი	ხორნაულთა	2
როშკის-ჯვარი	როშკი	3
დიდგორის-ჯვარი	როშკისა და ქმოსტის შუა	5
ქმოსტის-ჯვარი	ქმოსტი	3
ღელის-ჯვარი	ღელის-ვაკე	2
კარატის-ჯვარი	ლიქოკი	6
ჩირდილის-ჯვარი	ჩირდილი	2
ხმალას-ჯვარი	ბარისახო	1
დათვის-ჯვარი	დათვისი	3
	სულ . . .	57

ამდენი კულტის მსახურია და ამავე დროს არავითარი ადმინისტრაცია არ მოიპოვება! სწორედ გასაოცარია, რომ ასეთი კულტის გავლენის ქვეშ ეგოდენ ხანს იმყოფებოდა ხევსურეთი, და მათი ზნე-ჩვეულება კი ჩვენთვის დღესაც გამოცანათ დარჩენილა.

მას აქეთ სალოცავ-ხატებისა და ხატის მსახურთა რაოდენობაში ერთგვარი ცვლილებები მოხდა: ბარისახოში არსებული „ხმალას ჯვარის ნატეხი" სრულებით დაუქმებულია; სოფ. მოწმაოში, ზემოხსენებული ხატის გარდა, არსებობს კიდევ „მოწმაოს-ჯვარი"; ახიელში არსებობს „გორულ-ჯვარი" და „ძთის-ჯვარი", სოფ. ამღაში-იასხარი —„ხატი-პეტრე" და „სვეტი-ცხოველი", ანუ „სვეტის-ანგელოზი", სოფ. ჭიმღაში—„ჭიშველის-ჯვარი", სოფ. კვირიწმინდაში „წყალშუის-ჯვარი".

ეს სალოცავი ამჟამად დაუქმებულია, რადგანაც სოფ. კვირიწმინდა ნახევრად ამოსწყდა, დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი კი კახეთში გადასახლდა. ამ სოფელში დარჩა მხოლოდ ერთადერთი ადამიანი თორღა გიგაური, რომელმაც უკვე ხელი აიღო „წყალშუის ჯვრის" თაყვანისცემაზე. „კვირიწმინდის" მცხოვრებლებს კახეთში გადასახლების დროს თან „წაუბრძანებიათ" (გუდით) „წყალშუის-ჯვარის" ხატის ყველა შემკულობანი და თავისი ახალი ბინადრობის ადგილზე აუგიათ მისთვის სამლოცველო.

სამლოცველოები. სამლოცველოების მახლობლად იკვლება სამღვთო შესაწირავი. სამლოცველოს შენობა გარეგნულად ჩვეულებრივი ხევსურული სამლოცველოს ბინისაგან არც კი განირჩევა, გარდა იმისა, რომ შესავალ კართან რამდენიმე პატარა ზარია ჩამოკიდებული, სამლოცველოს გვერდით კი მიშენებულია ლუდის სახდელი შენობა. (იხ. სურ. 15, 16)

ხევსურებში ლუდი ძალიან მიღებული სასმელია და თითქმის ეროვნულ სასმელად ითვლება. ამის გამო ლუდის დაყენება ღვთისმსახურთა ხელშია გადასული, როგორც ხევსურების შეუბღალავი წმინდა კულტის ერთერთი შემადგენელი ნაწილი.

ყველა სოფელში საგანგებოთ გამოცალკევებულია მიწის ნაკვეთი, რომელიც ხატის კუთვნილებას წარმოადგენს. ამ ნაკვეთის დამუშავება (მისი მოხვნა, დათესვა, მომკა, გალეწვა) მთელი სოფლის მოვალეობას შეადგენს, მისი საერთო ხელმძღვანელობა და მოვლა-პატრონობა (მთელი სამეურნეო ნაწილის გამგეობა) მინდობილი აქვს სოფლის მიერ ამორჩეულ დასტურს, რომელსაც 1-დან 3 წლის ვადამდე ირჩევენ. დასტურის თანამდებობა ერთგვარ სიძნელეს წარ-

მოადგენს იმ მხრივაც, რომ თუნდაც ცოლიანი იყოს თუნდ უცოლო დასტურად ყოფხის დროს უფლება არა აქვს ქალს მიეკაროს.

ხატის მიწაზე აკრეფილი ქერი ხატის ბეღელში მიდის. ამ ქერს ამ ხადებენ ლუდის გამოსახდელად, რომელიც აუცილებელ სასმელს წარმოადგენს ხევსურელ ხატობაში გასამასპინძლებლად.



სურ. № 15.
ხატი-ფუძის ანგელოზი.

სამლვთოს შეწირვა. სამლვთოს შესაწირავად ხევსურებს სხვა დასხვა მიზეზები მოეპოვებათ, თუმცა თვითეული ხევსური ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც თხა ან ცხვარი შესწიროს მსხვერპლად, რათა ბოროტი სულების გული მოინადიროს, ასიამოვნოს ხატს და ანგელოზის გული მოიგოს.

ასეთი სამლვთოს დაკვლა მეტნაწილად ხატობაში (დღეობებში) იციან. ხევსურეთში ხატის დღესასწაული წელიწადში 10-12-ჯერ მაინც ექნებათ. ამ დღესასწაულთა შორის ყველაზე უმთავრესი დღეობა **„ათენგენობა“ა** (ღამის თევით) (იხ. სურ. 21, 22, 23).

დღეობის წინ დასტურების წასახმარებლად ირჩევენ ერთ მანდილოსანს, მომეტებულ ნაწილად მოხუცებულ ადამიანს; მას ეწო-

დება **დღეობის დიასახლისი.** დიასახლისიც და დასტურებიც „ხევის-ბერის“ საერთო ხელმძღვანელობას ექვემდებარებიან, რომელსაც ამ შემთხვევაში ეწოდება **„ხელოხანი“.**

დღეობა იწყება ხევის-ბერის ჩამოლოცვით. იგი გულხელდაკრეფილი ზეცას მიაპყრობს თვალებს და წარმოსთქვამს ლოცვებს.

სამლვთოს პატრონები დაჩოქილი და ქუდმოხდილები უსმენენ, ყველას ხელით საკლავი უჭირავს ცხვარი, ან თხა. მსხვერპლის შეწირვას ერთგვარი წარძართული ელფერი სდევს. უბრალო ცერემონიების შემდეგ ხევსური სამლთოს ყელს გამოსჭრის, მის სისხლში ოითს ჩაყოფს და მსხვერპლის შემწირველს შუბლზე სცხებს. ამის მერე იწყება **„ჯვარდიდება ლუდზე“.** (იხ. სურათი 17, 18).



სურ. № 16.
ფუძის ანგელოზის სამლოცველო; მის გვერდით ლუდის სახდელი შენობა.

ხევისბერი აკურთხებს სამლოცველოში ვერცხლის ბადეებით ჩამომწკრიებულ ლუდს, მერე იქვე მდგარ ლუდის ქვაბიდან აიღებს ერთ ფიალა ლუდს და დალევს (იხ. სურ. 19, 20). ამას მოჰყვება

სურ. 17.



სურ. 18.

სხვადასხვა სამლთოს დაკვლა, ვისაც კი რა მოუყვანია ხატობაში. ხევისბერის საკუთრებად რჩება საკლავის ტყავი და სამლვთო საკლავის მთელი ნახევარი ტანა. რადგანაც ასეთი სამლვთო დღეობებში ბშირია და ბევრიც, ამისათვის ამდენი ტყავი და ხორცეულ ერთ-

სურ. № 19.
ხევის ერი გიგია ჭინჭარაული „ჯვარს ადიდებს ლუდიე".

ჯვარ თანხას შეადგინს; ამიტომაც ხევისბერები ხევსურეთში ყველაზე უფრო შეძლებულ მეოჯახედ ითვლებიან. მდიდარი ხევსურები ხორცსა და ქონს (ფერდის ქონსა და დუმას) ყალად ინახავენ (შაშხივით დამარილებული და ბოლში გამოსული). ზოგჯერ ასეთი მარაგი ათ ფუთობით მოეპოვებათ და რაც უფრო ძეტი ხნისაა ასე

სურ. № 20.
„ათენგენობა“—ხევსურების დღესასწაული-ხატობა შატილის რაიონში.

სურ. № 12.
„ათენგენობა“ დღესასწაულზე—„ხატობა“-ზე დამსწრე მამაკაცთა ჯგუფი.

სურ. № 22.
„ალენგენობა“ დედაკა თა ჯგუფი.

შენახული ხორცი, მით უფრო მეტი ფასი აქვს. ზოგიერთი „ხუცესი“, ან „დეკანოზი“ ხუთი-ათი წლობით ინახავს ასეთ სანოვაგეს.

დამახასიათებელია ერთი გარემოებაც. მეფის მთავრობამ ხევსურეთში მართლმადიდებლობის გასავრცელებლად შეჰქმნა ამიერ-კავკასიაში ეგრედწოდებული „ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება“, რომელმაც ადმინისტრატიული ხელისუფლების დახმარებით ხევსურეთში რამოდენიმე ეკლესია ააგო და მღვდლებიც გაამწესა. მაგრამ ამით ხევსურებს თავის ძველებურ ადათ-ჩვეულებებზე მაინც გული ვერ ააყრევინეს. მთავრობას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, და ხევსურები მღვდლების ყოფნის დროსაც ყველა ადათ-ჩვეულებას ძველებურად ხევის ბერის საშუალებით ასრულებდენ.

სურ. № 23.
„ათენგენობა“ დედაკაცთა და ქალების ჯგუფი, რომელნიც ხძულებულნი არიან, თვიურის გამო, „ხატის დაშორებით იმყოფებოდენ“.

პირველი რევოლუცია რომ მოხდა, 1905 წელს, და მეფის ხელისუფლება მოდუნდა, ხევსურებმა მღვდლები დაიფრინეს ხევსურეთიდან და ეკლესიები კი გაძარცვეს. რუსეთის მისიონერებს მხოლოდ ის შერჩათ, რომ ხევსურებმა თავის წარმართულ ჩვეულებების კულტს გადამახინჯებული სახით შეურიეს ეკლესიური ღვთისმსახურების ელფერიც. ასე რომ ეს მართლმადიდებლობის ელფერი ხევსურეთის ადათებში ძალად შეტანილ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და არა ხანგრძლივი ისტორიული გავლენის შედეგად, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს.

თავი მეექვსე

ხევსურების სოციალური მდგომარეობა

თუმცა ხევსურეთი გარეშე ქვეყნიერებას თითქმის სრულებით მოწყვეტილია, მაგრამ ხევსურების ცხოვრება მაინც არ შეიძლება ერთფეროვნად ჩაითვალოს, არ შეიძლება ითქვას, ვითომც იგი მოკლებული ყოფილიყოს გარედან შეტანილ ელფერსა და გავლენას. ამ მიუდგომელ და განმარტოებით აზიდულ მთის დეევებში ნელის ნაბიჯით, მაგრამ თანდათანობით მაინც ფეხს იკიდებდა მეზობელი ერებისა და თემების ადათ-ჩვეულებანი, და თავისებურ ნიშახდობლივს კვალს აჩნევდა ხევსურების საერთო ყოფა-ცხოვრების ქარგაზე.

ეს მოვლენა იმითაც აიხსნება, რომ, როგორც ზემოდაც მოვიხსენეთ, ხევსურეთის მოსახლეობა ნაწილობრივ სხვადასხვა თემებისა და ეროვნებათა შერევისაგან წარმოიშო, რომელთაც თან მიჰყვათ თავისი სარწმუნოება, ადათი და ზნე-ჩვეულებანი.

როგორც ვიცით, ხევსურეთის სოციალური წყობილების საფუძველს საგვარეულო წარმოადგენს. რადგანაც ეს გარემოება თავისთავადაც მოკლებული არ არის ეთნოგრაფიულ ინტერესს, ზედმეტად არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ხევსურეთში გამრავლებული საგვარეულონი:

ღულში—ქისტაური
როშკში—წიკლაური
ლიქოკში—ლიქოკელი
ამღაში—წიკლაური
ბლოში—გიგაური
ხახმატში—ალუდაური
ბისოში—ქეთელაური
ეარისახოში ცხოვრობს ორი
საგვარეულონი:—ბარაბული
ჭინჭარაული
ჭიმღაში— 3 —1) გაბური
2) ხეთრაული
3) გიგაური
დათვისში—3—1) არაბული
2) ქეთელაური
3) ჭინჭარაული
ახიელაში—5—1) ბალიაური
2) ნაროზაული
3) ჯაბუშანური
4) ოჩიაური
5) ცისკარაული
მოწმოში—2—1) არაბული
2) ფიცხელაური
ხახაბოში—4—1) მინიაური
2) ხოსიაური
3) მამიაური
4) ხახიაური
არდოთში—2—1) მურგოები
2) ზვიადაური
შატილში—2—1) ჭინჭარაული
2) ანატორელი

ხევსურეთის საგვარეულოთა მრავალნაირობა თავის ბუნებაში ატარებს მათი თავდაპირველი მიდგომის ნიშანდობლივ თვისებებს, თავისებურობას და ერთგვარ კარჩაკეტილობას.

ქორწინება

ხევსურეთში მიღებული ადათით ერთი **კლანის**, ანუ ერთი საგვარეულოს ქალისა და ვაჟის შეუღლება კატეგორიულად აკრძალულია. ასეთ ამ ადათს დღესაც ძალა და გასავალი აქვს შუა ხევსურეთში, სადაც არამც თუ ერთი გვარის, არამედ სხვადასხვა გვარის ერთი სოფლის მცხოვრები ქალ-ვაჟიც არ შეიძლება შეუღლდეს. თუ ასეთი შეუღლება მოხდა, ეს ამ-ბავი საგვარეულოს წარუხოცელ სირცხვილად ჩაითვლება.

დღევანდლამდე ხევსურეთში ჩვეულებად დარჩენილა **ქალის მოტაცება**. ვაჟი, თავისი მეგობრებით, თავს ესხმის ქალს და გაიტა-ცებს. ამ შემთხვევაში იმართება თოფ-დაძბაჩის სროლა, ხმალში გაწვევა, ჩხუბი და აყალმაყალი, ზოგჯერ საქმე მკვლელობითაც ბო-ლოვდება. ქალის გატაცების ჩვეულება ამ ბოლო დროს თანდათან ისპობა, და მის ადგილს იჭერს ქალის გამოსყიდვა ვაჟის მიერ, ე. ი. ეგრედ წოდებული **ურვათი**.

ამასთანავე საგულისხმოა ისიც აღინიშნოს, რომ ვაჟი ქალის სოფელში მის გასატაცებლად მიდის, თუ შეიტყო, რომ მისი საცოლე „სამრეველოშია“ გასული, აღარ დახედავს ადათის გადალახვას, შეი-ჭრება „სამრეველოში“ და იქიდან გაიტაცებს ქალს. ასეთ შემთხვე-ვაში ქალი ხმის ამოუღებლად მისდევს საქმროს, რადგანაც ხმაურობა რომ ასტეხოს, მისი ნათესავები და სოფლელები იარაღით შეებრძო-ლებიან თავზე ხელაღებულ სასიძოს და შეიძლება სისხლიც დაი-ღვაროს.

ქალის მოტაცება*).

რაკელ შვილ გამაუვიდა ზეზე-უბანში მთვრალასა?!.
კას ერთსაც არ მაიგონებს, სრუ გონობს ხათაბალასა.
იძევენ ბალიაურნი დილა ნათელას ქალსა;
თეთრქალ ას დაღონებული, კვირობენ ცოდო-ბრალასა.
5 ჯავრობენ სახლის კაცები: „არ ხკითხა დედა-მამასა“.
დედ-მამან დაჯავრებულან: „არ მავხმკით ზიარს ყანასა“.
ერთმანეთს ეუბნებიან: „თავისად გავიყვანათა“.
თავისად რაი ღ გამიყონს? ეგ ღმერთმა დაიფარასა!
წამაიტანეს საბელი, ზოვენ ნეთხიჩოს ჭალასა,
10 თავის წილს მამკალნ დახვივნეს, ჩემს წირვენ მასამკალასა.

*) პრ. ა. შანიძე „ქართული ხალხური პოეზია“ გვ. 158.

ქვენ-უბნი გერგეტელაი ზენ-უბან შამამკდარასა,
ვიცი, ამკიდებს მტრობასა, გამაწირვიებს შარასა.
თათარათაი ბაბუა არ იტყვის წარა-მარასა.
აბა რა საკვირელია, ერთმ რო მეც შამიბრალასა?
15 არ გიხედებდით მაგასა, უთხარით ამირბარასა.

—

აეგ ლექს ბარისაკოთა ყაჩაღებმ დაგიბარათა.
იქნება იქავ მავიდათ, დროებამ მაიტანასა.

ხევსურეთში ქორწილის წესებს საგულისხმოდ აგვიწერს პოეტი **რაფიელ ერისთავი** თავის წერილებში: („Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском Округе". იხ. „Кавказ" 1854 წ. № 47)

მის მიერ აღწერილი ჩვეულებები დღევანდლამდე უცვლელად შენახულა ხევსურეთში, თუმცა მას მერე უკვე 75 წელმა განვლო:

„მოციქულები„ ანუ „შუაკაცები" მივლენ იქ (საპატარძლოს სახლში) მიპარვით და ერთბაშად შეიჭრებიან ოჯახში. ქალის მშობლები მაშინვე გუშანს აიღებენ მათი მოსვლის მიზეზზე და მოციქულებს უარით შეხვდებიან,—მისი (სასიძოს) საკადრისნი არ ვართო. მოციქულებიც თავის მხრივ უქებენ სასიძოს, გაზვიადებულად მოუყვებიან ყველა მის ღირსებას და ცდილობენ დაითათბირონ, დაიყოლიონ მშობლები. ცოტა ლაპარაკის მერე, თითქოს დაიყოლიებენ კიდეც და ამავე დროს თან მიყვანილ ცხვარს წამოაქცევენ, დაკვლენ და გატყავებას შეუდგებიან. ქალის მშობლები ასეთი საქციელით უკვე დამარცხებულად სთვლიან თავს და მოუხმობენ თავის მახლობელ ნათესავებს. აქ იმართება მცირე ტაბლობა, რის შემდეგაც საპატაოძლოს ისტუმრებენ სასიძოს სახლში და თან გააყოლებენ მთელი სოფლის ყველა ოჯახიდან თითო კაცს, ამ დროს სასიძო სადმე მეზობლებში უნდა იყოს დამალული.

ამ ჩვეულებას ხევსურებში ეწოდება **„ახალუხალი"**, რაც ნიშნავს **ახალს, ხელუხლებელს** (ავტორის შენიშვნა)

„ამასობაში სასიძოც შემოჰყავთ. ნეფე-დედოფალს შუა კერის პირად დასხავენ ერთად ისეთ ადგილას, როჰ ბოლი ცხვირპირში სცემდეთ. მივა „დეკანოზი", წინ დაუდგავს საჭმელსა და ლუდსა, ხელში თითო კელაპტარს მისცემს, რის შემდეგაც ნეფე და დედოფალი ზეზე წამოდგებიან და ამ დროს დეკანოზი ტანისამოსის კალთებს ნემსით გადააბამს. მაშინ მეჯვარეები დეკანოზს მიართმევენ კათხით ლუდს ან არაყს, და დეკანოზი ჩამოილოცება:

„ადღეგრძელოს ნეფე დედუფალ. გაახაროს ბედიან დავლათია
შაარდინასა, ერთმანეთს შააყვაროს-შააბარასა, ისრე ააყვავასა რ
გორც ვარდნი და იანი.

ამინ ხალხნო,

ამინ, ურა.

„ჩამოლოცვის შემდგომ დეკანოზი მიულოცავს ახალშეუღლ
ბულთ გაბედნიერებას და იმათს სადღეგრძელოს დალევს. მის მაგ
ლითს მიბაძავენ ყველა იქ დამსწრენიც.

„ახალშეულლებულნი ორი კვირის განმავლობაში ერთმანეთთ
მორიდებით არიან, გარეშეების თანადასწრებით არც კი შეეძრახები
ერთმანეთს. ორი კვირის გასვლის მერე კი პატარძალი „ფეხის სა
რუნებლად“ მშობლების ოჯახს უბრუნდება ორი კვირით და ქმარ
ოჯახში დაბრუნების შემდეგ იწყება მათ შორის ჩვეულებრივი ცო
ქმრული ცხოვრება...

„ახალი ჯვარდაწერილები პირველ სამ დღეს განუყრელად ერთ
უნდა იწვნენ, მაგრამ დიდ სირცხვილად ითვლება ხევსურებში,
გათხოვილი ქალი სამ წლამდე დაორსულდა...

„როგორც ფშაველებში ისე ხევსურებში, ცოლ-ქმარნი ერთ
არას დროს არ იძინებს და ღამ-ღამობით ერთმანეთთან შესახვედრ
ჩუმად მიიპარებიან“.

ზემოხსენებული აღწერილობა ხევსურული ქორწინებისა თავ
თავად მეტათ დამახასიათებელია და სინამდვილესთან არც ისე
შორებულია, მაგრამ რ. ერისთავს, სამწუხაროდ, მაინც გამორჩ
ზოგიერთი საგულისხმო და დამახასიათებელი წვრილმანები.

თუნდაც, მაგალითად ასეთი ამბავი; როდესაც ვაჟისა და
ლის მშობლები უკვე მორიგდებიან, ქალი ისევ მშობლების ოჯა
რჩება 2-3 წელიწადს და დანიშნულად ითვლება. ამ ხნის განმავ
ბაში სიძის მშობლები და ნათესავები ყოველ წელიწადს ერთ
ესტუმრებიან სასრძლოს ოჯახს, თან ძღვნად მიჰყავთ ერთი ცხვ
სამი წლის შემდეგ კი ბოლო ეღება ახალ შეუღლებულთა მარ
ხელობას, რადგანაც უკვე ცოლ-ქმარნი ხდებიან. ხევსურების ადა
ახალგაზრდა პატარძალი, ქორწინების მერმეც, თურმე მშობლ
ოჯახში რჩება კიდევ ერთს წელიწადს და მხოლოდ ასეთი ხანგრძ
ვი გამოცდის შემდეგ იწყება ახალ შეუღლებულთა ერთად ც
ვრება.

ქალის გატაცება და გამოსყიდვის გარდა, ხევსურეთში
გვარი წესიც არსებობს ქალ-ვაჟის დანიშვნისა: ჩვილი ქალ-ვ
პატრონი ორი ოჯახი, დანათესავების მიხნით, სიყრმიდანვე და

ნულებად აცხადებენ თავის შვილებს და ამ დღიდან მშობლები ერთმანეთის ნათესავებად ითვლებიან, ბავშვები კი დანიშნულებად და როდესაც ჭასაკში შევლენ, მაშინ შეუღლდებიან.

ხევსურეთში ქალი, როგორც გათხოვებამდე, ისე გათხოვების შემდეგაც შედარებით ეროგვარი თავისუფალ უფლებებით სარგებლობს. მართალია, ერთი შეხედვით, მამაკაცი მეთაურობს ოჯახს, მიგრამ ოჯახური ყოფა-ცხოვრებაში ხევსურის ქალი, სხვა მთიელი ქალებივით, როდი განიცდის ქმრის მუხრუჭს. იგი ერთგვარი თავისუფლებით არის აღჭურვილი, თამამად ერევა საუბარში, მსჯელობაში, თავისი შენიშვნები შეაქვს ოჯახური საკითხების გადაწყვეტაში და ხშირად ქმარს ხუმრობით გაამასხარავებს კიდეც. საოჯახო საქმე ცოლ-ქმართა შორის თანაბრად ნაწილდება და ხევსურეთის ადათისამებრ ქმარი ჰუმანიურად ეპყრობა ცოლს, თათბირობს მასთან ოჯახის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს.

„სამრევლო“ ყველაზე მძიმე და თითქმის ერთადერთი გარემოება, რაც ასე ამცირებს და მეტად დაბალ საფეხურზე აყენებს ხევსურის ქალს, ეს არის ხევსურების ერთი ჩვეულება, ეგრედწოდებული „სამრევლო“

ხევსურების ღრმა რწმენით, დედაკაცი მენსტრუაციისა (თვიურის) და მშობიარობის დროს უწმინდურია და შემწიკვლული. ამის გამო, მათის ადათით, ამ დროს ქალს უფლება არა აქვს ოჯახში დარჩეს. ის ოჯახიდან იდევნება თვიურის დროს ერთი კვირით, მშობიარობის დროს კი—40 დღით.ამ ხნის განმავლობაში იძულებული ხდება სოფლის დანარჩენ მცხოვრებლებს გაერიდოს და სოფლის მოშორებით, სადმე მთის კალთობზე მიდგმულ, სიპი ქვის ყორით ნაგებ, ქოხს შეაფაროს თავი. აი ამას ეწოდება „სამრევლო“. ამ ქოხს ფანჯარაც კი არა აქვს და ოდნავი შუქი მხოლოდ ცალფა ფიცრის ან ლასტის კარებში დატანებული პაწია სარკმელიდან ეფინება.

„სამრევლოში“ მყოფ ქალს არ შეიძლება ვინმე მიუახლოვდეს. ხევსურეთის ადათით ამ წესის დარღვევა ყოვლად შეუძლებელია. მხოლოდ მოხუცებული მანდილოსანის ან პატარა ქალის ხელით შეიძლება „სამრევლოში“ მყოფ ქალებს მიაწოდონ დღიური საზრდო (იხ. სურ. 24). ასე ხდება პაპანაქება ზაფხულშიაც და ყინვა-ყიამათ ზამთარშიაც.

მშობიარე დედაკაცი ყოვლად უპატრონოდ, უმწეოდ, ბედის ანაბარად არის აქ მიტოვებული. უკვე კვილის ხმაზე მშობლებმა

დაატყეს, რომ ქალს მძიმე მშობიარობა აქვს, შაშინ მამაკაცები ფეხაკრებით მიუახლოვდებიან „სამრევლოს“ (კანონით განსაზღვრულ ძანძილზე) და ერთბაშად დასცლიახ რამდენიმე თოფს, ეგება მშობიარე შეკრთეს და მშობიაროობა დაუჩქარდეს, აგრეთვე მავნე სულებიც განიდევნებიანო.

სურ. № 24.
„სამრევლოში“ მყოფ ქალიშვილს დედა აწვდის საზრდოს.

„სამრევლო“-ს არ ათბობენ. ამის გამო მშობიარე ქალები, მშობიარობის ტანჯვის გარდა, სიცივისაგანაც საშინლად იტანჯებიან,

რასაც ზოგჯერ მელოგინისა და ბავშვის სიკვდილიც მოსდევს, მით უმეტეს, რომ „სამრეკლოდან“ გამოსვლის შემდეგ, ე. ი. ორმოცი დღის შემდეგ, მელოგინე ვალდებულია ბავშვიანად გაებანოს ცივ წყალში (ხაფხულში თუ ზამთარში) და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება ოჯახში დაბრუნებისა.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მშობიარობის ასეთი უადამიანო პირობები დიდათ უწყობს ხელს ხევსურების გადაშენებას, რასაც ნათლად ადასტურებს ზემოდ მოყვანილი ცნობები 1873 წ. და 1928 წლისა.

უნდა კი აღინიშნოს, რომ, თუმცა ხევსურის ქალი ამ მხრივ ასეთს დამამცირებელ მდგომარეობაშია ჩაყენებული, მაგრამ ზოგ შემთხვევებში მისი სიტყვა უდაოდ და უსიტყვოდ სრულდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მაგალითად, საკმარისია ხევსურის მანდილოსანმა თავისი ბანდილი მოჩხუბართა შორის გადააგდოს, რომ მოსისხლე მტერნიც კი შეჩერდნენ, რადგანაც ქალის ასეთი უსიტყვო მოთხოვნილების აუსრულებლობა დიდ სირცხვილად ითვლება ხევსურეთში.

ᲡᲐᲛᲚᲗᲝ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ყველა არა ამ ადამიანური ჭირვარამისა და ჭაპანწყვეტის შემდეგ, რაღაც სასწაულით იბადება ბავშვი. მშობლებს, რა თქმა უნდა ენატრებათ იმისი შეტყობა, თუ ამ მომავალი მოქალაქის ბედი როგორი იქნება, რა მოხდეს „ნაჩალნიკი“ გამოვა ცხოვრებაში.

ამისათვის, ჩვეულებისამებრ, ბავშვი ერთი წლისა რომ შესრულდება, მშობლები მართავენ წვეულებას, ბავშვის საკურთხებლად. ბავშვს გაშლილ ფარდაგზე წამოაგორებენ, გარშემო სხვადასხვა საოჯახო ნივთებს შემოუწყობენ: ხმალ-ხანჯალს, სახელოსნო იარაღს და სხვა. ზეიმზე თავმოყრილი ნათესავები და მეზობლები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს, თუ ბავშვი რას წაეტანება თავისი პაწია თათებით. და რასაც პირველად ჩაებღაუჭება, იმის მიხედვით დაასკვნიან მის მომავალ მიდრეკილებასა და ძოწოდებას.

ᲜᲐᲗᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ

ბავშვი ორი წლისა რომ შესრულდება, მშობლები მეორე წესს უსრულებენ ეგრედწოდებულ ნათლობას. მართალია, გარეგნულად ამ წესს თითქოს ქრისტიანული ელფერი აძევს, მაგრამ მასში ბევრი რამ წარმართულიც ურევია და ერთგვარი ცრუმორწმუნეობითა და მისტიციზმითაა შემოსილი.

ხევსურეთში გავრცელებულია ასეთი რწმენა, რომ ბავშვს პატარაობისას ბოროტი სულები ეტანება (ალი, ქაჯი და სხვა), რომელნიც ცდილობენ, რომ ბავშვი მოსტაცონ დედმამას. რომ მშობლებს

ასეთი ხიფათი არ დაემართოს, იგინი ბავშვს აკვანის გვეროზე უმაგრებენ ქარქაშში ჩაგებულ ხმალს, ხანჯალს ან დანას (იხ. სურ. 25). ეს იმის გარანტიაა, რომ ბოროტი სულები ბავშვს ახლოს ვერ გაეკარებიან.

სურ. № 25.

ᲰᲔᲡᲘᲡᲮᲚᲔᲝᲜᲒᲐ ᲐᲜᲣ ᲗᲐᲕᲡᲘᲡᲮᲚᲘ

ხევსურეთში, როგორც მათ მეზობლად მოსახლე ფშავებსა და თუშეთშიაც, ძველთაგანვე დარჩენილია ერთი საშინელი და მკაცრი ჩვეულება. სისხლის აღებაზე მოგახსენებთ. ეს ჩვეულება ძველისძველი უძველესი დროიდან მოსდევს და დღევანდლამდე შენახულა კიდევ ყოვლად უკულტურო ქვეყნებში. სისხლის აღების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი შემთხვევითი თუ შეგნებული მკვლელობა მკვლელობითი ისჯება, მოკლულის ნათესავების მხრივ მკვლელის მამრობითი ჩამომავლობის მიმართ. უწინ ამ ნიადაგზე ძალიან ხშირი იყო ასეთი მკვლელობანი; ყოფილა შემთხვევები, რომ მოსისხლე ოჯახებს მთლად ამოუწყვეტიათ ერთმანეთის გვარეულობა.

ამაზე უფრო გვიან ეს საშინელი და გამანადგურებელი ჩვეულება ერთგვარად შერბილდა და მის ნაცვლად თანდათან ჩვეულებად შემოვიდა დანაშაულის გამოსყიდვა. მოკლულის ნათესავებს (მშობლებს თუ სხვა ჭირისუფლებს) მკვლელი აძლევდა ერთგვარ გამოსასყიდს. ასეთი სასყიდელი ორნაირი იყო დაწესებული **ფეხითი** და **ხელითი**. ფეხითი გამოსასყიდი იმას ერქვა, როდესაც მკვლელი თავის დანაშაულს ძროხების მიცემით გამოისყიდიდა, ფეხითი კი იმას, როდესაც ნაწილობრივ ძროხებით გამოისყიდიდა, ნაწილობრივ კი სხვა რაიმე ნივთებით ან ნაღდი ფულით. ასეთი გამოსასყიდის რაოდენობას „რჯული“ ანუ ხუცესთა სამსაჯულო სწყვეტს.

თუ მკვლელმა მთელი თავისი ოჯახობით სოფლიდან გაქცევა შეასწრო და სხვა სოფელში მყოფ ნათესავებს შეაფარა თავი, მაშინ ისინი **„ხიზნებად“** ითვლებიან ანუ **„ამანათებად“**. მათი ქონება კი ადგილობრივ რჩება და მისი გატანის უფლება არა აქვთ. ვინც ამ წესს დაარღვევს **„ჯურუმით“** დაისჯება, ესე იგი, ჯარიმა გადახდება.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის აღება ვრცელდება როგორც თვითონ მკვლელზე ისე მის მახლობელ ნათესავებზედაც, მაგრამ შურისძიება არ ეხება არც ქალებს და არც ღრმად მოხუცებულ კაცებს, ვინც 90 წელს გადაცილებულია. თუ მკვლელის ოჯახი ამოსწყდა, შურისძიება მის შთამომავლობაზე გადადის.

ხევსურეთში მკვლელობა ან მძიმე ჭრილობის მიყენება უმეტეს ნაწილად ხატობაში ხდება, დიდი სმა-ღრეობის დროს. საერთოდ კი რაიმე შეურაცყოფის ნიადაგზე ხევსურები ძალიან ერიდებიან სამაგიეროს გადახდას და ჯავრის ამოყრას, რადგანაც თვითეული ასეთი შემთხვევა ძალიან ძვირად უჯდება მკვლელს.

ხევსურეთის ცხოვრებაში სხვა გარემოებაც არის ხოლმე, რომელიც ხევსურს მკვლელობას ჩაადენინებს,—ეს არის ცოლის წართმევა ან ქალის გატაცება.

მკვლელობა ხდება აგრეთვე სახნავ-სათესი მიწების, ან გზის გამო დავიდარაბის ნიადაგზედაც.

საგულისხმოა გადავხედოთ, თუ ხევსურული ადათებით რა შედეგებს იწვევს მკვლელობა ყოველგვარი მტრობისა და შუღლის დროს:

უკეთუ სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ვისმე, მაგრამ დაჭრილი ჯერ კიდევ ცოცხალია, დამნაშავე პირი დაზარალებულის ჭირისუფლებს შუაკაცებს მიუგზავნის შერიგების მიზნით და თავისი დანაშაულის გამოსასყიდლად ნივთიერ საზღაურს შეაძლევს.

ამ ადათს ხევსურეთში ეწოდება „საქონლის აღება“ ე. ი. „სამარხი ხარჯები“.

თუ ამ ნიადაგზე შერიგება მოხერხდა, დამნაშავე მხარე დაზარალებულ ოჯახს აძლევს 30 სულს სხვილფეხა საქონელს (ძროხას, ხარს) და საქმე ამით თავდება. მაგრამ ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ ხევსურები ასეთს დათმობაზე წავიდნენ. უკეთუ შერიგება ვერ მოხერხდა, მაშინ დამჭრელი თავის ნათესავებს დაავალებს ფხიზლად ადევნონ თვალყური დაჭრილის მდგომარეობას, რომ თუ სიკვდილი მოჰყვა, დროზე მოასწროს თავისი ოჯახობით და ნათესაობით გაქცევა და უშიშარ ადგილას თავის შეფარება.

რაწამს დაჭრილი გარდაიცვლება, მკვლელის ოჯახობა და მთელი საგვარეულო მაშინვე ფარულად გაიხიზნებიან ისეთ სოფელში, სადაც მოკლულის არც ერთი ნათესავი ან მოკეთე არა ცხოვრობს. მოსახლეობაც ხელს უწყობს მათს გახიზვნას, მოკლულის ნათესავების გარდა, და სამშვიდობომდე მიაცილებენ.

გახიზვნის შემდეგ, დამნაშავე მხარე თავის თავს ვალდებულად სთვლის შუაკაცების პირით შემოუთვალოს ჭირისუფლებს ან მახლობლებს, დასტური მისცეს სამარხი ხარჯების გაწევისა.

მეტისმეტად საგულისხმოა ეს ჩვეულება: მკვლელის შუაკაცები მისვლისთანავე ჭირისუფლებს სამძიმარს ეტყვიან, ანუგეშებენ და თან ცდილობენ დაარწმუნონ, რომ

—„სისხლი სისხლით არ დაიბანების... მასასვლელი მავასაო... ასეთიასაო ხევსური კაცის ჩვეულებაჲ. ბედს უნდა შაურიგდათავ... გული უნდა დაიმშვიდათავ... ნუ გაარისხებთავ ღმერთსავ და ჩვენ საკოდავ ხატებსავ... ცოდვიანის ცოდვას ნულარ აიკიდებთავ. აპატივეთავ თქვენი ღმერთისავ და ამ ლამაზი ქვეყნის გულისათვისავ...

ნული დაუმძიმებთ განსვენებულს ისედაც შეწუხებულ სულსავ... თორემ ერის რისხვას დაიმსახურებთავ".

ასეთი ლაპარაკისა და ჩაგონების შემდეგ, ჭირისუფლები ხევსურეთის ტრადიციულ ადათ-ჩვეულებას ველარ გადავლენ და მიცვალებულის დამარხვის თადარიგს შეუდგებიან.

თავდაპირველად დაკლავენ ერთ ცხვარს. ამას ეწოდება **„მიწად შესამავლო"**. ასეთი მსხვერპლის შეწირვა სავალდებულოა ჭირისუფლებისთვის. ვინც ამ წესს გადაუხვევს, ერთბაშად ხუთი ძროხით იქნება დაჯარიმებული.

მკვლელმა თავის მხრივ უნდა მიჰგვაროს სამი კურატი, სამი ცხვარი და მიუტანოს ლუდის მოსადულებელი სამი ქვაბი. ამ სამი კურატიდან ერთს ჭირისუფლებისათვის დაკლავენ, მეორეს—მამაკაცებისათვის, ამას ეწოდება **„სალაშქრო"**, მესამეს კი—ქალებისათვის, რასაც ეწოდება **„სადედულო"**, მეოთხე კურატი მკვლელის ბიძაშვილმა უნდა დაკლას მოკლულის ბიძაშვილისათვის, რასაც ეწოდება **„საშინშო"**.

ამით თავდება დამარხვის წესი.

ამის შემდგომ მკვლელის მახლობელ-მოკეთეები შეუჩნდებიან მოკლულის ჭირისუფლებს, რომ გახიზნულ მკვლელსა და მის საგვარეულოს დასტური მისცენ სახლში დაბრუნებისა. მაგრამ ასეთს დათმობაზე ხევსურები ძალიან იშვიათად სთანხმდებიან. პირიქით, მათ შორის მტრობა წლითი-წლობით გრძელდება.

დაზარალებული ოჯახი მუდამ უთვალთვალებს და სდევნის მოპირდაპირეს შურის საძიებლად. უპირველესად დევნას განიცდის თვითონ მკვლელი, მერე მისი ძმა. თუ მკვლელს ბიძაშვილი არ გააჩნია, მაშინ შურისძიება გადადის მკვლელის ოჯახის რომელიმე მახლობელ წევრზე და მოკვლით კი აუცილებლად მოკვლენ ვისმე მათგანს პირველსავე მოხერხებულ შემთხვევაში.

უკეთუ მოკლულის ჭირისუფლებმა მკვლელის ნათესაობას დასტური მისცეს თავიანთ სახლში დაბრუნებისა, ეს უკანასკნელნი პირველხანად მოკლულის ჭირისუფლებს უგზავნიან 20 ცხვარს და ადგილობრივი ქერის ლუდს დააყენებენ (განსაზღვრული რაოდენობით). ამავე დროს სოფლის მოსახლეობაც შეუდგება ლუდის გამოხდას.

ყოველივე ამას ეწოდება **საძმო**. ამის შემდეგ სოფელში ბრუნდებიან მკვლელის ყველა შორეული ნათესავები. შუაკაცები თავს მოუყრიან მოკლულის ნათესავებს, მოგვარეებს, და აგრეთვე სოფელში დაბრუნებულ მკვლელის შორეულ ნათესავებს, ყველანი მიჰყავთ სამლოცველოში და იქ იმართება მეტისმეტად საგულისხმო შერიგება...

მკვლელის ბიძაშვილები დაჩოქილნი, ხმის ამოუღებლივ სამლ-
თოდ კლავენ მსხვილფეხა საქონელს. მოკლულის ბიძაშვილები მკვლე-
ლის ბიძაშვილებს უნძრახად მიართმევენ ლუდით სავსე კათხას და ამ
უკანასკნელებმაც უნძრახ უნდა დალიონ.

მათ შორის შემარიგებელ სიტყვას ამბობს ერთ-ერთი იმავე
სოფლელი პირი, ნათესაობის მხრივ სრულებით გარეშე.

„ღმერთსაც ესიამოვნების და ანგელოსსაც რაღაი ასეთი მოწ-
ყალება მაიღეთ და გადახვეწილებს დასტური მიეცით პირშესამყრე-
ლოში მოსვლისა“.

ამ ცერემონიის შემდეგ ორივე მხარის ბიძაშვილები უკვე შე-
რიგებულად ითვლებიან. მკვლელის ნათესავებს სავალდებულოდ მია-
ჩნიათ მუდამ დაუთმონ და ასიამოვნონ მოკლულის ძმებს. ზოგჯერ
მოხდება, რომ მოკლულის ოჯახის ან მისი ძმების საქონელი მკვლე-
ლის ნათესავების ჭირნახულს წაახდენს, მაგრამ ეს უკანასკნელნი
სიყვარულის სიტყვასაც კი არ აკადრებდენ. გარდა ამისა მკვლელის
ნათესავებს ხმის უფლება ჩამორთმეული აქვთ როგორც საზოგადო
შეკრებულობაში, ისე ხატობაში, ქორწილში თუ სხვა დღეობებში.
იმათ აკრძალული აქვთ აგრეთვე სიმღერა, ცეკვა და ლხინი. ასეთ
ადგილებში თუნდა ვინმემ მოქმედებით მიაყენოს მას შეურაცყოფა,
მათ თავდაცვის უფლება არა აქვთ. ასეთ შემთხვევაში მათს მოსარჩლედ
და ქომაგად გამოდიან მოკლულის ნათესავები, რომლებიც ღირსეულ
პასუხს გასცემენ შეურაცხმყოფელს და მოუგერიებენ თავდამსხმელებს.
უკეთუ მკვლელის დაბრუნებულ ნათესავთაგანი ვინმე გარდაიცვალა,
მის ნათესავებს მისი დამარხვის უფლება არ აქვთ, სანამ ხევსურეთ-
ში არსებულ ადათს არ შეასრულებენ. ამ ადათის თანახმად, მათ
მოკლულის ნათესავებს უნდა გაუგზავნონ 3 ცხვარი, ეს არის ეგრედ
წოდებული „ჯურუმი“ (ჯარიმა).

ასეთივე გამოსაყიდია დანიშნული იმ შემთხვევისათვის, თუ
მათ მოიპოვეს სამლოცველოში მისვლის უფლება, თუ წისქვილისა-
თვის წყალი დაეთმოთ და სხვა.

შეურიგებული რჩებიან მხოლოდ მკვლელი და მისი ღვიძლი
ძმები.

მკვლელობის წლის თავზე, მკვლელი რამდენიმე ნეიტრალური
პირის თანხლებით, ფარულად მიიპარება სოფლის სამლოცველოში,
თან მიიყვანს კურატსა და ცხვარს, სამლოთოს დაკლავს და ხატსაც
ვერცხლის ბადიას შესწირავს. სამლოთოს დაკვლის დროს ყველა იქ
დამსწრენი ამ ბადიით სვამენ მოკლულის შესანდობარს. ამავე დროს,

სამლთოს შემწირველის გაუგებრად, სოფლიდან ჩუმათ დაიბარებენ სოფლის სულიერ მამას, ეგრედ წოდებულ „დეკანოზს“.

ყოველივე ეს დიდი საიდუმლოებით და სიფრთხილით ხდება, რომ მოკლულის ოჯახძა და ნათესავებმა გუმანი არ აიღონ. ამის შემდეგ მკვლელი ისევ ჩუმათ და დაუყოვნებლივ გაიპარება სამლთოს შეწირვის ადგილიდან სამიოდე სანდო ამხანაგის თანხლებით, ვიდრე სამლთოდ შეწირულ კურატს გაატყავებდნენ და მის ხორცს გაანაწილებენ იქ დამსწრენი. დაუკვლელად სტოკებდენ ცხვარს, რომელსაც მეორე დილით იქ დამსწრე უხუცესთაგანი მოკლულის ოჯახს მიჰგვრის, თანაც გაუმჟღავნებს, მკვლელი ფარულად შემოპარულა სამლოცველოში და სამლთო დაუკლავსო.

ამ ამბის შემდეგ, სათაყვანო ხატის რისხვის შიშით, მესისხლენი ხელს იღებენ მკვლელის დევნაზე. გაივლის კიდევ 4-5 წელიწადი. მკვლელი და მისი გახიზნული ძმები კიდევ შუაკაცებს შეუჩენენ მოკლულის ოჯახს, გაახსენებენ თავის გვაროვნობას და შეუთვლიან:

— გული მაიბრუნე ჩვენ შესახვედრად, მამეცით ხებ, ვადუღავ **პირშასამყრელო**... (იგულისხმება ლუდი და არაყი და სხვა რამე).

მაგრამ ბევრი ჭირისუფალი ულმობელი რჩება, დათმობას გულში არ ატარებს და შუაკაცებს ასეთი პასუხით ისტუმრებს.

— „არ ნახას ჩემ თვალჭა! სისხლის აღება გვდობნიყვავ, ძაკვლით ზღვაინება, სად წაგვივიჯოდავს!. მორს წავიდას ჩვეხგან, გაგვეცალოსავ, დაიღუპასავ ყველანი“.

დროთა განმავლობაში კვლავ მეორდება შერიგების ასეთი ხერხი. და თუ ვერც მაშინ მოხერხდა შერიგება, ძაშინ თვითონ ხალხი დაიბარებს მოკლულის მშობლებს უფრო ძლიერ და სათაყვანო ხატში. იქ ეთერთი დამსწრეთაგანი ძვირფასი თასით შესთავაზებს სასმელს და თან ეტყვის:

— „თუ ერისა და ჯამათის ხვეწნა არად მიგაჩნავთ, ღმერთის და ანგელოზების ხათრი მაინც დაიჭირეთ, ჩამომავალობას გაუფრთხილდით“.

ახლა კი გულს მოიბრუნებს ჭირისუფალი და დასტურს მისცემს, მოადულონ შერიგების სასმელი (ლუდი, არაყი).

ერთი კვირის შემდეგ, გარეშეთა თანადასწრებით, მოხდება მესისხლეთა შერიგება.

იქვე ღამიანათ (რომ თვალი არავინ შეასწროს) მოვა მკვლელიც. მის მიერ წინასწარვე მომზადებული, უფრო გამოცდილი დახევსურების ადათ-კანონების მცოდნე ძამაკაცები მოკლულის ოჯახს ესტუმრებიან და მთელი თავისი ნათესავებითა და საგვარეულოთა

შიიპატიჟებენ სამლოცველოში. ამ „წმინდა“ ადგილზე ისევ ღამით მიდიან, რომ არც ისინი ხახოს ვინმემ. ამავე დროს ამორჩეულნი პირნი მოკლულის ნათესავებს გასჩხრეკენ და, თუ რაიმე იარაღი აღმოაჩნდათ, ჩამოართმევენ, რომ რაიმე უსიამოვნება არა მოხდეს რა. იარაღს ჩამოართმევენ აგრეთვე ყველა იქ დამსწრეებსაც.

მოკლულის მშობლებსა და ნათესავებს ცალკე ადგილს მიუჩენენ სამლოცველოს შესავალთან, მკვლელი და მისი მშობლები და ბიძაშვილები მეორე მხარეს მოთავსდებიან, სადაც მუხლისთავებზე დაჩოქილნი უნდა იდგნენ. იმათ შუა მდებარე ადგილზე ხალხი სდგას უხუცესის მეთაურობით, რომელიც დიდის ზეიმით აწესრიგებს მესისხლეთა შერიგების ადათს. იქვე მზადდება სამღთოს შეწირვაც.

ხუცესი, ჩვეულებრისამებრ, საკუთარი ხელით დაჭკლავს სამღთოდ განწირულ ცხოველს და საყოველთაოდ ჩამოილოცება:

— „ნულარაც გვინახავს, რაც მაჰხდა! თქვენთანამც იქნების ანგელოზი სიმართლისა, შეწყალებისა გზაზე დამყენებელი, თავის მოწყალე შუამდგომლობით, ნულარამც დააბნელებს თქვენს გონებას ბინგრძლივ, თქვენთანამც ცოცხლობს მოძღვარი თქვენისა ეკლესიის! დალოცოს ანგელოზმა თქვენი შამრიგებელი შუა კაცი“.

ამ ცერემონიის შემდგომ დამსწრე ხალხი ტაბლას გაიზიარებს, აქვე რჩებიან მკვლელის ძმანი და ძძათა შვილები ისევ მუხლზე დაჩოქილნი. მკვლელი კი ოთხიოდე შუა კაცის თანხლებით მოკლულის ოჯახს მიაშურებს და თან გაიყოლებს ერთ საკლავს (ცხვარს). სახლში ჯერ შუაკაცები შევლენ, მკვლელი კი კარის დირესთან დაჩოქილი ელოდება. ოჯახიდან გაძღოდის მოკლულის დედა, ცოლი ან დეიდა სახლში შეიყვანს მას. მკვლელი აქაც მუხლებზე დაიცემა. მას მიაწვდიან ლუდს ახ არაყს და სთხოვენ დალიოს მოკლულის შესანდობარი. ამ დროს შუაკაცები ცხვარს დაჭკლავენ, რის შემდეგაც ორი შუაკაცთაგანი მკვლელს შეუმჩნევლად და სასწრაფოდ სოფლიდან გააპარებენ. დანარჩენი შუაკაცები კი ისევ სამლოცველოში ბრუნდებიან, სადაც მკვლელის ბიძაშვილები (ძმათაშვილები) ისევ დაჩოქილები სდგანან. ძოკლულის მოკეთეები მათ კათხით მიაწვდიან სასმელს, მათ შეუძლიანთ დალიონ, შეუძლიანთ არც დალიონ, მაგრამ ეარც ერთი სიტყვის დაძვრის უფლება არა აქვთ. საერთოდ იმათ ლაპარაკის უფლება აყრილი აქვთ და მათ მაგიერ სხვანი ლაპარაკობენ.

ამ ცერემონიის შემდეგ ისინი თავის გახიზვნის ადგილზე ბრუნდებიან და დამსწრე ხალხიც თავიანთ სახლებში იშლება.

ამ ტრადიციული ადათის შესრულების შემდეგ, მკვლელის ძმებს და ძმათა შვილებს უფლება ენიჭებათ თავის სოფელში დაბრუნდენ.

მკვლელს კი ამისი უფლება არა აქვს. მისი სახლ-კარი გამოკეტილია და დალურსმული ბას დღეს აქეთ, რაც ის გაიხიზნა, ბედისამარად მიტოვებული მთელი მისი ქონება ფუჭდება და იღუპება. თუ გახიზვნის დროს ოჯახში რაიმე საძუშაო დაუმთავრებელი დარჩა, ან ჭირხახული აუკრეფავი, ბალახი გაუთიბელი და სხვა, ვერავინ ვერ მიეკარება, უფლება არავის აქვს მიჰხედოს, უპატრონოს, იმისი ყველაფერი ანაოხრად უნდა დაიღუპოს. შეიძლება სახლი დალპეს, საძირკვლამდე ჩამოინგრეს, ცეცხლმა გადაბუგოს, მაგრამ არც ერთი ხორციელი მას არ მიეკარება, არ უპატრონებს. ხევსურეთის კანონით სასტიკად აიკრძალება ეს.

ძალიან იშვიათად მოხდება, რომ მკვლელმა, ბოლოს და ბოლოს, მოახერხოს მესისხლესთან შერიგება და თავის სოფელში დაბრუნება. მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხარებს: ყოველივე ადამიანური უფლება აყრილი აქვს სიკვდილამდე და ნამდვილი მოხაა, რადგანაც ვერც საზოგადო შეკრებულებას დაესწრება, ვერც დღეობასა, თუ ხატობას, ვერც ქორწილსა თუ ლხინს.

ამის გამო გადახვეწილი მკვლელი ისევ ხიზნად ყოფნას რჩეულობს და თავის სოფელს აღარ უბრუნდება.

თუ მისი დაბრუნება მოხერხდა როდისძე, მაშინ დაზარალებულ ოჯახთან პირველივე შეხვედრის შემდეგ, ვალდებულია ყოველწლივ სხვათა ხელით უგზავნოს ძას თითო საკლავი (ცხვარი) და თითო ვედრო არაყი. ასე უნდა მოიქცეს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მოკლულის ოჯახის რომელიმე წევრი გარდაიცვლება, თუნდაც ძუძუთა ბავშვი, ოღონდ მოკლულის გვარის ვეჟიშვილია.

მკვლელის ძმათაშვილებსაც დიდი თავდაჭერილობა მართებთ სოფელში დაბრუნების შემდგომ. თუ ვისმეს ჩხუბი აუტეხეს, სცემეს, დაითვრნენ, შეიძლერეს ან როკვა იწყეს, ამით შებღალავენ ხევსურულ ადათ-ჩვეულებას და მოკლულის ახლობლებისაგან არ ასცდებათ დაჭრა ან მოკვლა. ამის გარდა მოკლულის (მოკეთეები) თავისიანები იმითაც გამოედავებიან და დიდ საზღაურს გადაახდევინებენ—ერთ დღიურ მიწას, ან 5 ძროხას.

მკვლელის მიწებით კი არავინ სარგებლობს. ყველა ერიდება მას. მაგრამ თუ ბოლოს და ბოლოს ვინმე გარეშე პირმა მოისურვა ამ მიწებით სარგებლობა, მაშინ მას დაეკისრება მთელი ის გადასახადი, რაც ადათის ძალით მკვლელმა უნდა აძლიოს დაზარალებულ

ოჯახს. ამ შემთხვევაში მკვლელი ყოველგვარი ასეთი ხარჯებისაგან თავისუფლდება.

ამ ჩვეულებას ხევსურეთში ეწოდება **„ხმელი თავი“**.

ზემოაღნიშნული ადათები და გადასახადები განუწყვეტლივ გრძელდება, სანამ მკვლელის გვარეულობიდან ერთი მაინც ვინმე ბოგინობს ქვეყანაზე (ძმა, ბიძაშვილი, ძმათა შვილები, მათი შვილები და სხვ.)

ასეთი საქმე შერიგებით ძალიან იშვიათ შემთხვევაში თავდება.

მაგრამ, თუ შერიგება მოხდება, დამნაშავე მხარე მეტისმეტად დიდ საზღაურს იხდის—16-დან 20 სულს სხვილ-ფეხა საქონელს, აუარებელ ლუდს და ამის გარდა მანვე სალოცავში საღმთო უნდა დაჭკლას მთელი სოფლის ხალხისათვის: ორი ცხვარი უნდა დაკლას და ხალხისთვის მოიტანოს ვერცხლის ან სპილენძის თასები.

საბოლოო შერიგება ძალიან თავისებურად ეწყობა: დაგრეხილი ბალახს გამოასკვანძავენ და ყველა დამსწრე მას ფეხით უნდა შესდგეს, ბოლოს მოკლულის ოჯახის უფროსს დაადგმევინებენ ფეხს და მან უნდა წარმოსთქვას: „მიპატივებია და გამითავისუფლებიხართ ხატის და ხალხის გულუსადავ! დღესიდან სწორ გზაზე იარეთავ... თუ ყველაის ხათრს შაინახავთ, შეგაგინო, შენც შემომაგინე, დაგჭრა, სამაგიერო გადამიხადე“ და სხვ.

ამ ცერემონიის შემდეგ ყველანი სუფრას შემოუსხდებიან, ლუდს შეექცევიან და ამის მერე იწყება დასასრულის დასაწყისი, ე. ი. საბოლოო შერიგება.

საერთოდ გადამტერებულების შერიგება ძალიან ძნელია, მესისხლეთა შურისძიება ხომ რამდენიმე ათეული წელიწადი გასტანს, ზოგჯერ რამდენიმე საუკუნეც.

ამ რამდენიმე წლის წინედ სოფ. გუდანში გუდანის-ჯვარის ხატობაში მთელი სოფლის საზოგადოებამ იმსჯელა და მესისხლეთა დევნის უკანასკნელ ვადათ 80 წელიწადი დააწესა. ამ გადაწყვეტილების დაღთქმის დასადასტურებლად გუდანის-ჯვარის სამლოცველოში ხევსურებმა დიდი ლოდი ჩაფლეს,—ეგრედ წოდებული **„ხამანი“** და იქვე სამლოთოდ დაკლეს ცხვარი. ასეთი დადგენილება სხვა სოფლებმაც გამოიტანეს. ასე, რომ ეს ფიცი ხევსურეთში ყველგან გავრცელდა. მაგრამ მესისხლენი იშვიათად უწევენ ანგარიშს ამ გადაწყვეტილებას.

ზემოთ ნათქვამი ლიტონ სიტყვად რომ არ ჩაგვეთვალოს, აქვე მოგვყავს შემდეგი შემთხვევა: სოფ. ახიელის (არხოტის რაიონია) მცხოვრებ **ნაროზაულს** ამ 200 წლის წინად შემოჰკდომია სოფ.

ბლოს მცხოვრები შიშნია **გიგაური**. იმათი შთამამავლობის საბოლოო შერიგება მხოლოდ 1927 წელს მოხდა, აგვისტოში, „ათანგენობის“ დღეს.

მეორე მაგალითი: ამ ასი წლის წინედ სოფ. ჭიმლას მცხოვრებ **თეთრაულების** და სოფ. ახიელის მცხოვრებ **ჯაბუშანურების** შორის მკვლელობა მომხდარა და მათ შორის შურისძიება დღემდე გრძელდება, რადგანაც შერიგება ვერ მოხერხდა.

მიცვალებულის დამარხვის წესი.

როგორც ყველა სხვა ერებში, ისე ხევსურებისათვისაც სიკვდილი ყველაზე უფრო ძლიერი ტრაგიკული მოვლენაა ცხოვრებაში, მაგრამ იმავე დროს ერთგვარ საბაბს იძლევა მოსალხენად.

ეს მოვლენა, შეიძლება იმისათვისაც არის ასე, რომ ცდილობენ შეაფერადონ და შეამსუბუქონ სიკვდილით გამოწვეული შინაგანი მჭკუნვარი შიში და ჭირისუფლების მწუხარება. ყოველ შემთხვევაში აღაპი თუ ქელეხი ყველგან და ყოველთვის ყველა ერებში ქეიფს ემსგავსება, თუმცა ბლოვის იდუმალებით იმოსება მიცვალებულის კარ-მიდამო.

ასეთ ჩვეულებას ხევსურებიც მისდევენ, მხოლოდ მათ თავისებური, ნიშანდობლივი სიცოცხლე და ელფერი შეაქვთ მასში.

ხევსურეთში, მძიმე ავადმყოფის პატროხის ოჯახში, მთელი ნათესაობა, მოგვარეები და მეზობლები იყრიან თავს ღამის თევით. ყოველს ხევსურს ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია გაჭირვების დროს მიხედოს მახლობელსა და მეზობელს, ხელი წაახმაროს.

ახალგაზრდა მომაკვდავ ვაჟს ცალხელში ხმალს აძლევენ, მეორეში კი ანთებულ სანთელს. მოხუცებულ მამაკაცებს და ქალებს კი მარტო ანთებულ სანთელს.

მიცვალებულს თვალებს დაუხუჭავენ, ხელებს გულზე დაუკრეფენ და შემდგომ ხარდახში გამოასვენებენ ან ეზოში. (იხ. სურ. 26).

ეს იმისათვის, რომ მიცვალებულს მზემ უკანასკნელად კიდევ დაჰხედოს სახეს. მეორეც იმისთვის, რომ მიცვალებულის გვამით სახლი არ გაუწმინდურდეს, რადგანაც, ხევსურების რწმენით, მიცვალებულის გვამი უწმინდურად ითვლება.

მიცვალებულის ლოგინი, საცვლები და საერთოდ რაც რამ მას ეცვა, ეზოში გამოაქვთ და ცეცხლს აძლევენ.

ასეთი ადათი ამავე დროს ყველასათვის გასაგები ნიშანია იმისი, რომ ამ სოფელში ვინმე გადაიცვალა.

იმ დღით სოფლიდან სამუშაოზე აღარავინ გადის, ყველანი მიცვალებულის ოჯახში იყრიან თავს და მახლობელი ადამიანის სიკვდილის გამო ჭირისუფლებს სამძიმარს უცხადებენ.

დედაკაცები შორიდანვე „ძახილით მოდიან" (მოთქმით ტირილი) და მოთქმა-ტირილით მოდიან, სახლში შესვლისას კი მიცვალებულს გარს შემოერტყმიან ხმამაღალი მოთქმა-ქვითინით. ზოგიერთი შამაკაცებიც დაიტირებენ მიცვალებულს მოთქმით:

სურ. №26.

„რა ჰქენი! რად მოიყვანე ჩვენს თავზე ღვთის რისხვაივ! ამისი იმედი გვქონდავ შენივ... შენ ხომ მუდამ ჩვენი იყავ, ჩვენი მოამაგე, ჩვენი მფარველი, ჩვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე... შენ სიკვდილი მთელ ხევსურეთში მეხივით გავარდების, ყველა შეწუხდების, სინანულს ძიეცემის, შენგან დაობლებული..."

მიცვალებულის ჭირისუფლები ყველა ნათესავებს, მოკეთეებს თუ ნაცნობებს საგანგებო კაცების დაგზავნით ატყობინებენ ამ სამგლოვიარო ამბავს, რაც უნდა შორი გზა იყოს გასავლელი. სტუმრები იწყებენ დენას. ყველა მათგანი სამძიმარს ეტყვის ჭირისუფლებს.

ამ ჩვეულებას ხევსურეთში ეწოდება „ჰირის წყენა“. მიცვალებულის ჰირისუფალი (ოჯახის უფროსი), საკინძ-გადახსნილი, მკერდ მოღეღილი, თვალებზე ქუდჩამოფხატული ზის სახლში ან ეზოში. მოსამძიმრე მიდის მის წინ, ცალ მუხლზე იჩოქებს (იხ. სურ. 27),



სურ. № 27. ჰირის წყენა.

ორივენი აქვითინდებიან, მოთქმით მოსთვლიან განსვენებულის ღირსებებს და თავის მწარე მდგომარეობას...

მოსამძიმარე. ვერ გექნას ჩემი თავი მანამდე შენ ეეგეთას გნახავდი.

ჰირისუფალი. შენს მტერსა და დუშმანს.

მოსამძიმარე. შადლი არასა თქვენ ასეთ ვაჟკაც გაკლდებოდას, ჩემ კვალ კაცი მზეზე იარებოდას, სიტყვას გეტყოდას...

ჰირისუფალი. დასამადლებიას ჩვენდ, მასალოცავ... არაად ვღიროთ ჩვენ... მზე დაგვცდების, კაცი სწორი... მავკვდებით და მოვისვენებთავ.. ნულარამც ყოფილ ასეთი ჯაბანი ყოფნა.

მოსამძიმარე. თქვენ ვინ გაჯობებთავ... ვაჟკაცნი ბატონის შესადარჟ. თქვენ დიაცნი დედოფლობის სადარნი... თქვენ შეგეფერებისთ დიდი სასახლენი, ცხენის ჯოგი, ფარ-ხმალი და ჯაჭვი და ლაშქრისა და ხევსურთ წინამძღვრობა.

ჰირისუფალი. ღმერთიმც გიშველასთ, რომ ჩვენისთანა საწყალი გებრალებისთ... ჩვენი მზე დაბნელებულია... ღირსნი არ ვართ შენის ნუგეშის.

მოსამძიმარე. ესეთ უბედურობა მაუვიდას იმას, ვისაც საწყინად არ დარჩას და გაუხარდას თქვენი სიმწუხარე... გაკმაოსთ ღმერთმ, გულ დაგიმშვიდასთ და კლავ აგაცილასთ ასეთი სიმწუხარე.

ჰირისუფალი. თქვენაც გაშოროთ ყველა უფერი.

ასეთი სანუგეშო ფორმით ეტყვიან სამძიმარს მეტადრე ჰირისუფალ-დიასახლისს, მით უმეტეს მაშინ, თუ ოჯახს მოაკლდა მისი მარჩენელი წევრი და წვრილშვილი დაობლდა.

„ნუ დაიჩაგრავთ გულს, ჰირს გაძლება უნდავ, ობლები გამოსაზრდელები გყავთ... არ უნდ გააგებინ ხალხს უპატრონობავ“ და სხვა... ღვთისმსახურნიც გამოჩნდებიან. ისინი არც მიცვალებულთან მოვლენ, არც შეკრებილ ხალხთან, და პირდაპირ ადიან სახლის განზე. ხევსურების რწმენით, ღვთისმსახური შეუბღალავი და წმინდა უნდა დარჩეს.

მათი მოსვლის შემდეგ, მიცვალებულის მახლობლები თვითონ ია ხლებიან განზე, სადაც მათგან სამძიმარს მოისმენენ.

ამ ცერემონიების დროს, მიცვალებულის ოჯახობა დაკლავს ცხვრებს, პურს აცხობს, ხაიწსა და ფაფას ამზადებს. ფაფას ქერისა

და სიმინდის ფქვილისას ხარშავენ წმინდა ერბოში, წყლის გაურევ-ლად. ამ საჭმლით უმასპინძლდებიან ყველა სტუმრებს ქელეხში.

დამარხვის წესების შესრულებაში ყველა მეზობლები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ და ხელს ახმარებენ როგორც სამზადისში ისე სხვა საქმეებშიაც.

საგანგებო გზირები დაიგზავნება სოფლებში ყველა ნათესა-ვებთან, რომ დამარხვის დღისათვის ცხენები მზად იყოლიონ დოლ-ში მონაწილეობის მისაღებად. უნდა აღინიშნოს, რომ დოლს არა-ჩვეულებრივი რამ საზეიმო ელფერი შეაქვს დამარხვის ცერემონიაში. დოლი ზამთრობით არ იმართება და თუ დამარხვა ზამთარში მოხდა დოლს ზაფხულისათვის გადასდებენ.

მიცვალებულს ჩვეულებრივად მე-3-4 დღეს ასაფლავებენ.

მოჯირითენი მიცვალებულის დამარხვამდე მახლობელ სოფელ-ში მიდიან მიცვალებულის ნათესავებთან, სადაც ისვენებენ, დანა-ყრდებიან და მიცვალებულის შესანდობარს სვამენ... თუ ეს სოფელი ახლრა, მალე ბრუნდებიან უკან იმავე დღეს. თუ სოფელი დიდი მანძილითაა დაშორებული, მაშინ მეორე დღეს ბრუნდებიან დასაფ-ლავებაზე.

ჯირითის დროს ხშირია უბედური შემთხვევები, რადგანაც ხევსურეთი ძალიან მთიანი ადგილია და მოჯირითეს დიდ ხიფათში აგდებს.

ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ სოფლები ძალიან დაშორე-ბულია ერთიმეორესაგან და მხედრებს მთელი დღე დაუსვენებლივ სჭირდებათ უბელო ცხენით ჯირითი, მაშინ ადვილი წარმოსადგე-ნია მათი თავგანწირვა და ამ უფსკრულებზე ჭენების საფრთხე.

მოჯირითეებმაც კარგად იციან ეს გარემოება და ყოველ შემ-თხვევისათვის უბელო ცხენს მაგრად ამოუჭერენ მუკელზე ბრტყელს ქარშიკს (შალის ნაქსოვი გარსაკრი 3-4 გოჯის სიგანისა). თავქვე დაქანების დროს მოჯირითე ამ ქარშიკს მაგრა ჩაებლაუჭება, რომ ცხენის თავზე არ გადასხლტეს. თუ ცხენი ბევრი ჭენებისაგან მეტის მეტად გაიბერა, მოჯირითე ამ ქარშიკის გაჭერაზე შეატყობს და ცოტა შელავათს მისცემს.

მოჯირითეების გასტუმრების დროს, ხალხი აფრთხილებს მათ და დარიგებას აძლევს, როგორ უნდა მოიქცნენ გზაზე, თან მშვიდო-ბის მგზავრობას უსურვებენ.

ჯირითის დასრულების ბოლოს მიცვალებულის ჭირისუფლები მოჯირითეებს ასაჩუქრებენ მათი მხნეობისა და პირველობის მიხედ-ვით: ძროხით, ფარდაგით ან ფალასით; მიცვალებულის აბჯრით,

ტანისამოსით, ქვაბებით, ყოველივე იმ ნივთებით, რის გაჩუქებაც კი შეიძლება მიცვალებულის ავლა-დიდების მიხედვით. საუკეთესო და ძვირფასი ჯილდო ეძლევა ჯირითიდან ყველაზე ადრე დაბრუნებულს.

გარდაცვალებულის ქონებრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული ჯირითში მონაწილე ცხენების რაოდენობა და მათი ღირსებაც.

მიცვალებულის გამსვენებელთ ე. ი. კუბოს ამწევებს ხევსურები „**შერეულებს**“ უწოდებენ.

სასაფლაოდან დაბრუნების შემდეგ, სახლში ჯერ არავინ არ შევა, სანამ „**პირის სამხსნელო**“ მსხვერპლი არ დაიკვლება და მისი სისხლით სახლის კედლებს არ შეღებენ.

ამავე დროს ცხვება პური, იხარშება მეორე საკლავის ხორცით საჭმელი, ეგრედ წოდებული „**პირის გასამხსნელო**“.

„პირის გაუმსხნილებლად“ არც ნათესავები და არც მეზობლები სხვა ხორცეულს არ მიეკარებიან.

მსხვერპლის დაკვლისა და პურის ცხობის დროს, ხევსურეთის ჩვეულებით, თოფი უნდა დაიცალოს.

ქელეხში ჯერ მანდილოსნები სადილობენ, მერე მამაკაცები. მიცვალებულის პატრონი დამსწრე ხალხს არავითარი სასმელით არ უმასპინძლდება. თუ ვინმეს სასმელი უნდა, უფლება აქვს თანვე მიიტანოს.

ქელეხის შემდეგ ხალხი თავიანთ სახლებს უბრუნდება, და ჭირისუფლებთან რჩებიან მხოლოდ „შერეულები“, ისინი იქვე გაათევენ ღამეს და ჭირისუფლებს სხვადასხვა სამხიარულო საოხუნჯო არაკებითა და ზღაპრებით ართობენ, და კერაზე ცეცხლს გაუქრობლად ინახავენ.

ხევსურების რწმენით, მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ მოწყენილად გატარებული ღამე ძალიან ცუდის მომასწავებელია, ოჯახს კიდევ გამოაკლდება ვინმეო.

მეორე დღეს „შერეულებიც“ თავთავიანთ სახლებს უბრუნდებიან.

მიცვალებულის ხსენება

დასაფლავების მერე, მიცვალებულის სახლში, ფარდაგ გადაფარებულ ტახტზე აწყობენ განსვენებულის: თოფს, ხანჯალს, ქამარს, ჩოხა-ახალუხს, საცვლებს, წინდებს და სხვა ნივთებს, შალვარის გარდა.

ჭირისუფლები ამ ტახტს მოუსხდებიან და ძვირფასი მიცვალებულის ნაცვლად მის ტანისამოსსა და საჭურველს აყრიან ცრემლებს. (იხ. სურ. 28)

მისივე დასატირებლად მოდიან ნათესავები, მეზობლები და საერთოდ ყველა ისინი, ვინც დასაფლავებას ვერ დაესწრო, თან ყველას მოაქვს არაყი.

სურ. № 28.
ნათესავები დასტირიან მიცვალებულის ტანსაცმელს ან ირაკლის

მიცვალებულის ტანისამოსი და საჭურველი ერთი წლის განმავლობაში ხელუხლებლად აწყვია ტახტზე გაშლილი.

დასაფლავების შემდგომ, ნათესავები, მეზობლები თუ მთელი, სოფელი თავის მხრივ ყველა თავისებურათ გლოვობს, მეტადრე მაშინ, უკეთუ განსვენებული სახელოვანი და ყველასთვის საყვარელი

ადამიანი იყო. გლოვის ნიშნად მამაკაცები წვერს და თმას მოუშვებენ, და ზედა ტანისამოსს გადაბრუნებით იცვამენ, რომ მისი მორთულობა, მასრები, ფერადი ლენტები თუ სირმა არ მოსჩანდეს. მანდილოსნებიც გადაბრუნებით იცვამენ ზედა ტანისამოსს და ყოველ გვარ მორთულობას ფარავენ.

მგლოვიარობის დროს ხევსურეთში მიყუჩდება ფანდურის ხმა და სიმღერა. ამ დროს, ერთიმეორის ხათრით და ჭირისუფლების რიდით ყველა ერიდება მხიარულ გართობას და ქორწილსაც კი სხვა დროისთვის გადაზდებენ ხოლმე.

მოხუცებულის გარდაცვალების დროს კი გლოვას ასეთი მტკიცე ხასიათი აღარა აქვს, პირიქით ხევსურები მხიარული ხუმარა-ოხუნჯობით ასაფლავებენ მას.

ხატის დღეობის მოახლოვების დროს, ჭირისუფლები ყველა მგლოვიარეთ ეხვეწებიან ნულარ იგლოვებენ და ხატობას ნუ მოსცდებიან.

ზოგიერთი მეზობლები, მეტადრე ხატის მსახურნი, დღეობების დროს ხელს იღებენ გლოვაზე, თუმცა დღეობის მერე ისევ გლოვიარედ რჩებიან ადათით დაწესებულ ვადამდე,

მიცვალებულის ჭირისუფლები წლის თავზე ერთ-ერთ დღეს აირჩევენ და წლის თავის წესს უსრულებენ. ამის შემდეგ ყოველ წლივ იმ დღით მართავენ მიცვალებულის მოგონებას. ამ დღეს ხევსურეთში ეწოდება „ტალავართალება". ჭირისუფლები მის მოსახსენებლად ამზადებენ ლუდსა და აოაყს.

ლუდი იხდება საშუალოდ 30 ფუთი ქერისა, პური ცხვება 10—15 ფუთი. იმ დღისთვის გაკეთებულ ხავიწს წმინდა ერბოთი ამზადებენ; დაახლოვებით სამი ფუთი ერბო მაინც დაეხარჯებათ, მიუხედავად იმისა ოჯახი აიტანს თუ არა ასეთს ხარჯებს. „ადათს სად წაუხვალ"-ო იტყვიან ხევსურები.

მიცვალებულის ხსენების დღისათვის, ჭირისუფლები მიიპატიჟებენ ნათესავებს და მეზობლებს.

ნათესავებს თან მოაქვთ არაყი.

იწვევენ აგრეთვე მოჯირითეებსაც, დოლის გასამართად, თუ დოლი დასაფლავების დღეს ვერ მოეწყო, ზამთრის გამო. ზოგიერთი ოჯახი დოლს მეორედ და მესამედაც მართავს საყვარელი მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავად.

საზოგადოდ მიცვალებულის ხსენების დღისთვისაც ისეთივე სამზადისი აქვთ ჭირისუფლებს, როგორც დამარხვის დღეს. ხატის მსახურნი მოვლენ და აკურთხებენ საჭმელ-სასმელს. მიცვალებულის

ბსენების პირველი დღე სტუმრების გამასპინძლებას და განსვენებულის ღირსება-დამსახურებასა და მის პატიოსნების ხოტბას უნდება.

მეორე დღესაც გრძელდება გამასპინძლება. დაიკვლის ორი ცხვარი და ერთი ძროხა ან ხარი.

თუ მიცვალებული ახალგაზრდა ვაჟკაცი იყო, მის გასაპატიოსნებლად (აკურთხებენ) ჩააყენებენ მის ცხენს ე. ი. სრული შეკაზმულობით გაამზადებენ, უნაგირზე გადაჰკიდებენ სავსე ხურჯინს, არყით სავსე თხიერებით (ტიკჭორებით), ზედვე დააგდებენ განსვენებულის ნაბადს.

მიცვალებულის ქვრივს ხელში უჭირავს ცალი ხელით აღვირის ტოტი, მეორე ხელით—არყით სავსე ყანწი.

თუ ცოლი არ დარჩენია, მაშინ ამ ადათს ასრულებს განსვენებულის დედა ან მამა.

ხატის მსახური აკურთხებს ამ ცხენის შეკაზმულობას და საპალნეს, ყანწით არაყს ზედ გადაასხამს და წარმოსთქვამს: „სანამ ცოცხალ იყავი ორ ხელმი გეჭირ, ალალ იყოს შენზე ეხლა“. ცხენს სამჯერ ოდნავ გადაჰკრავს მათრახს. ხურჯინს ჩამოხდიან, სოფლის გარეთ მიდიან ქალიან-კაციანათ, თან მიაქვთ სალმელი და სანოვაგე. ქალები იქ იწყებენ განსვენებულია გამოტირებას და ყველას ეხვეწებიან ხსენება უთხრან მიცვალებულს.

ამავე დროს, საჯირითოდ ჩაყენებულ ცხენებს საგანგებოდ გაშლილ ფარდაგზე ქერს აჭმევენ.

ბოლოს, წამოდგება განსვენებულის ქვრივი ან დედა, ცხენს აღვირში ჩაავლებს ხელს და წინდაწინვე ამორჩეულ მოჯირითეს გადასცემს. აქ რჩეულმა მოჯირითემ, მოტირალე მანდილოსნებს სამჯერ გარშემო ჭენებით უნდა შეძოუაროს და შემდეგ გაქუსლოს. მას უკან დაედევნებიან დანარჩენი მოჯირითენიც.

ჯირითში მონაწილეობს 7-დან 13 კაცამდე. რა შანძილიც უნდა იყოს გასავლელი, იმათ უნდა შემოიარონ ყველა სოფლები, სადაც კი განსვენებულის მახლობელი თუ შორეული ნათესავები ცხოვრობენ და უკახვე გამობრუნდნენ. როდესაც 8-10 ვერსზე მოუახლოვდებიან, ცხენებს თავს მისცემენ და გაქანებით მოჰქრიან. ამ საშინელი თავბრუდამხვევი მთის ვიწრო ბილიკებზე, ქაფად ქცეულ მოქუხარე მდინარეებზე ეს თავხელაღებული ხალხი ისეთი გაშმაგებით მიაქროლებენ ცხენებს, რომ ყოველი მათგანის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. დაწინაურებულს, და გამარჯვებულ მოჯირითეს ჯილდოთ ეძლევა განსვენებულის თოფ-იარაღი, ფარ-შუბი, ტალავარი (ტანი-

სამოსი). ეს ჯილდოები ადრევე ხარისხებად არის დანაწილებული საამისოდ არჩეული მსაჯულების ძიერ.

მოჯირითეების პირველად გასტუმრების დროს ოჯახის უფროსი ასეთ გაფრთხილებას აძლევს:

„გიცხადებთ, რომ განსვენებულის ტაბლა მზადდების ამა და ამ სოფელში, იქ გაათენებთ ღამეს (თუ სოფელი შორს მდებარეობს) ღამით ჩუმად არავინ გამოიპარნათ, ლალატი არ იქნების, სირცხვილით ან, ყველანი ერთად გამალბრუნდებით, ერთის გზით, თავი არ შეირცხვინათ, ამით განსვენებული არ შეურაცხჰყოთ... თუ შამარცხვენთ ვერ მიიღებთ თქვენ კუთვნილ ჯილდოს, რაიც დიდის ჭირვარამით დამიმზადებავ ამ შავი დღისადავ“.

ამის შემდეგ ცხენებს დალოცავენ, კეთილ მგზავრობას და ტანშრთელად დაბრუნებას უსურვებენ და ყველანი სოფელში ბრუნდებიან. აქ ჭირისუფლები და მათი სტუმრები უმასპინძლდებიან მთელს ჯარს-ჯამაათს სხვადასხვა საჭმელით.

ჭამა-სმის შემდეგ, ყველანი თავთავის სახლებში მიდიან რამდენიმე კაცის გარდა, რომლებიც თავის მხრივ მოვალეობად სთვლიან ახლა თვითონ მოემსახურონ და მასპინძლობა გაუწიონ ჭირისუფლებს და მათ სტუმარ-ნათესაობას.

შორეული სოფლებიდან მოსულ ნათესავებს განსვენებულის მეზობლები რიგრიგობით იპატიჟებენ თავიანთ ოჯახებში და იქ უმასპინძლდებიან და ღამე მოასვენებენ. იძათთან ერთად განსვეხებულის ნათესავებსაც ჰპატიჟობენ.

მესამე დღეს ყველანი ისევ ჭირისუფლების ოჯახში იყრიან თავს და შეუჩნდებიან ოჯახის უფროსს თმა გაიკრიჭოს და წვერი გაპარსოს. თვითონაც ყველანი ასე იქცევიან.

ოჯახის უფროსი ჯერ უარზე დგას, ეგების კიდევ მოვიდეს ვინმე და არ ივარგებს მოპარსული როძ დავხვდეო, მაგრამ ბოლოს დაითათბირებენ და პირს იპარსავს. თმას კი წლის თავამდე არ გაიკრეჭს.

პირის მოპარსვის შემდეგ, ყველანი ასეთ სურვილს უცხადებენ:

— „დღეისიდან ნულარამც გინახამთ გლოვა თქვენს სახლში და ნურც თქვენ მაკეთებმი“.

რაზედაც ჭირისუფალი უპასუხებს:

— „ღმერთიმც იყოს თქვენ შემწე, მკვდარზე გვლევა ლხინათ შეგეცვალასთავ“.

ამის მერე ხევსური უკანასკნელად კიდევ ჩალეკენ არაყს და მასპინძელს გამოეთხოვებიან.

მიცვალებულის ხსენება ხევსურეთში იმართება დიდმარხვის მეორე კვირას, შაბათ დღეს (იხილე „მასალები ხევსურეთის შესახებ"—გაბურისა). ამ დროისთვის მიცვალებულის ოჯახი ლუდსა ხდის და სხვა სოფლებიდან მოსულ სტუმრებს უმასპინძლდება. კვლავ იმართება სმაულობა და ჯირითი.

წლის გასულს გლოვა თავდება და ტირილიც, მაგრამ ლუდის ხდას მაინც ბოლო არ უჩანს.

განსვენებულის ერთ ხელ ტანისამოსს სთავაზობენ დედის ძმას, მეორე ხელ ტანისამოსს კი—ცოლეულთ. უკეთუ განსვენებულის ქვრივი უთვისტომოა და ნათესავები არ გააჩნია, მაშინ მეორე ხელი ტანისამოსი მიეცემა ძმად ნაფიცს.

გარდაცვლილი მანდილოსნის ტანისამოსიდან კი ერთ ხელს მისი მამის ოჯახს აგზავნიან, მეორეს კი—რომელიმე ნათესავს.

წლის თავზე ჭირისუფლები და მათი მეზობლები კიდევ ხდიან ლუდს „მიცვალებულის მოსახსენებლად".

მოდიან ნათესავები—სტუმრები, სხვა სოფლებიდანაც, თან მოაქვთ არაყი და კვლავ იმართება სმა.

სასმელს ხდიან და ხალხს უმასპინძლდებიან ისიც, ვინც ჯირითში საჩუქრები მიიღო, აგრეთვე ისიც, ვისი ცხენებიც ჰყავთ ნათხოვარი მოჯირითეებს.

ყოველივე ამის შემდეგ სოფელს გლოვა მოეხსნება და ყველას თავისუფლად შეუძლიან იმხიარულოს.

ხევსურის თავის „დამარხვა" სიცოცხლეშივე.

როგორც ხედავთ, ხევსურები ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევენ დამარხვა-დასაფლავების წესებს. მაგრამ არიან ხელმარტო, უთვისტომო ხევსურები, რომლებსაც არავითარი ნათესავი და მოკეთე არ მოეძევებათ. ასეთი უთვისტომო ხევსურები საგონებელს ეძლევიან, თუ ვინ უპატრონებს და ვინ გააპატიოსნებს მათ სიკვდილის შემდეგ.

ამის გამო უთვისტომო ხევსური სიცოცხლეშივე მართავს თავისი დამარხვის საზეიმო წესებს: გამოხდის ლუდსა და არაყს, ამზადებს საჭირო სანოვაგეს, შეჰკაზმავს ცხენს, რომელსაც ხშირად საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის ყიდულობს, უნაგირზე ჩააკრავს თავის ნაბადსა და ტანისამოსს, გადაჰკიდებს გატენილ ხურჯინს, რომლის ცალთვალში არყით სავსე ტიკჭორაა, მეორეში კი ლუდი და ეპატიჟება მახლობლებს და მოკეთეებს. მათთან ერთად გადის სოფლის გარეთ, ცხენს მოახტება, მათრახს გადაუჭირებს და თან ეტყვის:

„საიქიოს შენ უნდა მზიდდა. ეს ტალავარიც მეავ უნდა გავ-ცვითო“.

ერთ მუხლ მანძილზე გააქანებს ცხენს, მერე შემობრუნდება, სტუმრებს სოფელში გაიყოლებს და დაიწყება სმა და ღრეობა, ვიდრე სასმელს მთლად არ „ჩაღლევენ“.

ასეთი წესით „დაიმარხა თავი“ ს. ბლოელმა ხევსურმა **თორღა გიგაურმა**. წესისამებრ შეამზადა ყველაფერი, სტუმრები მოიწვია, მოახტა შესაფერად გამზადებულ ცხენს და სოფლის ბოლოსაკენ გაქუსლა.

სტუმრები ადგილობრივ დარჩენ და მის დაბრუნებას ელოდნენ.

თორღას გზად შემოეყარა არხოტის საზოგადოების სოფ. ამ-ლის მცხოვრები ხევსური **მინდია წიკლაური**, შეეკითხა:

— „სად მიხოლ, თორღავ?“

— საიქიოსა!.—უპასუხა თორღამ. მინდიამ ასეთი პასუხი ოხუ-ნჯობად მიიჩნია, ცხენის ლაგამს ხელი უტაცა და ისევ ხუმრობის კი-ლოთიენ უთხრა:

— „ღმერთის მამ საიქიოს შენი გამშობი არ ორ!“

— „თუ არ გეჯერების, აი, შამამხენე, თან მიმაქვ ყველა, რა-იც საჭირო ას!“—უპასუხა თორღამ, ცხენიდან ჩამოხტა და მინდიას გაუმასპინძლდა.

ერთ ადგილას თავმოყრილი ხალხი კი შეფიქრიანდა თორღას დაგვიანებაზე, იფიქრეს: ასე რომ დაიგვიანა, მართლაც საიქიოს ხომ არ წავიდაო.

მთელი ხალხი დაიძრა მის საძებნელად. შოლიდან დაინახეს, რომ თორღა და მინდია სმაში არიან. გაუხარდათ და მინდიას დი-დი მადლობა მოახსენეს, რომ თორღა „საიქიოს“ არ გაუშვა.

ყველანი სოფელში შემობრუნდნენ, მინდიაც თან წამოიყოლეს და სამი დღე და ღამე განუწყვეტელ ქეიფში იყვნენ.

ასე უსრულებენ ხოლმე თავისთავს „დამარხვის წესებს“ უთვის-ტომო, ხელმარტო ხევსურები.

სტუმარ-მასპინძ-ლობა

ხევსურების ზნე-ჩვეულების დასახასიათებ-ლად დიდი მნიშვნელობა აქვს სტუმარ-მას-პინძლობას, რადგანაც ეს არის შემაერთებელი ხიდი პიროვნებისა და საზოგადოების შორის.

ხევსურისათვის სტუმარი ხელშეუხებელი პიროვნებაა, თუნდაც მასპინძელს მისგან რაიმე წყენა ახსოვდეს.

ხევსურეთში ორგვარი სტუმარ-მასპინძლობა იციან—ერთი ოჯახში, მეორე—მგზავრობაში.

გავიხილოთ ეს ორივე სახე ხევსურული სტუმარ-მასპინძლობისა.

სტუმარ-მასპინძლობა ოჯახში

ხევსურეთში ოჯახური სტუმარ-მასპინძლობა ძალიან მიღებულია ნათესავებ შორის. ხშირად დაიარებიან ერთმანედთან ზამთარში, ახალი წლის მერე, და ბედისკვერით ულოცავენ ახალ წელიწადს. ასეთივე ბედისკვერები მიაქვთ ხოლმე ნეფის ნათესავებს საპატარძლოს ნათესავებთან, სანამ პატარძალს ნეფის ოჯახში არ მიიყვანეს. ბედისკვერით მილოცვა იციან აგრეთვე ქორწილებში, მიცვალებულის ხსენების დღეს და სხვა.

ზამთრობით, როდესაც დიდი თოვლი მოვა და ხევსურეთის გზები შეიკვრება, მთებს დაშორებული სოფლების მეზობლები ერთიმეორეს მოსწყდებიან, მაგრამ რაწამს გამოზაფხულდება, მაშინ განახლდება ერთმანეთში მისვლა და სტუმარ-მასპინძლობა.

ხევსურეთში ხელცარიელი სტუმრად მისვლა მიღებული არ არის. თუ სტუმარს სხვა არა ბოეპოვება რა, არაყს მაინც მიუტანს მასპინძელს.

ხევსურეთში სტუმარს ალერსიანად და მხიარულად ეგებებიან მასპინძლებიც და მისი მეზობლებიც. სტუმრიანობა მეტადრე ახალგაზრდობას უყვარს და ახარებს. ეს გარემოება ადვილი გასაგებია. სტუმრიანობას საერთო მხიარულობა მოსდევს, ახალგაზრდები ერთმანეთს ხვდებიან, ეცნობიან, ერთმანეთზე გულთ შეუვარდებიან, შეიძლება სიყვარულმაც იფეთქოს, მათ შორის შუაკაცობის მიგზავნაც გახდეს საჭირო ნიშნის მისაცემად, და საქმეც საბოლოოდ გამოიჩარხოს.

ხევსურეთში სტუმარი მასპინძლის სახლში ფეხს ისე არ შესდგავს, თუ ჯერ არ იკითხა „შინ ხართ?“

მასპინძელი სალამ-ქალამით გამოეგებება სტუმარს: „გამარჯობა ვაჟებო“, ცხენიდან გადმოსვლას ჰშველის, ჩამოართმევს ძველს საჭურველს, რომელსაც ხევსური ყოველთვის თან ატარებს სტუმრობის დროსაც (დაშნას, თოფს, ფარს).

სტუმრად მისულ მანდილოსანს კი მასპინძელი მხრიდან ჩამოხსნის არყით სავსე ტიკჭორით გუდას.

ამის შემდეგ სახლში შეუძღვება და ასთხოვს დაბრძანდეს, მაგრამ, სანამ უხუცესი მასპინძელი არ ჩამოჯდება, სტუმარი უსათუოდ ფეხზედ სდგას, ხოლო, როდესაც უხუცესი ჩამოჯდება, სტუმრებიც ჩამოსხდებიან. აქ იწყება ბაასი; ერთმანეთის „ამბის კითხვა“, თუ რა

ზდება მათს „გორში“. მათი საუბარი დაახლოვებით ასეთი ხასიათისაა:

— როგორ ხართა? ხომ არ გიჭირთავ, კაცითავ, საქონლითავ.

სტუმარიც უპასუხებს:

— რა საკითხავიასავ ჩვენ ამბავი! სულებ ქვე გვიდგასავ!. და სხვა... »

ერთიმეორეს ქათინაურებს ეუბნებიან, ბოლოს იწყება მასპინძლობა, იშლება სუფრა, მოდის არაყი, ლუდი და თავიდათავი საჭმელები. მასპინძელი სტუმარს წინ უზის, განუწყვეტლივ სთავაზობს საჭმელ-სასმელს, საუბრით ართობს, ლექსებს უმღერის, ფანდურს უკრავს, ერთი სიტყვით სულ იმის ცდაშია, რომ სტუმარს ასიამოვნოს რამე.

როდესაც სტუმარი საკმაოდ დანაყრდება და ისიამოვნებს, წამოდგება, თავის ადგილს მასპინძელს დაუთმობს, თვითონ მის წინ ჩამოჯდება და ახლა თვითონ ემსახურება და შეაქცევს მას.

ზამთარში შემოსწრებულ სტუმარს მასპინძელი მოართმევს მას თავის ოჯახში ნაქსოვ თბილ წინდებს და მხრებზე წამოასხავს ცხვრის ტყავს, ანუ როგორც ხევსურები იტყვიან „გუდანურს“.

როცა სტუმარი მგზავრობიდან საკმაოდ დაისვენებს, მაშინ მასპინძელს სთხოვს, რომ მისი მოტანილი არაყი ძოაოთონ სუფრას, მაგრამ მასპინძელი ისევ თავის არაყს მოუტახს, სტუმრის პატივისსაცემლად მეზობლებს მოიპატიჟებს და იწყობა გაბმული სმა.

გამასპინძლების დროს მასპინძელი ცალ მუხლზეა დაჩოქილი და ისე ემსახურება სტუმარს, ისე აწვდის არყით სავსე ყანწს.

მოწვეული მეზობლების შემოსვლაზე, ოჯახში ყველანი ზეზე წამოიშლებიან და მიეგებებიან:

— დაგამშვენასთავ ღმერთმა.

სტუმარი მეზობელი—ღმერთიც აგაშენებსთავ!

— „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა“.

— დასხედითავ. ჩვენას გულისად ნუ აიშლებითავ—უპასუხებენ ახლად მოსულნი. მაშინ ყველა იმათგანი გამოსცლის მოწვდილ არყის ყანწს.

შემდეგ ყველანი ხნოვანობის მიხედვით და მასპინძლის მითითებით დალაგდებიან და მასპინძლებიც უმცროს-უფროსობის მიხედვით სხდებიან.

ახალი სტუმრის მისვლაზე, იგივე მეორდება: წამოდგომა, მისალმება, ქათინაურები, რასაც დიდი დრო მიაქვს.

შემოსწრებული მეზობლები გამოჰკითხავენ სტუმრებს, როგორ ცხოვრობენ, ხომ არ დაზარალებულან, ხომ არ ავადმყოფობენ და სხვა.

ამის შემდეგ იწყება გამასპინძლება სტუმრის მიერ მოტანილი არყით.

ერთი სტუმართაგანი იღებს ყანწს, ცალმუხლზე იჩოქებს და ასე სთავაზობს არაყს ყველა დამსწრეებს.

რაც უფრო მეტი ისმება, მით უფრო მეტი მხიარულება, საუბარი და ხუმრობა გაისმის ხევსურის ოჯახში.

ამ დროს მასპინძელი მოართმევს ცხელ-ცხელ ხინკალს.

სანამ ხინკლის ჭამას შეუდგებოდენ, ერთი ტრადიციული ადათი კიდევ უნდა შესრულდეს: ოჯახის უფროსი ყველას ჩამოურიგებს არყით სავსე ყანწებს, როგორც თავისი ოჯახის ისე სტუმრების მიცვალებულთა შესანდობის დასალევად. ამ შესანდობარს ყველა ქუდმოხდილი მოისმენს და ყანწს ძირამდე გამოცლის. ქუდს მაშინ დაიხურავენ, როდესაც შესანდობარს ყველა დალევს. ვისაც ყველაზე ბოლოს მოუწევს ყანწის დალევა იმან უნდა წარმოსთქვას.

— „აი თქვენ ღმერთმა გადღეგრძელოსთა, მტერი დაგიმარცხოსთ, ბარაქა მისცეს ამ ოჯახს და ყველა თქვენს ოჯახებსაც. შავსვი თქვენი გამარჯვებისა. დაიხურეთ ქუდები“.

— „ჯერ პირქვე დახარე, ჩამაიყარე ყანწი!“

მაშინ ის ყანწს პირქვე დასწურავს და თანაც ეტყვის:

— „ესრემც დაიხრების თქვენ მტერი, მტერსაც ჩამყრით იარალს“.

ამ დროს, ამ სიტყვების მთქმელის გარდა, ყველანი ცალ მუხლზე დგანან. ის ეტყვის: წამოდექით-ღა, დროით ასავ წასვლისა, წავიდათავ, ვაქებო.

ამის მერე ყველანი წამოიშლებიან:

— „თქვენი გამარჯვებისამც იყოს, ქუდით გემსახურებითავ ბარაქ მაქცასთ სტუმარსაცავ, მასპინძელსაცავ!“

ეს ცერემონია ისე ჭიანურდება, რომ „ხინკალი“ უკვე მთლად გალელეჩებულია.

უმცროსი ქალი თუ ვაჟი უფროსებს ემსახურებიან და სუფრაზე არა სხდებიან. ბოლოს მანდილოსნებთან ერთად თავსდებიან სუფრაზე.

ხინკლობას რომ მორჩებიან, თითო ყანწი არაყი კიდევ ჩამოივლის, რის შემდეგაც მოხუცებული ხევსურები ფანდურს დაუკრავენ და ზედ დაამღერებენ ისტორიულ ლექსებს, ახალგაზრდები კი ცეკვა-შაირობაში ერთობიან.

მეორე დღიდან მასპინძლობა გადადის მეზობლებზე. ისინი ეპატიჟებიან მასპინძელსაც და მის სტუმარსაც. ასეთი მიპატიჟ-მოპატიჟება, სმა-ჭამა და მხიარულება სამ-ოთხ დღეს მაინც გასტანს.

როდესაც სტუმარი სახლში წასვლას დააპირებს და ცხენზე ჯდება, მასპინძელს უსათუოდ ცხენის უზანგს დაუჭერს და გზას დაულოცავს

გამოთხოვების დროს სტუმარს მასპინძლები დიდის ამბით აცილებენ სოფლის ბოლომდე, გზა და გზა არაყით უმასპინძლდებიან. და საგზაოდაც ატანენ ტიკჭორებით.

სოფელს რომ გააცილებენ სტუმარს და რომ გამოეთხოვებიან, მას შერე იგი უკვე ჩვეულებრივი მგზავრი ხევსურის პირობებში დგება და აღარავითარი ხელშეუხლებლობით არა სარგებლობს.

სტუმრიანობის დროს მასპინძლის ოჯახში ზოგჯერ ჩხუბიც ასტყდება სტუმრებთან, ამ შემთხვევაში უფრო ახალგაზრდობაა დამნაშავე. ჩხუბი რაიმე არსებული შურისძიების ნიადაგზე იჩენს ხოლმე თავს ან ქალების გულისათვის.

ასეთ შემთხვევაში საუკეთესო და მარჯვე შემრიგებლად მასპინძელი გამოდის, რადგანაც ხევსურეთის ჩვეულებით, მასპინძლის სახლში სტუმრის შეურაცხყოფა დიდ სირცხვილად არის ძიჩნეული. ამის გამო მასპინძელი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, შეარიგოს მოკინწლავენი და მშვიდობიანად გაათავოს საქმე, მაგრამ, თუ მათი შერიგება ვერ მოახერხა, მაშინ ჩხუბის თავს სახლიდან ითხოვს.

ჩხუბის ამტეხიც, თავის მხრივ, სირცხვილში ვარდება, ეჩოთირება მასპინძლის მომდურება და სტუმართან საქმის გამწვავება. ცდილობს სახლში ჩქარა დაბრუნდეს.

ბოჩხუბართა გაშველებისა და დამშვიდების საქმეში, მასპინძლის გარდა, სხვა დამსწრენიც ერევიან, ჩხუბის ამშლელს ნამუსში აგდებენ, შეარცხვენენ, გაახსენებენ, რომ სტუმრის შეურაცხყოფა დიდი სირცხვილია მთელი სოფლისათვის. ასე რომ ბოლოს მაინც შეარიგებენ, რასაც ხელახლა სმა და ქეიფი მოსდევს, ისე რომ ხშირად ეს მოჩხუბარნი იქვე ძმობილდებიან, ერთმანეთის „ძმადნაფიცები“ ხდებიან. შერიგების მერე არც ერთი მხარე თავს არ მართლულობს, პირიქით ყველა მათგანი თვითონ იბრალებს უსიამოვნობის გამოწვევას და ჩხუბის ატეხას და ყველაფერს ნასვამობას აწერენ.

კვლავ ჩაღდება ტკბილი ბაასი, მასლაათი, სმა, სიმღერა დ-ჩოკვა.

ჩხუბის დროს, მასპინძელმა თუ თავი არ გამოიდო მოჩხუ-ბართა შესარიგებლად და სტუმრის ხელშეუხებლობას არ გამოესარ-ჩლა, ყველა დასცინებს, რადგანაც დიდი სირცხვილია სოფლიდან შეურაცხყოფილი სტუმრის გაშვება.

მასპინძლობა გზაში

თუ გზად მიმავალი ხევსური შეგობრებს ან ნაცნობებს შემოეყარა, თავის ძოვალეობათა სთვლის გაუმასპინძლდეს, როგორც სტუმრებსა. ამის დასამტკიცებ-ლად მოვიყვან ხევსურეთში სკოლების და საავადმყოფოების მშენებლო-ბის ხელმძღვანელის ა. თოფაძეს ნაამბობს: „სოფ. ბარისახოდან წა-მოსვლის წინად ლიკოკის ხეობიდან ერთი ხევსური გამომყვა დამზა-დებული ხე-ტყის დასათვალიერებლად. წინა დღეს დიდი თოვლი მო-ვიდა. გზად შემოგვეყარა ერთი ხევსური, რომელსაც ზურგზე გუდა ეკიდა. მოშორებით შეჩერდა და გრძელი ლექსით მოგვესალმა. მაღალ-მაღალი იყო, ალვის ტანისა და ლოყებ დაბრაწილი. ეს იყო ივანე ქობუ-ლოელი და სოფ. როქშაში მიდიოდა ხათესავებთან. მოსალმების შემდეგ ივანემ გუდიდან ამოიღო არაყის ტიკპორა და ყანწი, ამ ღრმა თოვლ-ში ცალ მუხლზე დაიჩოქა, ქუდი მოიხადა და მიცვალებულის შესას-ნდობრად ყანწით არაყი შეიმოქვთავაზა. სამსამჯერ გაგვივსო ყანწი და დაგვალევინა თავის მიცვალებულების სულის გასანათლებლად, ცოცხლების სადღეგრძელოდ და მტერზე გასამარჯვებლად. ვიფიქრე ახლა კი წამოდგება მეთქი, მაგრამ არც კი უფიქრია. მაშინ ჩემი თანამგზავრი ხევსური დადგა მუხლისთავზე ივანეს წინა, ჩამოართვა ტიკპორა და ყანწი, დაასხა არაყი და ქება-დიდება შეასხა, შემდეგ მარცხენა ხელი კისერზე მოხვია, ხოლო მარჯვენათი კი ხახაში სავსე ყანწით არაყი ჩაასხა. მხოლოდ ამის შემდეგ ინება ივანემ წამოდ-გომა და ქუდის დახურვა.“

ასეთივე შემთხვევა მეც მქონია შატილში ხევსურების დღეობა-ში ათენგენობა-ჯვაროსნობა-ში გამგზავრების დროს. ღულის ხეო-ბის ვიწრო გასავალში საკულესიო ზარის რეკვა შემომესმა, კოკისპი-რული წვიმა მოდიოდა, ცოტა ხანა უკან, შევამჩნიე ჩემკენ წამოსული ცხენოსანი ხევსურების ჯგუფი. სულ წინ მკვირცხლ ცხენს მოაჭენებ-და „დეკანოზი“ (სასულიერო პირი). მარჯვენა ხელში ვერცხლის ტა-რიანი დროშა ეჭირა, რომელსაც ზედ ზარი ჰქონდა მიმაგრებული. ამ ზარით აცნობებდა ყველას საზეიმო პროცესის სვლას.

მე კარგა მოშორებით შევაყენე ცხენი. ჩამოვხტი ძირს და ქუ-დი მოვიხადე. „დეკანოზიც“ შეჩერდა, მაკურთხა და დამლოცა,

„დეკანოზის“ შემდეგ მომესალმა მისი ამალაც, მხოლოდ ამის შემდეგ მეძლეოდა უფლება სამაგიერო პასუხი მიმეცა მათთვის. მერე, დეკანოზის გარდა, ყველანი ჩამოხტნენ ცხენებიდან, ერთმა მათგანმა აიღო ტიკჭორა და ყანწი, მოიხადა ქუდი და ჩემს წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა, ამ ღვართქაფ წვიმაში ყველა ხევსურებმა მოიხადეს ქუდი და თავშიშველი იდგნენ, ვიდრე მე ერთი-ერთმანეთზე ორ ყანწ არაყს გამოვცლიდი ხატის პატივსაცემათ. მეც დავიმუხლისთავე ცალი ფეხით წვიმის წყალში, ჩამოვართვი ტიკჭორა, გავივსე ყანწი, მივმართე მადლობით მთელ ამალას, შემოვხვიე ჩემს მასპიხძელს კისერზე მარცხენა ხელი და დაღებულ ხახაში უშველებელი ყანწით არაყი ჩავასხი. ახლა ვთხოვე ყველას ამდგარიყვნენ და ქუდები დაეხურნათ. წვიმა უფრო ძლიერდებოდა.

კიდევ კარგა ხანს მოისმოდა ხეობიდან დეკანოზის ზარის ხმა. დიდათ გამიტაცა ხევსურების ასეთი მასპინძლობის ორიგინალობამ.

ძმობილება

ხევსურებს აქვთ „დაძმობილების“ ადათი. თითოეულმა იმათგანმა ვისაც დაძმობილება სწადია, სამჯერ უნდა დალიოს არაყი ან ლუდი ერთი და იმავე ჯამიდან, რომელშიაც წინასწარ ჩაფხეკენ ვერცხლის ფულს. ასეთი წესის შესრულების შემდეგ იგინი ითვლებიან დაძმობილებულებად და ხშირად ეს დაძმობილება ნათესაურ ძმობაზედაც მტკიცეა. თითოეულ ამათგანს შეუძლია ისე შევიდეს ძმის სახლში, როგორც საკუთარში, მოიხმაროს სუფრა ილისამებრ მისი ნივთები, ძმის მტერი საკუთარ მტრად მიიჩნიოს და უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიფაროს მისგან ძმა.

დაძმობილება ხდება ქალვაჟთა შორისაც, ხდება ქალებშიაც. უკანასკნელნი ეპყრობიან ერთმანეთს, როგორც ღვიძლი დები.

სწორ-ფროგა

თუ ერთიმეორესადმი მიზიდულება იგრძნეს ახალგაზრდა ქალვაჟნიც ძმობილდებიან და გულს უხსნიან ერთმანეთს.

მრავალი შეხედულება და აზრი არსებობს ამ დაძმობილების გარშემო, ახალგაზრდობის ურთიერთისადმი ლტოლვის და სიმპატიის ასასხნელად.

სცდება, ვინც ფიქრობს, ვითომც ახალგაზრდა ხევსურ ქალვაჟის დაძმობილებაში სქესობრივ გარყვნილებასა აქვს ადგილი. ასევე ღრმად არის შემცდარი ქართველი ბელეტრისტი მ. ჯავახიშვილი, როცა თავისი მოთხრობაში „თეთრი საყელო“ გამოთქვამს იმ აზრს, თითქოა ახალგაზრდები ფიზიკურ დაახლოებისათვის წვებიან ერთად და ისიც ტირვლები. ჭამდვილად ახალგაზრდები ჩაცმულები

წვანან ერთად და ამ ჩვეულებას მიზნათა აქვს დასახული ნათესაური-გრძობების განმტკიცება.

ახალგაზრდა ხევსურები—ქალებიცა და კაცებიც—თავისებური სიამაყით და თავმოყვარეობით არიან დაჯილდოვებულნი. ვაი იმ ჭაბუკის ბრალი, რომელსაც ქალები აითვალისწუნებენ. ამიტომ ბუნებრივია, რომ ყოველი ხევსური ცდილობს ქალების მხრივ კეთილ განწყობილებების მოპოვებას და სახელის მოხვეჭას.

ეს კი შეიძლება მოახერხოს თავდაჭერით, პატიოსნებით და მაღალი ზნეობით.

ახალგაზრდების მიერ ერთმანეთის გაცნობა და დაახლოვება ისეთივე უძწიკვლო და გულითად მეგობრობას წარმოადგენს, როგორიც ნამდვილ და-ძმის შორისაა.

ვიდრე გაეცნობოდნენ ახალგაზრდები, აკვირდებიან ერთმანეთს სტუმრობის დროს. ხანდისხან გასაცნობად ნათესავების შუამავლობასაც მიმართავენ.

უმეტეს ნაწილად ქალვაჟის დაახლოვებაში მონაწილეობას იღებს ვაჟის ნათესავი, რომელსაც საზოგადოებაში გავლენა და პატივისცემა აქვს მოპოვებული.

ქალის გაცნობა და მასთან დაახლოვება იმას უფრო ადვილად შეუძლია, ვისაც, როგორც ზევითა ვთქვით, მეტი პატიოსნება აქვს, ზნეობრივად მაღლა სდგას, გამჭრიახი ვაჟკაცია, კარგი მოჯირითე, ამხანაგური მოვალეობის შეგნები და საიდუმლოს შემნახველი.

ასეთ ვაჟს ოომ შეაგულებს ქალი, დახმარებისათვის ძიმართავს მის ნათესავს და თუ ნათესავი დააიმედებს, მაშინ იწყებს ქალი მზადებას ვაჟთან შესახვედრად.

ქალს დიდხანს არა სჭირდება ლოდინი. ვაჟის ნათესავი-შუამავალი, ან როგორც ხევსურები ეძახიან „ელჩი" შეხვედრის უმალვე წინადადებას აძლევს ვაჟს გაიცნოს ესა და ეს ქალი.

დედამის ნება დართვით შუამავალი ეპატიჟება თავის სახლში ჯერ ვაჟსა, ეიმდეგ ქალსა. ამრიგად დაახლოვება ხდება აშკარად, ნათესავების თანხმობით და არა ფარულად.

ვაჟი გრძნობს, რისთვისაც იპატიჟებიან. თავით ფეხამდე ათვალიერებს და ისწორებს ტანისამოსს. ძიდის შუამავლის სახლში და დარბაისლურად ჩამოჯდება სკამზე. მას ხელში ფანდურს აძლევენ, სთხოვენ დაუკრას და დაძღეროს ოამე. ფანდურის დაკვრის და სიმღერის დროს ელჩს შემოჰყავს ქალი. ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ესალმება—„მახვედ მშვით ღმერთა გიშველას" და შემდეგ იწყებენ სხვა და სხვა ამბების გამოკითხვას. ქალი ძმად იხსენიებს ვაჟსა და სთხოვს

ლექსების თქმასა. (ი ას გარდა, რომ ხევსურები ფანდურზე დამღერიან ლექსებს, ლაპარაკიც უყვართ ლექსებით) ქალი ყურს უგდებს ვაჟსა, თავისუფლად გრძნობს თავსა, იღიმება ან იცინის.

მეტად სასიხარულო მოქენტად ითვლება პირველი გაცნობა. ღამე „ჰერხო“-ზე (ზემოსართული) მიყავს ელჩს ვაჟი დასაძინებლად, სადაც დამზადებულია მისთვის ფარდაგ გადაფარებული ტახტი. ვაჟი გაუხდელი წვება,—არამც თუ თავის გრძელ მატყლის ჯუბას (პერანგს) არ იხდის, წინდებსაც კი არ იშორებს ფეხიდან, სხვა ხაირად მოქცევა ამისთანა შეძთხვევაში დიდად საძრახისია.

შემდეგ მოდის ელჩი და ეკითხება, როგორ მოეწონა მას ქალი. თუ ვაჟი უპასუხებს, რომ ჯერ აოაფრის თქმა არ შეუძლია, გარდა იმისა, რომ აძაყად უჭირავს თავი ქალსა, ელჩი იწყებს ქალის ქებას, აღნიშნავს მის საუცხოვო ყოფაქცევას და ხასიათს, წინადადებას აძლევს ახლო გაიცნოს ქალი და ამისათვის მასთან დაწვეს.

ვაჟი სრულ ნდობას უცხადებს ელჩსა, რადგან თითონ ვერ იცნობს ქალსა. შუამავალი ჩამოდის ქალთან, რომელსაც ხელში ფანდური უჭირავს და დამღერის.

წინადადებას აძლევს ავიდეს ჰერხოზე და ვაჟთან (თან საბელს ეუბნება) დაწვეს. ქალი ჯერ თითქოს უარობს, შემდეგ თანხმდება და მიდის. ისეც ხდება, რომ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს პირველ შეხვედრის დროსვე არ მოეწონებათ ერთმანეთის ლაპარაკი და უკმეხად მოეპყრობიან ერთმანეთს. რასაკვირველია, ამათი ერთად დაწოლა აღარა ხდება.

ქალ-ვაჟს ორ საწოლიან განიერ ტახტს უმზადებენ, თუ არა და მარტო ჩალას უშლიან და ზედ ფარდაგს აფენენ, საბნის მაგივრად ან ჯეჯიმს აძლევენ ან ცხვრის ტყავის ქურქსა.

როცა ქალს მოიყვანენ, ვაჟი განზე ძიიწევს და ქალი ფრთხილად უწვება გვერდზე. ამ შემთხვევისათვის მთელი წესები არის გამომუშავებული: პირველად ქალი ცალ ხელზეა დაყრდნობილი და ცალი ხელი გულზე უდევს, ფეხები ორივეს იმდენად უნდა ჰქონდეთ დაშორებული, რომ ერთი-ერთმანეთს არ შეეხონ, თორემ ქალის შეურაცხყოფად ჩაითვლება.

ვაჟს ნება არა აქვს ხელი გაიწოდოს და ქალის კისერზე შემოხვიოს, ქალს კი შეუძლია ხელის მოხვევა.

კარგა ხანს არიან ასეთ მდგომარეობაში და ბაასობენ. ძლიერ საწყინად ბიიღებს ხევსური, თუ ვინმემ ამ დროს მათ სქესობრივი კავშირის სურვილი დასწამა.

ქალი ეკითხება, ვისთან უფრო ბევრჯერა წოლილა ვაჟი, უკანასკნელი უპასუხებს, რომ ეს პირველი შემთხვევაა მისთვის. თუ ვაჟმა აკოცა, ქალი პროტესტს უცხადებს და შენიშნავს, რომ კოცნაობის მაგივრად უმჯობესია ლაპარაკში გაატარონ დრო.

ვაჟი ერთგვარ აზრს ადგენს ქალის ზნეობრივ მხარეზე და კმაყოფილია ასეთი შემთხვევით.

თავის მხრივ ვაჟიც ცდილობს თავის შეკავებას, რომ ამით თავი მოაწონოს ქალს. თქმა არ უნდა, რომ დიდი თავდაჭერაა საჭირო, რომ ქალი ეხვეოდეს ახალგაზრდა კაცს და უკანასკნელი კი თავს იკავებდეს.

ასე ბაასობენ ახალგაზრდები ერთმანეთში და ერთმანეთს გამოცდიან. თუ რომელიმე მადგანი ოდნავ მაინც გადაუხვევს ხევსურების ჩვეულებას, ან რაიმე უკადრის სიტყვას წამოურევს, დიდ საყვედურს და სამდურავს მიიღებს მოპირდაპირისაგან. უკეთუ ვაჟმა, საუბრის დროს, რომელიმე ქალი გაჭკილა, მაშინ ქალი კითხვას კითხვაზე მიაყრის, საიდან იცის ეს, თუ ცუდ ქალებთან არა წოლილა, თანაც ეხვეწება, ასეთ ქალებთან ყოველივე კავშირი გასწყვიტოს.

მოვიყვანოთ ქალ-ვაჟთა წოლა-დგომის დროს მეტათ დამახასიათებელ მათი სანიმუშო საუბრის შინაარსი:

ქალი. დიდხანი იმის შემდეგ, რაც მე და შენ ერთუც არ გვინახავ.

ვაჟი. მართალ. ძალიან მინდოდ შენ ნახვა მაგრამ ველარცა გნახ.

ქალი. წარსულ კვირაეს რომ ვიწევით ერთად, მაშინ არ მეუბნებოდი, მალე სად გნახავავ?

ვაჟი. წამოსვლა მინდოდ, მაგრამ ჯალაფნ აღარ მიშობდეს,— სირცხვილიავ სრუ სხვაკან სიარულივ, სრუ იქ დახოლავ—არ ვარგავ!..

ქალი. ქვე რაი სირცხვილი დედი ძმათარ ეგრაოდ დადიან.

ვაჟი. მართალი, მაგრამ მე რავიცი, მიაც სირცხვილ იმგონავ..

ქალი. ძოლან თქვენებურებ ქალებ იყვნეს აქ, ამათ-ამით ვკითხ შენ ამბავი. კარგად არავ მითხრეს, გაქეს ძალიან, კარგ ვაშკაციავ, მოსახელ, სირცხვილიანივ, წარამარა არ უყორსავ, სწორფრებშიიავ ხელით გამოსარჩევიავ..

ვაჟი. იტყვიან თავის სიკეთით, თორემ მე კი რაი ორ!

ქალი. ის ორ ქალ-კი სხვანაირად ამბობდეს... მე ვთქვი ჯავრი ახქონივავ..

ვაჟი. ვინც ვინებიც იქნებოდეს სრუ რასამ ისე ნებიან.

ქალი. ვინ უფრო კა ქალი თქვენ სოფელში?

ვაჟი. ყველაიც კაი, უფერ არავინაც არას.

ქალი. ქოოც მაგწონან, გეტყობის საუბარში...

ვაჟი. რო ვინ მამწონდას, შენ არ დაგიმალევ, გეტყოდი... მაგრამ შენივით კარგად არც ერთ არ მაჩნავ მთელ დუნიაზე, აბა შენ რას დაგიმალავ!.

ქალი. სუ, მაგეებს თავ დაანებ!. ვიც, რეებიც ხართ ოჟები!.. ტყუილი, უბრალოდ საუბარ იცით, გინდათ ქალს რაიმ წამააცდინათ,.. მემრ გულის გაცინება იცით, და სიცილი..

ვაჟი. შენ სრუ ეეგრ ბგოხავ, მაგრამ მე კი სიმართლეს გეუბნები. შენ ხომ კარგა იცი ჩემ ხასიათი, რომ წარა-მარა საუბარ არ მიყვარს..

ქალი. შენ კი გიცნობ, მაგრამ, რაც გინდ იყოს, ვაჟებ არხართ სანდოებ, სრუ ეშმაკობაზე გიდგასთ გული. რაიც არას, აიმას გაიძახთ... გავანებათ მაგას თავ... სხვარა ვიამბათ...

ვაჟი. აბა რაით დაგაჯერ, მითხარ. შევასრულ და დაგიმტკიც..

ქალი. მე არც ერთს გთხოვ და არც მეორეს.. ან, რაით უნდა დამაჯერ!.

ვაჟი. მაშ, რა გინდ?.

ქალი. რიგზე წოლა-დგომა, რაიც შეეფერების ხევსურეთს..

ვაჟი. გაქებდეს შენ დასაწოლად.. მინდოდ, რომ გამამეცად შენ თავი..

ქალი. ვინ მაქებდ მე?

ვაჟი: ის, ვისთანაც თქვენ წოლილხართ..

ქალი. მაშ, გეტყობის რომ სურვილ იგაქავ ქალებსთან წოლა-დგომისაი...

ვაჟი. შენ იცოდი, რომ ჩემთან დასწვებოდი?..

ქალი. მაკვდას აის ქალი, რომელიც კლოვ შენთან დაწვას!..

ამგვარი შეკამათების შემდეგ ქალ-ვაჟი მაინც შერიგდებიან და ერთი მეორეს ლექსებით ეკამათებიან.

ვ ა ჟ ი.

ჰაუ, სრუ მუდამ ძაგება რაად უწერავ ცუდებსა?!
კარგას თქვენ ქება რად უნდა, სრუ მთელ დუნია ხედავსა.
ქალი, მე მიკვირს, ზოგზოგი ვერ იგებს მარიდებასა,
„შინ დავჯდავ“ იმას არ იტყვის, ვაჟმ კარ, რომ ჩაუკედასა!..
სხვათან უელჩოდ დაწოლა ქალმ როგორ გაიბედასა?!..
უბით ბოთლაის ზიდვასა, გერჩიოთ შინავ გესვათა,
სად გქონდათ საჯილდოელი ძმობილ რა ხელრა გიწვათა!
ამაგის მალექსებელი სამგზავროობას ბედავსა,

აღვირს ჩაუღებს ფეხ-თეთრსა, გზაში ელდასა ხგავისა,
ამხედარს გულ გაულაღდებისა, უზანგეებ რო ჟღერდასა!..

Ძ Ა Ლ Ი.

ტილიგრამა მამივიდა სამრევლოსა კარზედაო,
დავჯედი და წავიკითხე, ლექს ეწერა ქვაზედაო,
ოჟო, დაჯე ოშკაცაო, ნუ შამხდარხარ ცაზედაო,
თორე დაბლა ჩამოგიყონ, სატალახო გზაზედაო,
ამაგათრევ ტალახშია, არ გაგავლევ დარზედაო!.

ასეთი პაექრობის დროს ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოცვლილი სახელებითა ილაპარაკონ. წოლა-დგომისათვის დაძმობილებული ქალ-ვაჟი, საუბრისა და პაექრობის დროს, სახელოვანი და პატივცემული ხევსურების სახელებს ირქმევენ და ცდილობენ ეს სახელები რითმისთვის გამოიყენონ.

თუმცა ქალ-ვაჟი წოლა-დგომის დროს ლოგინში ეცნობიან ერთმანეთს, მაგრამ ხმამაღლა და ცხარედ კამათობენ, რომ მათი ხმა ჭუჩაში ისმის, კაცს ეგონება დიდი სადავო საქმე აქვთ გადასაწყვეტიო. სწორ-ფრობას ე. ი. წოლა-დგომის შემდეგ ქალ-ვაჟი ერთმანეთსათვის ისეთი მახლობლები ხდებიან, როგორც და-ძმანი.

დიდათ შესცდება, ვინც იფიქრებს, ვითომც ამ ჩვეულებას რაიმე სქესობრივი ქვედაბუნობა ედვას სარჩულად. ასეთ მოსაზრებას არავითარი გასამართლებელი და გონივრული საფუძველი არ მოეპოვება. პირიქით გონივრული და გამართლებელიც არის ხევსურების თვალსაზრისით ეს ჩვეულება, რომელიც განამტკიცებს ხევსურის ამაყსა და თავმოყვარე ბუნებას და ოჯახურ ყოფაცხოვრებას.

ქალ-ვაჟის გაცნობის მერე, შუამავალი დაინტერესდება, თუ რა შედეგი გამოიღო მათმა შეხვედრამ და მეორე დღეს სათითაოდ გამოჰკითხავს, თუ როგორ მოეწონათ ერთმანეთი, თუ ქალმა მოკლედ უპასუხა, რომ ვაჟი ყოჩაღია და პატიოსანი, ჩანს საქმე კეთილად და წარმატებით დამთავრებულა.

ზოგჯერ ქალ-ვაჟის ასეთ დაძმობილებას თან სდევს ჭორებიც, შუღლიც სხვა ახალგაზრდების მხრივ.

როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ ქალ-ვაჟის ასეთი დაახლოვება სისხლის ნათესავობას უდრის და ხევსურების ადათით, ასეთი დაძმობილებულების ცოლ-ქმრობა ყოვლად შეუწყნარებელია.

წოლა-დგომის დროს კაცი კი არ მიდის ქალთან, არამედ ქალი მიდის კაცთან დასაწოლად (ფმავებში კი უკულმაა).

ახალგაზრდა ხევსურები ძალიან თავმოყვარენი არიან და ქალის ხათრით ლოთობასაც ერიდებიან. ამ გარემოებას ანგარიშს უწევენ ზოგიერთი ახალგაზრდები და შურიანობის გამო ცდილობენ დაათრონ ქალთან მიპაჭიჟებული ვაჟი, რომ სირცხვილი აჭამონ. მაგრამ ხევსური მეტად წინდახედულია, მაშინვე ალღოს აართმევს რაშიაც არის საქმე და ამხანაგების დაპატიჟებაზე უარს ამბობს.

ხევსურის ქალებს ძალიან ეჯავრებათ მსმელი მამაკაცი, სულიმის ცდაში არიან და ყოველგვარ ზომებს ღებულობენ, რომ სმაზე ხელი ააღებინონ.

ქალების ასეთი მოპყრობა, ბევრ მამაკაცზე ახდენს გავლენას და ხელს უწყობს მათს გამოსწორებას. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ერთხელ შუამავალმა წინადადება მისცა ვაჟს ერთ ქალთან წასულიყო, რომელსაც ძალიან უნდოდა მისი გაცნობა. ვაჟი ნაღკინევი იყო, გულახდილად გამოუტყდა შუამავალს და გადაჭრით უარი სთქვა ქალთან შეხვედრაზე, რადგანაც სირცხვილში ჩავარდნისა ერიდებოდა. შუამავალი დიდხანს ემუდარებოდა და ბოლოს ტირილით შესჩივლა, რომ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, რადგანაც ქალი დავიმედე, რომ შენ უეჭველად მიხვიდოდი. ვაჟი ბაინც არ დაყაბულდა და ურჩია, სხვა ვინმე ახალგაზრდა წაეყვანა ქალთან. შუამავალმა ეს არ იკისრა, ქალს მარტო შენთან უნდა წოლა-დგომაო.

მეორე დღეს ის ქალი შეხვდა ვაჟს და უსაყვედურა უკადრისობა. ვაჟმა მოუცლელობა მოიძიზეზა. ქალმა უთხოა, ალბად ვინმე შენმა ამხანაგმა გაძჭორა და ჩემთან აღარ გამოგიშვაო. ვაჟმა უპასუხა. ვერც ერთ ქალს ვერაფერში ვერ დაეჯერება. ქალმა ველარ დაფარა გულის ნადები და პირდაპირ გამოუტყდა, რომ შენ დაეუფლე ჩემს გულსაო. გამოიტანა თაფლით შეზავებული არაყი, იჭიქა გასაფანტავად ჯერ თითონ დალია და მერე ვაჟს შესთავაზა. ლაბაზად შეჭედილი ყანწით. ვაჟმა ღიმილით უთხრა: ალბად ლოთი გგონივარ და მცდიო. ქალმა უარჰყო ეს ბრალდება და არყით სავსე ბოთლი უთავაზა. ვაჟი ჯერ უარობდა და ბოლოს სთხოვა, ამ ბოთლის მაგივრად სახ ოვრად მიეცა ერთერთი ბეჭედი. ქალმა მაშინვე წაიძრო თითიდან ერთი საოკეთესო ბეჭედი და გადაეცა, ამ დღიდან ისინი უკვე დაძმობილებული იყვნენ.

დაძმობილებული ქალ-ვაჟი ერთმანეთს სხვადასხვა ნივთებს სთავაზობენ. ქალები თავის ძმობილს უქარგავენ ჯუბას, უქსოვენ წინდებს, უფეშქაშებენ ბეჭდებს და სხვა, ვაჟები კი უყიდიან თავსახვევს, ფეხსაცმელს, დოლ-ღვრინჭილებს, მძივებს, გარმონს („ბუზიკას“) და სხვა-

ქალ-ვაჟთა შორის შუამავლად გამოდიან ქალის დედები ან ვაჟის დები. თუ ქალს ასეთი მახლობელი არ გააჩნია, მაშინ ახალგაზრდა ვაჟებსაც ძეუძლიათ იკისრონ ასეთი შუამავლობა.

თუ ქალის ბიძაშვილებმა ან მისი სოფლის ახალგაზრდა ვაჟებმა შეიტყეს, რომ ქალს განზრახვა აქვს არასაიმედო ვაჟთან გამართოს წოლა-დგომა, ყოველივე ღონისძიებას იხმარენ, რომ ქალი გააფრთხილონ და სირცხვილს აარიდონ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურების ეს ჩვეულება სრულს ნდობასა და პატიოსნობაზეა დამყარებული.

თავი VII.

მართვა-გამგეობის სტრუქტურა ხევსურეთში

ხევსურებს მთელი თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე ცოტად თუ ბევრად ავტონომიური წყობილობა შეუნარჩუნებიათ.

კავკასიონის ქედის მაღალ მთებში მიკარგულ ხევსურეთს თითქმის მთლიანად შეუნახავს თავისი ძველებური იერი და სახე. ამას ხელს უწყობდა ჯერ ერთი ის გარემოება, რომ იგი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მუდამ მიუვალი იყო და მეორეც, ძალიან მწირი, ღარიბი იყო მისი მიდამოები. ამის გამო ათასგვარი შემოსეული მტერი არც ისე დაჟინებით ცდილობდენ თავისი ძალაუფლების გავრცელებას ამ პირველყოფილ ველურ ქვეყანაზე, მით უმეტეს რომ ვერაფერს გამორჩებოდნენ.

მეფის მთავრობაც კი მხოლოდ რამდენიმე სამხედრო ექსპედიციის გაგზავნით დაკმაყოფილდა ხევსურეთში, მაგრამ ეს პატარა კუთხე მაინც ვერ მიამაგრა რუსეთს. ხევსურეთი რუსეთის სამფლობელოდ მხოლოდ ქაღალდებზე ითვლებოდა, თორემ სინამდვილეში კვლავ ავტონომიურ კუთხედ დარჩა როგორც მართვა-გამგეობის, ისე ეკონომიური ყოფა-ცხოვრების მხრივ.

ვერც „მართმადიდებელმა“ ეკლესიამ შესძლო ხევსურეთში ფორმალური ქრისტიანობის დანერგვა.

ხევსურეთს ზოგჯერ სტრაჟნიკების რაზმებიც მოევლინებოდა ხოლმე ურჩი ხევსურების „დასაშინებლად“ იმ მიზნით, რომ ისინი მეფის მთავრობის მორჩილ ქვეშევრდომებად გაეხადნათ. მაგრამ ასეთი სტუმრობა ძვირად უჯდებოდა. სტრაჟნიკებს ხევსურებთან ცხარე შეტაკება უხდებოდათ, რამდენიმე სტრაჟნიკი მაინც ესალმებოდა წუთისოფელს. ეს გარემოება მრავალჯერ ყოფილა აღნიშნული მაზრის უფროსების მოხსენებებში.

ხევსურები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ მათ არ იციან არც ბატონყმობის „მშვენიერებანი“ და არც მეფის მთავრობის უღელი. თავისუფლება ყველაზე მეტად ულირთ. მათში არ არის წარჩინებული და დიდი გვარიშვილი ვინმე. ყველანი პირადათ ღირსების მიხედვით ფასდებიან. ქართველძა მეფეებმა სცადეს ხევსურებ-

ში შეეტანათ წოდებრივი განსხვავება, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ დარჩა. მაგალითად, ირაკლი მეფემ, ხევსურეთში ყოფნის დროს, 60 მეტი ბავშვი მონათლა, იმ იმედით, რომ მეფის ნათლულები თავის შთამომავლობას წარჩინების ხარისხს გადასცემდენ. მაგრამ ხევსურსა მხოლოდ ადამიანის პირადი ღირსება სწამს. შთამომავლობას არ დაგიდევენ, ხევსური პატივის ცემით ეპყრობა მხოლოდ პატიოსანს, მამაცსა და გონიერ ადამიანს. ამის გამო ვერც მეფის ნათლულობამ და მათმა შთამომავლობამ იქონია რაიმე გავლენა.

ძეფის მთავრობის დამხობის შემდგომ, ამიერ-კავკასიის სეიმისა და მენშევიკების დროს, ხევსურეთში არავითარი მუშაობა არ უწარმოებიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეროვნულ-დემოკრატ შალვა ქარუმიძის მოგზაურობას ხევსურეთში. მან 1919-1920 წ. შემოიარა ხევსურეთის ცალკე რაიონები და მოსახლეობას უქადაგებდა მენშევიკურ მთავრობის ერთგულებას.

გასაბჭოების შემდეგ, 1921-23 წლებში, არავითარი მუშაობა არ ჩატარებულა ხევსურეთში; იმ ხანად არც რაიმე მუშაობის წარმოება შეიძლებოდა მაშინდელი პირობების გამო.

საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა საქართველოში იმ ხანად გართულებულ პირობებში მიმდინარეობდა.

ამ გარემოებით ისარგებლა ავანტურისტმა ჩოლოყაშვილმა და 1924 წელს თავისი ბანდით ხევსურეთს შეაფარა თავი. ჩოლოყაშვილის ბანდების ლიკვიდაციის შემდეგ ხევსურებმა შეიგნეს თავისი ყალბი მდგომარეობა და აღიარეს, რომ შეცდომაში იყვნენ შეყვანილი, ამიერიდან კი საქართველოს, ამიერ-კავკასიის მთელი გლეხობისა და მშრომელებთან ერთად იბრძოლებენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

ამგვარად, ხევსურები სრულის თანაგრძნობით ერიან გამსჭვალული მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ძიმართ, ხოლო მართვა-გამგეობის საქმეში კვლავ თავისი ძველებური ადათ-ჩვეულებებით ხელმძღვანელობენ.

მართალია, უკანასკნელ დროს საბჭოთა მართვა-გამგეობის ფორმები თანდათან ფეხს იკიდებს ხევსურეთშიაც, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი სახეა, შინაარსი კი ჯერჯერობით ისევ ძველებური, ტრადიციული რჩება.

ამჟამად ხევსურეთში სამი სასოფლო საბჭო არსებობს: ახიელში, უატილში და ღულოში. ხევსურეთის ადმინისტრატიულ ცენტრს წარმოადგენს ბარისახო, სადაც ძოთავსებულია თემის აღმასრულებელი კომიტეტი.

„რჯული“. ხევსურების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს ეგრეთწოდებული **„რჯული“** ანუ უხუცესთა საბჭო. „რჯული“ არ წარმოადგენს ხელისუფლების რაიმე მუდმივ ორგანოს. იგი საჭიროების მიხედვით იკრიბება. „რჯულს“ ექვემდებარება მხოლოდ კერძო-უფლებრივი ხასიათის საკითხები (მესისხლეთა შერიგება, ქურდობის, განქორწინების და სხვა ამდაგვარი საქმები). ამ საკითხებს „რჯული“ ძველებურად-ადათ-ჩვეულების მიხედვით სწყვეტს, რადგანაც ხევსურებს არავითარი წერილობითი კანონები არ მოეპოვებათ. დანარჩენი საკითხები, რაც კი ხევსურეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას ეხება (მიწების დაყოფა, ხელახალი დამიჯვნა და სხვა) უბრალო ხმის უმეტესობით ანკენჭის ყრით ხდება.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ „რჯულის“ შემადგენლობაში უსათუოდ უხუცესი ხალხი არ შედის, მხოლოდ საგვარეულოს ანუ კლასის წარმომადგენლები. „რჯულის“ შემადგენლობაში ირჩევენ უმწიკვლო პატიოსნებით აღსავსე, საზოგადოებაში პატივცემულსა და გამოცდილ ადამიანებს. ამიტომაც „რჯულის“ შემადგენლობაში უხუცესებთან ერთად უფრო ახალგაზრდებიც შეგვხვდებათ. „რჯულის“ შემადგენლობაში 4-12 კაცი შედის.

„რჯული“-ს მიერ საქმის გარჩევას მომჩივან-მოპასუხის გარდა იქ ესწრება ორივე მხარის ოჯახის წევრები და, თუ საჭიროა, ადგილობრივი აქიმიც. მომჩივანი ასე იტყვის: „ღმერთო, შეეწიე საქართველოს სამართლიან მსაჯულს, ალალმართალი მომჩივანს, დარისხე მიდგომილი მსაჯული და ცრუ მომჩივანი, ჩემს მაგიერ პასუხი შენ გაეც“. ამის შემდეგ იწყება საქმის დაწვრილებითი გარჩევა. მსაჯულები დიდის მოთმინებით ეცნობიან საქმის ჩახლართულ მდგომარეობას. „რჯულის“ გადაწყვეტილება საბოლოა, განუსაჩივრებელი და დაუყოვნებლივ მოჰყავთ სისრულეში.

„სოფლის უფროსი“ შატილში „რჯულის“ ხელისუფლების მაგიერ არსებობს მუდმივი ერთპიროვნული მართვა-გამგეობა მამასახლისების სახით, რომელთაც „სოფლის უფროსი“ ეწოდება. ესენი მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩებიან „სოფლის უფროსებად“ და მცხოვრებთა შორის დიდის პატივისცემით და გავლენით სარგებლობენ.

„სოფლის უფროსი“, როგორც ამა თუ იმ სოფლის ხელისუფლების ერთპიროვნული წარმომადგენელნი იმავე დროს „შეძლებულნიც“ არიან, დამოუკიდებელნი და თავის სოფლის მცხოვრებლებზე ეკონომიური ზეგავლენას ახდენენ. აქედან გასაგებია, თუ მამასახლი-

სებად რატომ ირჩევენ იმათ და კოლექტიური ხელისუფლება რატომ გადასულა ერთპიროვნულ ხელისუფლებაზე. ასეთი „შეძლებულის“ მიერ ეკონომიურად დაჩაგრული სოფელი, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდა უკუეგდო მისი კანდიდატურა „სოფლის უფროსის“ თანამდეობაზე.

შენიშვნა: თუმცა შატილში სოფლის საბჭო და მისი თავმჯდომარე არსებობს, მაგრამ „სოფლის უფროსი“ ჯერ კიდევ ძალაშია.

ხევსურების სისხლის სამართლის კოდექსი.

მეტად საგულისხმოა ხევსურების სისხლის სამართლის კანონები, რომელიც უცვლელად არის ჩანერგილი თითოეული ხევსურის გულში და მახსოვრობით გადადის შთამომავლობიდან შთამამავლობაზე.

აქვე მოგვყავს თითქმის მთლიანად. მაგალითად, ქურდს გადახდება მონაპარის ღირებულება ერთი შვიდათ; სხეულის დაჭრა, სისხლით შეფარდება ჭრილობის ადგილისა და ჯანმრთელობისათვის მისი უვნებლობის მიხედვით შემდეგნაირად:

თვალის დაშავება	30	ძროხა.
ფეხის „	24	„
მარჯ. ხელის „	25	„
მარც. ხელის „	22	„
რომელიმე ხელის ცერისა დაშავება	5	„
მაჩვენებელი თითის „	4	„
შუა თითის „	3	„
უსახელო თითისა „	2	„
ნეკისა „	1	„
დაჭრა თავის ქალაში	5	„
პირისახის ძვლების	16	„
კბილის ჩამტვრევა	1	„
ქალის ცემა	11	„

უკეთუ პირისახის ჭრილობას ძვლამდე არ ჩაუღწევია, მაშინ ჯარიმის რაოდენობას გამოიანგარიშებენ იმის მიხედვით, თუ ჭრილობაზე სიგრძით რამდენი ხორბლის მარცვალი დაეტევა, გამოაკლებენ მხოლოდ აქეთიქითი ნაპირას მდებარე ორ მარცვალს. რამდენ მარცვალსაც დაიტევს ჭრილობა იმდენი ძროხა უნდა უზღოს დაშავებულს დამნაშავეს.

ამის გარდა დამნაშავე თითო ძროხას უხდის „რჯულის“ წევრებს და დაჭრილის მკურნალ აქიმს.

ძროხის მაგიერ ყოველგვარი ჯარიმა შეიძლება ფულად იქნეს გადახდილი. ასეთ შემთხვევისათვის ყველა ნივთებს თუ ოთხფეხ საქონელს თავისი ფასი აქვს დადებული, რომელიც ძროხების ან ცხვრის ფასით განიზომება.

აი, ეს ერთგვარი საბირჟო მაზანდა: კვიცი უდრის 7 ძროხას, ფაშატი ცხენი—4 ძროხას, ხარი—7 ცხვარს, ძროხა—4 ცხვარს ან 10 გირვანქა თაფლს ანუ 5 მანეთს ფულად, ან ერთი ფალასი, ცხვარი—1 მ. 20 კ. და სხვა.

უკეთუ „რჯული" განქორწინების საქმეს არჩევს, ასეთი შემთხვევისათვის ხევსურებს მტკიცე წესები აქვთ შემოღებული და გადასახადიც გადაწყვეტილი. განქორწინების შემთხვევაში ცოლს უფლება აქვს ქმარს მოსთხოვოს მისივე სახლში ერთი ცალკე ოთახი და არსებობისათვის საჭირო ქონება, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში თუ ცოლ-ქმარს ერთად უცხოვრიათ არა ნაკლებ 20 წლისა. მაგრამ როდესაც ამ ხანზე უფრო ნაკლებ უცხოვრიათ ერთად, მაშინ ქმარი აძლევს ცოლს მხოლოდ 5 ძროხას და ცოლი ვალდებულია ოჯახი დასტოვოს; ახალგაზრდა მეუღლეთა გაყრის დროს ჩვეულებრივ ქალი აძლევს კაცს 8 ძროხას ასე ვსთქვათ დაწუნებისათვის, რასაც ხევსურები „საწუნვარს" ეძახიან.

ხევსურეთში ძალიან არის გავრცელებული ქალებისა და კაცების სახლები, ასე ვთქვათ კლუბები, რომელსაც „სალაყბო" ეწოდება.

„სალაყბო"

სალაყბო თითქმის ყველა სოფელში მოიპოვება. ყოველ დღე იქ თავს იყრის სოფლის მამაკაცობა, მოხუცი თუ ბავშვი და დროს ატარებენ საუბარში, კამათში თუ მასლაათში. აქვე ზოგი საშინაო საქმეს აკეთებენ; თოფებს სწმენდავენ, ხანჯლებს ლესენ, უნაგირებს აკერებენ, აშალაშინებენ, ორანდავენ რასმე, ხერხვენ, ტყავს გამოჭქნიან და სხვა. მოხუცებულები გარს შემოიკრებენ ახალგაზრდობას და უამბობენ უწინდებულ გადმოცემებს წინაპართა ვაჟკაცური ამბების შესახებ, მამულისათვის თავდადებული ბრძოლისა და რომელიმე საგვარეულოს რაინდული ამბების შესახებ. სალაყბოში შესვლა მარტო ვაჟებს შეუძლიათ, დედაკაცებს და პატარა გოგოებსაც კი იქ შესვლა აკრძალული აქვთ.

ამ სალაყბო-კლუბებში ხევსურის ბიჭები პირველ გაკვეთილებს ღებულობენ ცხოვრების შესახებ, უსმენენ მოხუცებულთა არაკებს და აქ მათში პირველად ისახება მსოფლმხედველობის და ქვეყნიერების გაგების პირველი ბუნდოვანი აზრები, აქ იზრდება და თანდათან მტკიცდება მათი სული.



სალაყბო.

სალაყბო ერთადერთი და პირველი სკოლ ა პატარა ვაუებისათვის, აქ სწავლობენ ისინი თეორიასაც და პრაქტიკასაც.

განათლების მდგომარეობა

ამ უკანასკნელ დრომდე სევსურეთში არავითარი სკოლა არ ყოფილა და ხევსურეთის უდიდესი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარია, თუმცა სწავლის წყურვილი კი უსათუოდ დიდი აქვთ.

ამას ადასტურებს ის უბრალო ამბავიც კი, რომლის მოწმეც მე თვითონ გახლდით ხევსურეთში მოგზაურობის დროს. ხევსურებს ვესაუბრებოდი სწავლის საჭიროების შესახებ და ერთმა ხევსურის ქალმა **თამარა ალუდაურმა** განმიცხადა:

—მე უვიცი ხევსური ქალი ვარ, ძაგრამ მინდა, რომ ჩემს შვილებს სწავლა მივცე. საძი შვილის პატრონი ვარ. ქალაქში ვერ გამოვგზავნი და აქ გამოგვიგზავნეთ მასწავლებელი: ან კიდევ შენ თითონ დარჩი აქ და ჩემს შვილებს ასწავლე. აქვე ბინას მოგცემთ, ყოველდღე გაგიმასპინძლდები ყველით, კარაქით და რძით.

როგორც ხედავთ, ჩამორჩენილ ხევსურის დედაკაცსაც კი შეუგნია შვილების სწავლების საჭიროება და ამისათვის ის იძეტებს ისეთ ძვირფას რამეს, რაც კი გააჩნდა: რძე, ყველი და კარაქი. ეს

იმას მოწმობს, რომ ხევსურეთში უკვე მოიზადებულია ნოყიერი ნიადაგი სკოლების გასახსნელად.

საკურნალო საქმის მდგომარეობა.

ხევსურეთში არც ჯანმრთელობის მხრივ გაკეთებულა რამე სამნიშვნელო. იქ სრულებით არ მოიპოვება საკურნალო პუნქტები. გარდა ს. ბარისახოს პუნქტისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ ააშენა 1929—30 წ. ამ მხრივ ხევსურები თითქმის მთლად მკითხა-

სურ. 30. აქიმი-ხირურგი მგელიკა ლიქოკელი. 60 წლისაა

ვებზე და აქიმბაშებზე არიან თავმინებებული. ეს მკითხავები, აქიმ ბაშები უვიცი ხალხია, მაგრამ ანგარიშების მოყვარე და გაუმაძღარი, ამისათვის ხევსურებს უკანასკნელ გროშებს სწუწნიან წამლობისა და „განკურნებისათვის“.

მაგრამ ხევსურების შორის განსაკუთრებულის ნდობით სარგებლობენ ადგილობრივი აქიმები.

მათ შორის ყველაზე სახელ განთქმული გახლავთ მგელიკა ბაძასძე **ლიკოკელი**, რომელიც ცხოვრობს სოფ. ქობულოში, ბარისახოდან 3 კილომეტრის მანძილზე. ამჟამად 100 წლისაა, მაგრამ ჭარმაგია და მხიარული, მთელი თავისი ოჯახის სამეურნეო საქმეს თვითონ ეძღვება, ფვითონ ხნავს, თიბავს, მკის და სხვ.

მგელიკას მაა ბაძია განთქმული აქიმბაში იყო ხევსურეთში. თავისი სიცოცხლის განმავლობაში 500 მეტი ავადმყოფი და დაჭრილ-დაავადებული განუკურნია. უმეტესი მათგანს მძიმე ჭრილობები ჰქონია.

მგელიკა ბავშვობიდანვე აკვირდებოდა მამის ოსტატობას და თანდათაობით ითვისებდა მის ცოდნა-გამოცდილებას. თავდაპირველად მგელიკა მამის ხელმძღვანელობით აქიმობდა. მგელიკამ სახელი გაითქვა მეტადრე 1902-1903 წლებში. ეს იმ დროს იყო, როდესაც იალალის წახდენის ნიადაგზე სისხლის მღვრელი შეტაკება მოუხდათ სოფ. გურის და მატილის მცხოვრებლებს. ამ დროს შეტაკების ორივე მხარედან 12 კაცი მოკვდა და 18 მძიმედ დაიჭრა. მკისვე აქ გაჩნდა სამაზრო და საბოქაულოს ადმინისტრაცია, ცენტრის წარმომადგენლები და დაჭრილის სამკურნალოდ დაიბარეს ყველა ცნობილი აქიმი-ქირურგები, ხევიდან—ივანე ავსაჯანოვი (ბორისციხელი), ქისტეთიდან—მატია და მოსელა, ხევსურეთიდან თანეთ გაგა, ურძუტაკი ციკა და მგელიკა ლიკოკელი.

გადმოქვაკემენ, რომ მგელიკამ ბევრი მძიმე ავადმყოფი განკურნა და დიდი-სახელი გაუვარდა მეტადრე ხევსურეთში. ამ უკანასკნელ დრომდე მგელიკას განუკურნია 413 ადამიანი.

მათ შორის:

ხევსური კაცი	316	კაცი
ხევსური ქალი	35	ქალი
სულ	351	
გუდამაყრელი	6	
ფშაველი	48	კაცი
	4	ქალი
	52	
სულ	413	

მისგან მორჩენილი ქალების შორის ორს მძიმე ჭრილობა ჰქონდა, გულში მოხვედრილი ტყვია ზურგში გასულიყო, ერთს მძიმედ დაჭრილს დავლურში თავისქალა ისე ჰქონდა დაშნით გახეთქილი, რომ სამ კენჩხის ზედა ძვალი გაბასრული იყო. მგელიკას სიტყვით, მას დასჭირდა ამ ძვლის ახდა და ტვინმა შემოანათა, მაგრამ მის გადა-

სურ. 31. შატილი. აქიმი-ხირურგი ჭინჭარაული.

რჩენა მაინც შესძლო. მგელიკა დღესაც საუკეთესო აქიმად ითვლება მთელი ხევსურეთში.

ხევსურეთში სხვა აქიმებიც არიან, გამოცდილი და „უბადლო“, როგორც ხევსურები ამბობენ, ეს არის არხოტში—**ალეკა ოჩიაური** და შატილში—**ჭინჭარაული**.

ამ აქიმებს თავისი ხელობა უფროსი ნათესავებისაგან აქვთ შესწავლილი. ისინი მეტნაწილად სწამლობენ მცენარეულობისა და მარჩეულობის წამლებით. ოპერაციებისათვის პრიმიტიულ ხელსაწყო იარაღებს ხმარობენ და პირველ-ყოფილი მეთოდებით სარგებლობენ.

აქიმბაშის ხელსაწყოს ხუთი საგანი შეადგენს:

1. წაპწკერი. 2. სანახი. 3. ხოცი. 4. ჩუთქი. 5. დანა. (იხ. სურ. 31)

ამჟამად ხევსურებს მხოლოდ თავისი აქიმბაშები სწამთ და ქალაქის ექიმებს უფრო ეჭვისთვალით უცქერიან. მაგრამ, როდესაც ხევსურეთში მოქმედებას დაიწყებს აძჟამად მშენებლობის პროცესში მყოფი საავადმყოფოები შატილში და ხახმატში, ისინი რასაკვირველია, თავის გავლენას მოახდენენ მკურნალობის დარგში და კულტუროსანი ექიმი ეჭვს გარეშეა, რომ დაჭრილ-დავადებულთა მკურნალობა-მორჩენის საშუალებით უსათუოდ დაიმსახურებენ ხევსურების ნდობას. ეს გარემოება გასაგებიცაა: ხევსური უაღრესად მკაცრი რეალისტია, მას ლათაიებით და ლექციებით ვერ დაარწმუნებთ, მუდამ უკუაგდებს თქვენს მტკიცებას და ჩიჩინს, სანამ საქმით არ დაუმტკიცებთ და რეალური ფაქტებით არ დაუდასტურებთ თქვენს სიტყვას.

თ ა ვ ი VIII.

ხევსურეთის ეკონომიური მდგომარეობა. ეკონომიურის მხრივ ხევსურეთი ძალიან ჩამორჩენილი კუთხეა. ამისი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ხევსურეთს თითქმის სრულებით არ გააჩნიათ ძიძოსვლის გზები და წელიწადში ექვს თვეს მაინც მთლად მოწყვეტილნი რჩებიან გარეშე ქვეყნიერებისაგან. ხევსურები უმეტეს ნაწილად მესაქონლეობას ძისდევენ. მათში გავრცელებულია ერთგვარი ჯიშის ძროხა, რომელსაც „ხევსურული" ჯიში ეწოდება და საუკეთესო ჯიშად არის მიჩნეული. ამჟამად ხევსურული ძროხის შეასწავლად განსაკუთრებულ დაკვირვებასა და კვლევა-ძიებას აწარმოებს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. ხევსურული ძროხა თვალად შეუხედავია, მაგრამ საუკეთესო ღირსებებითაა შემკული: კვების მხრივ ნაზინუზობა არ იცის, მოსავლელადაც იოლია და ამავე დროს საუკეთესო ხარისხის რძეს იძლევა დღედაღაძეში 15-დან 50 კრუჟკამდე. მისი ცხიმოვნობა 6% უდრის. ხევსურული ჯიშის ძროხის მაღალი ღირსებები დადასტურებული იყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ტფილისში 1924 წელს. გამოფენაზე იყო ხევსურული ძროხა მოქალაქე კაშიასი, ძროხა იწონიდა 8 ფუთს, და დღე-ღამეში 1 ფუთსა და 5 გირვანქა რძეს იწველიდა. ეს ძროხა ოქროს მედლით იყო დაჯილდოვებული.

ვინაიდან ხევსურეთს მშვენიერი ალპიური საძოვრები და სათიბი ადგილები მოეპოვება, შესაძლებლობაა რომ მესაქონლეობის და კერძოდ კი სამერძეო მეურნეობის კარგ დონეზე დაყენებით, ხევსურეთი უპირველეს სამერძეო კუთხედ გადაგვექცია რესპუბლიკის ფარგლებში და განსაკუთრებული ყურადღების ღირსი გაგვეხადა. თვითონ ხევსურებსაც ჩინებულად ესძით „ხევსურკის" სამრეწველო მნიშვნელობა და მოსურნენი არიან მოეწყოს მერძეობის კოლექტიური მეურნეობანი, რძის პროდუქტების გადასამუშავებლად სეპარატორებით და სადღვებლებით.

ხევსურეთში მესაქოხლეობის განვითარებას, ბალახის თესვის გაფართოების მიზანშეწონილობას ის გარეძოებაც ადასტურებს, რომ ხევსურეთში პურის თესვა-ძოყვანა ხელმისაცემი და სახეირო არ არის,

ბალახეულის თესვა-მოყვანა კი ერთი-ორად და ერთი-სამად აანაზღაურებს გაწეულ შრომასა და დაბანდებულ ხარჯებს. აქვე მოგვყავს ცნობები იმის შესახებ, რომ ხევსურს ერთი დესეტინა მიწაზე ქერის მოყვანა, (მოხვნა, დათესვა, მომკა-აკრეფა) 130 მ. 50 კ. უჯდება, ერთი დესეტინის მოსავლის ღირებულობა კი მხოლოდ 67 მ. 50 კ-ს უდრის, ასე რომ ხევსურის ოჯახი ამ შრომაში 63 მანეთს ზარალობს თითო დესეტინაზე.

ერთი დესეტინის მოხვნას სჭირდება 6 დღის მუშაობა, ორი მუშა-ხელი, ორი უღელი ხარი, რაც დღეში ღირს 5 მანეთი, 6 დღეში კი 30 მანეთი, ორი მუშის ჭამა-სმა და 2 უღელი ხარის კვება დღეში 4 მანეთი რომ ვიანგარიშოთ სულ 24 მანეთი.

12 ფუთი სათესლე ქერი, ფუთი 2 მანეთი	—24 მან.
ჭინახულის აღება და დაბინავება	— 30 მან.
გალეწვა და ხვავის აკრეფა	—22 მან. 50 კ.
სულ ხარჯი	130 მან. 50 კ.

1 დესეტინა ქერის მოსავალი საშუალოდ უდრის 30 ფუთს, ფუთი 2 მან.	60 მ.
ბზე დაახლოვებით 30 ფუთი—ფუთი 25 კ. . . .	7 მ. 50 კ.
მთელი შემოსავალი	67 მ. 50 კ. *)

სანიმუშო გამოანგარიშება მოვახდინეთ აგრეთვე ბარისახოს რაიონშიაც. არხოტის რაიონში აჯიელსა, ამღასა, ჩიმღასა და კვირი-წმინდაში. 1 დესეტინის დამუშავებას სჭირდება 175 მანეთი, შემოსავალი კი უდრის 125 მანეთს, ზარალი 50 მანეთს, იგივეა შატილის რაიონშიაც. იონჯის დათესვის დროს კი შემოსავალი 200 %-ით სჭარბობს ხარჯებს.

ამ ღონისძიებათა გატარების შემთხვევაში საჭირო იქნება ხევსურეთის მომარაგება შეზიდული პურით.

ხევსურეთის ეკონომიური მდგომარეობის შესაშსუბუქებლად საჭიროა აგრედვე, რომ რაიონის ცენტრალურ კოოპერატივის განყოფილებები გაიხსნას.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა გარდა, დამკვრელ მუშაობად უნდა იქმნეს მიჩნეული ფშავ-ხევსურეთის გზის გაყვანა ჟინვალიდან ბარისახომდე. ამ გზის გაყვანა უკვე დაწყებულია, მაგრამ, მასალების უქონლობისა გამო, ფერხდება.

---

*) გამოანგარიშება მოხდენილია 1927 წ. არსებული ფასების მიხედვით.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ გზის გაყვანა მძლავრ ეკონომიურ ფაქ-ტორად მოევლინება ხევსურეთის ეკონომიური კეთილდღეობის ასა-მაღლებლად.

ამის გარდა, საჭიროა გამოყენებულ იქნას ხევსურეთის ძვირ-ფასი მინერალური წყლები, განვითარდეს საკურორტო საქმე, და-წვრილებით იქნეს გამოკვლეული და შესწავლილი ხევსურეთის მი-წის წიაღში არსებული სიმდიდრეხი, როგორც არის მაგალითად სურმა, აბმესტი, სპილენძი, ვერცხლი, ოქრო და ს ხვა.

თ ა ვ ი IX

ს ა ბ ჭ ო თ ა მშენებლობა

1925 წელს დუშეთის მაზრის აღმასკომმა სცადა ხევსურეთში ჩაეტარებინა სასკოლო მშენებლობა და ამ მიზნით სოფ. ბარისახოს ეკლესიის შენობა სკოლად გადააკეთეს და ერთი ახალი ოთახიც მიაშენეს.

ორწყალში შეუდგნენ ორსართულიანი შენობის აგებას ადმინისტრატიული პუნქტის მოსაწყობად, რომელიც ამჟამად უკვე დასრულებულია.

ხევსურეთის ზოგიერთ რაიონებში გაიხსნა საფოსტო სააგენტოები, სადაც წერილები სოფლიდან სოფლამდე დააქვთ საგანგებო დამტარებლებს. ამ საფოსტო პუნქტების წყალობით ხევსურეთის მიყრუებულ სოფელშიაც აღწევს გაზეთები და იგი თანდათან უკავშირდება რესპუბლიკის კულტურულ ცენტრს. ამავე დროს საქართველოს მთიელთა საზოგადოებამ ზოგიერთ პუნქტებში ქოხ-სამკითხველოები მოაწყო. ამ ღონისძიებებმა ხევსურეთის მოსახლეობაზე თვალსაჩინო გავლენა მოახდინა: წიგნებისა და გაზეთების კითხვა თვალს უხელს ხევსურებს მკითხაობაზე, სარწმუნოებაზე, სისხლის აღებაზე და სხვა ანგვარ ველურ ჩვეულებებზე.

საქართველოს კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ხევსურეთს, დაწყებულია სკოლებისა და საავადმყოფოებისათვის შენობების აგება.

უკვე აშენებულია ბარისხოში შენობები სკოლისათვის და საავადმყოფოსათვის, სადაც როგორც სკოლა ისე საექიმო პუნქტი მოქმედებს.

ხევსურეთში მუშაობის გაღრმავების მიზნით საჭიროა შერჩეულნი იქნენ საუკეთესო მუშაკნი, რომელთაც იციან ხევსურეთის ყოფა-ცხოვრება, ადათები და ზნე-ჩვეულებანი.

არ შეიძლება არ აღიხიშნოს ერთი შემთხვევა, რომელიც ხევსურეთში მოხდა: არხოტში მილიციის უფროსად მსახურობდა ვინმე ჩიქოვანი, რომელიც სრულებით არ იცნობდა ხევსურების ზნე-ჩვეულებას. ძალიან ახირებულად და უხეშოდ იქცეოდა, რაც მას საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდა. თურმე, სადაც კი მოხვდა, ყველ-

გან ახგრევდა „სამრევლოს“, დედაკაცებს უკრძალავდა იქ სიარულს. მენსტრუაციისა და მშობიარობის დროს, საძაგელი სიტყვებით ლანძღავდა და აბუჩად იგდება ხევსურების „წმინდანებს“, „ხატებს“ და ასეთი საქციელით ხევსურები თავის წინააღმდეგ აიმხედრა.

ხევსურები ძალიან საჩოთიროთ და სათაკილოდ სთვლიან სარწმუნოებისა და ზნე-ჩვეულების შელახვას, მეტადრე ქალთა ზნეობის საკითხების შებღალვას. ჩიქოვანს კი, თურმე, რამდენიჯერ ხევსურის თანადასწრებით მოუთხოვნია ბალიაურისათვის შენი ბიძაშვილი ქალი დროებით მომათხოვეო. ასეთ საზიზღარ წინადადებაზე ბალიაურს სილა გაურტყავს მისთვის, ჩიქოვანს უძვრია რევოლვერი, მაგრამ ბალიაურს დაუსწვრია და ხანჯალი უძგერებია ფერდში. ჩიქოვანი გადაცვლილა.

ბალიაური სისხლის სამართალში მისცეს, საგანგებოდ დანიშნულმა კამისიებამ დაადასტურა ჩიქოვანის უმსგავსოებანი და ბალიაურის მოქმედება დაახასიათა, როგორც თავის დასაცავად მიღებული საშუალებანი. სასამართლომ ბალიაური გაამართლა. ალბად ბალიაურის საგვარეულოს მტერმოყვარენი თუ ავრცელებდენ ხმას, ვითომც ბალიაურს დატუსაღებას და დახვრეტას უპირებენო, ამის გამო იყო რომ ახიელიდან როდესაც ვბრუნდებოდით ჩვენთან მოვიდა თხუთმეტიოდე ხევსური, რომლებმაც პირდაპირ მე მომმართეს სიტყა-სიტყვით ასეთი თხოვნით: „ჩვენი მორჩილი თხოვნა გადასცოდე მთავრობას, უთხროდე ხელ ალვინ ახლას, არ შებოჭან, არ მოგვიკლან ჩვენი თომა ბალიაური. ეს არი ერთ ერთი ხევსურ ასა ჩვენი საყრდენი, ჩვენი სარჩლი, კაი რჩევის, კაი დარიგების მეტი რაის ვასწავლიო. ჩვენში ბევრი ვარ უწიგნო ხალხი, თომა გვეხმარებას, ჩვენ ბალღებს ასწავლის და ჩვეხს რიგიან გზაზე გვაყენებს. აქ ეგდო ვილაც ჩიქოვანი ვარო, მილიციის ნაჩალნიკ იყო ჩვენი ხატი იმან შერისხა, შეგვიოყვნა სახელი, ადგოლის დედა, საცხოვრებელი ბინა, მთელ ხალხი მასხარად აიგდის, ნიკუნაკუნ გვეწადა დაგვეკუწა ასეთი თავხედობისათვის, მაგრამ თომა საქციელმა გვიხსნა ამ საქმისაგან.“

თვითონ ბალიაურიც ვნახეთ. მან გაგვიცხადა, რომ მოხარული იქნება თუ ხევსურეთში სასარგებლო მუშაობით მთავრობას დაუმტკიცებს თავის ეოდგულებას ძუძებისა და გლეხების ხელისუფლების მიმართ.

ამჟამად ბალიაური სოფ. ახიელში ცხოვრობს, ადგილობრივი სკოლის მასწავლებლად არის და ამავე დროს ალმასკომის მდივნის მოვალეობას ასრულებს. ამავე დროს იგივე ბალიაური აწარმოებს



სურ. 32. სკოლისა და სამედ. პუნქტის პროეექტი.



სურ. 33. სკოლის და საექიმო პუნქტის პროექტი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, მოზრდილ ხევსურებს წერა-კითხვას ასწავლის. მას ჯერჯერობით 46 ხნიერი ხევსურისათვის შეუსწავლებია წერა-კითხვა სოფ. ახიელის, ამღალა და ჩიმღაში; ოჩიაურებისათვის, ცისკარაულებისათვის, ჯაბუშახურებისათვის, ნაროზაულებისათვის, თეთრაულებისათვის, გაბურებისათვის, გიგაურებისათვის. თუმა ბალიაური თავისი მუყაითი მუშაობით ამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებასა და ერთგულებას.

მენშევიკების დროს ხევსურეთში ჭაჭანებათ არაფერი არ გაკეთებულა. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ადმინისტრატიული ხაზის გარდა, დაწყებულია სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობა. 1928 წელს სოფ. ბარისახოში საძირკველი ჩაეყარა სკოლისა და ინტერნატის შენობას, საავადმყოფოსა და სამკურნალო პუნქტის მშენებლობას. 1929 წელს სკოლის შენობას შეუდგნენ სოფ. ხახმატსა და შატილში. შატილში, სკოლის გარდა საავადმყოფოც უნდა აიგოს; როგორც ერთგან ისე მეორეგან გათვალისწინებულია ბინები მოსამსახურე პერსონალისთვისაც.

უკვე დაწყებულია მუშაობა ფშა-ხევსურეთის გზის გასაყვანად ჟინვალიდან, რომელიც მდებარეობს სოფ. ანანურისიდან 6 კილომეტრის დაშორებით, არაგვის პირად ფშავის-არაგვისა და მთიულგუდამაყრის არაგვის შესართავთან.

წყლის გზა უკვე გაყვანილია 18 კილომეტრის მანძილზე და მოთავებული მთელი გზის სიგრძის გამოკვლევანი — ჟინვალიდან ბარისახომდე და შედგენილია მთლიანი გეგმა. ეს გზა გადაჭრის ფშავეთის ულამაზეს ხეობას.

ორწყალიდან გზა ორი გეზით მიდის, ერთი ბარისახოსაკენ, მეორე — უკანაფშავისაკენ. მთელი გზის სიგრძე ჟინვალიდან ბარისახომდე და ბარისახოდან უკანაფშავამდე დაახლოვებით კილომეტრს უდრის ერთს მხარესაც და მეორე მხარესაც.

ეჭვი არა გვაქს, რომ ამ გზის გაყვანაზე განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს არამც თუ მარტო საქართველოსი და ა/კავკასიისა არამედ თვითონ საბჭოთა კავშირიც და ამ საქმისათვის საჭირო სახსრებს გამონახავენ. და დღემდის ამ გზის აღმშენებლობის სუსტი ტემპები შეცვლილი იქნება ნამდვილ ბოლშევიკურ ტემპებით.

ბარისახომდე გზის გაყვანა, ხევსურეთს საქართველოს კულტურულ ცენტოს დაუახლოვებს და მასთან მიმოსვლას შეაძლებინებს არა მარტო ზაფხულობით, არამედ ზამთრობითაც, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა კულტურული მუშაობის გავრცელებას ამ კუთხეში.

სურ. 34. ლიქოკის ხეობა. საალმშენებლო მასალის დამზადება ადგილობრივ.



სურ. 35. ლიქოკის ხეობა. საალმშენებლო მასალის დამზადება ადგილობრივ.

ბარისახოძდე გზატკეცილის გაყვანა, ლიქოკის მშვენიერ ხეობაში, ლიქოკის მინერალური წყლებამდე, რომელიც ბარისახოდან 6 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, შესაძლებელს გახდის გამოვიყენოთ ეს საუკეთესო მინერალური წყლები, რომელიც განთქმულია თავისი სამკურნალო თვისებებით.

ეჭვს გარეშეა, რომ ლიქოკის კურორტი მომავალში გადაიქცევა არა მარტო საქართველოს და ამიერ-კავკასიის, არამედ საბჭოთა კავშირის მშრომელთა გაჯანსაღების პუნქტად.

ამიტომაც ხსენებული წყლების ექსპლოატაციას ჯეროვანი და სერიოზული ყურადღება უნდა ძიაქციოს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარმა საკურორტო სამმართველომ.

ამჟამად მთელ ხევსურეთში განათლების სახალხო კომისარიატს ორი დაწყებითი სკოლა აქვს სოფ. ახიელში და ბარისახოში. როდესაც მოთავდება დაწყებული სკოლის შენობების მშენებლობა ბარისახოსა, ხახმატსა და შატილში, ძაშინ დაიწყება სოფ. ახიელში სკოლის და სამედიცინო პუნქტის შენობის აგება. *)

საქართველოს მთიელთა კულტურულმა საზოგადოებამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოები მოაწყო ბარისახოში, ღულოში, ახიელში, შატილში, ჯუთაში და ართხმოში, სადაც იღებდენ ჟურნალ-გაზეთებს და აგრეთვე ლიტერატურას.

საქართველოს მთიელთა კულტსაზოგადოებამ, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა ქალთა კომისიასთან ერთად მოაწყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი სოფ. ართხმოში.

ამ საქმის თაოსნობა ეკუთვნის საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ფილიპე მახარაძეს, რომელსაც ესტუმრა ხევსურების სპეციალური კომისია და სთხოვა ხევსურეთში გაეხსნათ სკოლები და გაეგზავნათ ფელშარი-ბებია ქალი.

1929 წელს საქართველოს მთიელთა კულტურულმა საზოგადოებამ ხევსურეთში გაგზავნა ექსპედიცია, რომელშიაც შედიოდნენ; საზოგადოებრივი-აგრონომი, ექიმი-ქალი და კულტურული დარგის ხელმძღვანელი.

ამავე საზოგადოებამ ხელშეკრულობა დასდო მოსკოვის „კინოფილმ"-ის არტელთან, რათა მან საქართველოს მთიელების ცხოვრებიდან (თუში, ფშაველი, ხევსური, მთიული, გუდამაყრელი, მოხევე,

*) ახიელაში სკოლა ჯერჯერობით მოთავსებულია კერძო ბინაში, შეიძლება ახიელის საყდრის შენობის გადაკეთებაც სკოლად, ვინაიდან ადგილობრივ ეს საკითხი უკვე მომწიფებულია.

ოლი, რაჭველი, სვანი და სხვა) კინოფილმები გადაიღოს, სურათში მოცემული უნდა იყოს ამ მთიელთა ეკონომიური ცხოვრება და ადათ-ჩვეულებანი, საბჭოთა მშენებლობა.

ეს სურათები „კინოფილმ"-მამ უკვე გადაიღო. თუმც, სამწუხაროდ დღემდის შეძენილი მასალა არ არის სათანადოთ გამოყენებული.

ამის გარდა მთიელთა საზოგადოებამ 1929 წელს მოაწყო მთის რაიონებში, უმთავრესად კომკავშირელებისაგან შედგენილი კულტურული ლაშქრობა, რომელიც ივლისის 9-ს გაემგზავრა ხევსურეთისაკენ მთიელთა საზოგადოების კულტურული ნაწილის მდივნის ამხ. ნიკ. ხეთაგურის ხელმძღვანელობით. თან წაიმძღვარეს საჭირო ლიტერატურა, მოძრავი რადიო და სხვანი. მათს დროშაზე ქართულად და რუსულად ეწერა: „Оковы, цепи невежеств гор разрушим культпоходом".

მათ თან ახლდა ცნობილი მოხეტიალე სახალხო მუსიკოსი ილიკო ქურხული, რომელმაც თან წაიღო სტვირი და „სკრიპკა".

ამ მოგზაურობაში მონაწილეობას იღებდა მთიელთა საზოგადოების წევრი და საქართველოს სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ქალი ნინო ღუდუშაური, რომელსაც დავალებული ჰქონდა დაეხატნა მთიელთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი სურათები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს შესამჩნევი ხდება ხევსურების ლტოლვა კულტურული ცენტრისაკენ.

ხევსურეთიდან ცენტრში ჩამოსული დელეგაციები ხშირად ერთსადაიმავე საკითხებს იმეორებენ: აგვიშენეთ სკოლები, გზები, საავადმყოფოები, კოოპერატივები და სხვა. ამ მომართვებს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს სათანადო ორგანოების მხრივ კონკრეტიული ზომების მიღებით.

ხევსურმა უკვე ალღო აუღო, შეიგნო საბჭოთა სახელმწიფოს რაობა, იგი გრძნობს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს თავს დააღწევს საუკუნოებრივ ჭირვარამს, სისხლის აღებას და ყოველივე იმას, რაც ხანგრძლივ მანძილზე ამყოფებდა მას მიყრუებულ ღრეებში და საშუალებას უსპობდა თავი დაეღწია პირველყოფილი მდგომარეობისა და უვიცობისათვის.

ხევსურს სწყურიან განათლება, მასში გარდატეხა მომხდარია, ის ტოვებს ძველ ადათებს. იმუდარება მივსცეთ მას გზა, აუგოთ სკოლები, გაუწიოთ სამკურნალო დახმარება.

მოზარდი ახალგაზრდობა ჩამოვიყვანოდ ქალაქად, აღვზარდოთ და ჩავაბათ საბჭოთა აღმშენებლობაში—წარმოებაში.

ხევსურმა უკვე საკმაოდ შეიგნო, რომ სრულუფლებიან საბჭოთა მოქალაქისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა, რაც მისცემს მას საშუალებას შეცვალოს ძველი მე-XII საუკუნის ბარბაროსული ადათები, ჩვეულებები ახალი ცხოვრებით, ჩაებას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიაში, ბუმბერაზულ სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ის მუდამ ამბობს: „ჩვენი მთა უდიდესი მადანია, როგორც ნივთიერი ისე სულიერი საუნჯისა“. ამას მოვლა უნდა და პატრონობა, და რომ შესძლოს ამ სიმდიდრის პატრონობა, არაა საკმარისი სალიკლდეები, თოფ-იარაღი, ჩაჩქანი, ფარხმალი, საცერული და ხანჯალი.

მან უნდა ისწავლოს და ჩაებას წარმოებაში, აღმშენებლობაში.

მან უკვე გაიგო, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მძლავრად ფართოვდება და ხევსურეთს უახლოვდება, საჭიროა სწრაფი მზადება. ამ მხრივ დიდი გარდატეხა მოახდინა ფსიქოლოგიაზე ყაზბეგის ანდეზიტმა.

თუ რაფიელ ერისთავმა თავის ლექსში „სამშობლო ხევსურისა“ ხევსური მიაჯაჭვა სალი-კლდეებს, ხევსურეთის შავ-მთებს თავისი ჩაჩქნით, აბჯარ-ჯაჭვით, ფარხმლით, კლასობრივი თვალსაზრისით დღეს საბჭოთა ხელისუფლების ხანაში, ხევსურმაც იგრძნო თავისუფლება, განათლების აუცილებელი საჭიროება და დაიწყო ლტოლვა სწავლისაკენ.

დღეს იგი გვეუბნება, რომ: „არ გავცვლი საწერ კალამსა, ხანჯალზე, შვილდისარზედა. არ გავსცვლი განათლებასა, ჩაჩქან-აბჯარზე-ფარზედა“... მან უკვე შეიგნო, რომ ბანდიტები ქარუმიძეები, ჩოლოყაშვილები თვალებს უხვევდნენ ხევსურეთის მშრომელ მასებს, მიჰყავდათ დაღუპვის გზით.

დღეს ნათლად ჩანს ხევსურისათვის, რომ იგინი იყვნენ ხალხის მტერნი — პროვოკატორები და ბურჟუაზიის მიერ შესყიდული აგენტები. ხალხი მათ იგონებს დიდი ზიზღით და აღშფოთებით; საბჭოთა ხელისუფლების მიმართ კი გამოსთქვას: „საბჭოთა ხელისუფლება არ გაიცვლების სხვაზედა, თავისუფლება მონობას მირჩევნის ორსავ თვალზედა, პროლეტარების სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“.

ჩვენ ღირსშესანიშნავად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ქვემოთ, როგორც ლექსი რაფიელ ერისთავისა „სამშობლო ხევსურისა“, — ისე მეორე ლექსი სანდრო ყამარაულისა (მიბაძვა „სამშობლო ხევსურისა“) (საბჭოთა სამშობლო ხევსურისა) და ალექსანდრე გომიაშვილის „მთების გაზაფხული“ პოემიდან: „ხევსურები ქალაქს შემოვიდნენ“.

რაფ. ერისთავი

საშშობლო ხევსურისა

სადაც ვშობილვარ, გავზდილვარ, და მისროლია ისარი.
სად მამა-პაპა მეგულის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ,—ჩემი სამშობლო ის არის.
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარით ვადმოჰქუხს ბროლიწყლიანი.
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
ბარად რომ ვიყვე ლაღადა, სული მთისაკენ იხარის,
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის,
იქ მიჯობს შავი სიკვდილი. ბარში სიცოცხლეც იმწარის!..
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,
სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!

 სანდრო ყამარაული

სამშობლო ხევსურისა

(მიბაძვა)

სადაც აღმზარდეს, მასწავლეს, გადამავიწყეს ისარი,
დავტოვე მღვდელი, ხატები, სამრეკლოს კარის ფიცარი,
ფარხმალი წიგნათ შევცვალე, ჩემი სამშობლო ის არი.
არ გავცვლი საწერ-კალამსა, ხანჯალზე, შკილდისარზედა,
არ გავცვლი განათლებასა, ჩაჩქან-აბჯარზე, ფარზედა.
მე რაად მინდა შავი კლდე, თოვლიან ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქერით გადმოჰქუხს ბროლიწყლიანი,
თუ გვეგონება ბუნება, დეკიან-ეშმაკიანი,
და არ იქნების დიაციც, თანასწორ-უფლებიანი.
არ გავცვლი საწერ-კალამსა, ხანჯალზე, შკილდისარზედა,
არ გავცვლი განათლებასა, ჩაჩქან-აბჯარზე, ფარზედა.
ყველა ჩაგრული სიბნელით, დღეს სწავლისაკენ იხარის,
გაცვდა დროება ქაჯების, ხატის მსახურის, მკითხავის.
ძველსა მოგონებაზე, ახალი მეტად მიხარის.
არ გავცვლი საწერ-კალამსა, ხანჯალზე, შვილდისარზედა,
არ გავცვლი განათლებასა, ჩაჩქან-აბჯარზე, ფარზედა.
ძველად თავს ადგა ხევსურსა, მჭამელი უთვალავია,
მღვდელ-დეკანოზნი მაცდურნი, პრისტავი-მოურავია,
ჩაკვროდენ სალსა კლდეებსა, საქმე ეჭირათ ავია,
განდევნა რევოლიუციამ, დღე დააყენა შავია.
არ გავცვლი საწერ-კალამსა, ხანჯალზე შვილდისარზედა,
არ გავცვლი განათლებასა, ჩაჩქან-აბჯარზე, ფარზედა.
საბჭოთა ხელისუფლება, არ გაიცვლების სხვაზედა,
თავისუფლება მონობის, მირჩევნის ორსავ თვალზედა.
პროლეტარების სამშობლო ერთია ქვეყანაზედა.
არ გავცვლი საწერ-კალამსა, ხანჯალზე, შვილდისარზედა,
არ გავცვლი განათლებასა, ჩაჩქან-აბჯარზე, ფარზედა.

ალექსანდრე გომიაშვილი

მთების გაზაფხული

პოემიდან: „ხევსურები ქალაქს შემოვიდნენ“

...ყინული ლღვება. გაზაფხულის ელვა-მეხივით
მთების ქიმიდან ლანქერები დაიძრენ ხევში.
ხევმა წალეკა გაითალმან გზების გრეხილი,
გაითალმანი მყინვარების თოვლის მხარეში.
თოვლის მხარეში, სად მიწყერის ვნახე დინება,
სად ორბი ბუდობს და ჩხრიალებს ბროლი წყლიანი.
სადაც არწივმა კლანჭის ფასმა ისევ ინება—
ისევ აულზე — ნაპრალების ქვიშის წკრიალით.
ხვივის ხევა და გაზაფხულმა გაჟონა მიწა
და ჟრიამული განახლებულ მთა-გორებს მისდევს!..
ნალმი და ნალმი! ამონალის ნალმით დაიძრა
კავკასიონი ინდუსტრიის ქალაქებისკენ!..
ყინული ლღვება. და ბალახი მაინც არ არი,
სადაც მწვერვალებს მთიელების ცხვარი ჭფარავდა,
მყინვარს გაჭკრია ინდუსტრიის ცეცხლის დალალი
და ხევი ხვივის კლდიდან დაკრულ ნიაგარადა.
და, სადაც მთებში მდინარენი იბადებიან,
სად, კალმახები, კალმახები ამტვრევენ ყინულს; —
იქ ვაჟკაცები ქვის ქალაქის ნალმზე დგებიან
და მოანგრევენ ჟამთა სვლაში კლდეებს დარკინულს!..
ილვიძებს მთები. ხალხი დგება ჯურღმულებიდან.
(არის ჭიდილი... და ლანქერის თეთრი მდინარე)
ილვიძებს მთები. ინდუსტრიის ნალმის ხმებიან
გაჭრილა კლდე და — გზები მიდის ანდეზიტამდე.
კამოცვლილია მყინვარები. და ერთმანეთი
მთებმა იხილენ ჩანქერების ბროლის კურცხალით.
გამოცვლილია ქვენამთა და მთა — თრიალეთი
და ფშავის ჭალა, სად შრიალებს რძიანი ცხვარი.
გამოცვლილია... კლდეზე დადგმულ რკინის ბაგირით
დგება სვანეთი და სვანების სხვა ჟრიამული,
სადღაა თეთნულდ, დარღვიული კოშკების გმირი,
სადღაა შენი „ლილეო“ და ხმა ჭიანურის...
გამოცვლილია საკეცითი, გერგეტი, არარა —
ენტუზიაზმით დარკინულ რომ ჰკივიან დღენი.

ვარდება ნალმი — ხმა წკრიალებს კლდეების ნაშალ
და ახალ არშას აშენებენ მოხევეები!..
ილვიძებს მთები. ხალხი დგება ჯურღმულებიდან
და ლანქერივით მოამტვრევენ კლდეების ფენას.
ილვიძებს მთები... და იმდენი ქოხის ხმებია
რამდენჯერ მთიდან კლდეს მეწყერი დაეჯახება...
რამდენჯერ მთიდან კლდეებს დაჰკრავს ნიაგარი ფრთას —
ილევა, ჰქრება უკანასკნელ ბინდი ღამისა; —
არის მთების სვლა, სად ქალაქის ცეცხლი დაინთა,
სად გუგუნია ხევისა და ნიალვარისა.
ციხეებიდან, კოშკებიდან, ჩარდახებიდან —
სხვა ჟრიამული განახლებულ მთა-გორებს მისდევს...
და მთები იგი — ქვათა ხევის ნალმის ხმებიან,
მთები მიიწევს ინდუსტრიის ქალაქებისკენ!..
— მთიელო ძმებო, ჭიუხში თუ ცეცხლი მოსულა —
დახშულ კარიდან გამოსწიეთ ურდულებს ხელი.
გამოდი — სადაც მზე ცხოველი კლდეებს მოსცურავს,
სად ზრიალებენ, ხანძარივით საჯიხვეები...
ეგმარა შატილო! ეგ ტიალი „ლოდინი“... „ძილი“...
შუღლი-მტრობა და ფრანგულის ელვა ტრიალი.
გადასჭერი შენც ცროლის მაღალს ნისლის მანძილი,
ნისლის მანძილი, — ქვის ქალაქის ინდუსტრიალით!
დახშულ კარიდან გამოსწიეთ ურდულებს ხელი —
კოშკებს, ჩარდახებს გადახსენით სახურავები...
— „მეტი სინათლე“! — ქალაქის ხმაზე ჰკვნესის ბოსელი.
— „მეტი სინათლე“! — შესტირიან დედას ბალღები.
— „მეტი სინათლე“! — ესიტყვება შატილს, გერგეტი.
— „ძეტი სინათლე“! — თოკზე ჰკვნესის გურიაში ძილა.
— „ძეტი სინათლე“! — მთა მოითხოვს — „სინათლე მეტი“!
— „მეტი სინათლე“! — ხმები ნოაქვს ნალმების ზრიალს...
— „მეტი სინათლე“! — კლდეებს დაჰკრავს ნიაგარი ფრთას —
ილევა, ჰქრება უკანასკნელ ბინდი ღამისა; —
არის მთების სვლა, სად ქალაქის ცეცხლი დაინთა,
სად გუგუნია ხევისა და ნიალვარისა.
ციხეებიდან, კოშკებიდან, ჩარდახებიდან —
სხვა ჟრიამული განახლებულ მთა-გორებს მისდევს...
და მთები იგი — ხევის ნალმის ხმებიან,
მთები მიიწევს ინდუსტრიის ქალაქებისკენ!...

მისი მოთხოვნა კანონიერად სამართლიანია, ეს მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული უნდა იქნეს უპირველეს ჯერში, დაუყოვნებლივ.

ეჭვს გარეშეა, რომ მუშურ-გლეხური სახელმწიფო მთლიანად შეასრულებს ხევსურეთის მოთხოვნილებას.

ხევსურეთის მიმართ მძლავრად იზრდება საზოგადოებრივი ინტერესი და ეს უეჭველი თავდებია იქისი, რომ მომავალში უფრო წარმატებით წავა ჩამორჩენილი ხევსურეთის ჩაბმა კულტურულ ცხოვრებაში.

კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხევსური ჰგმობს ძველ ადათებს, სიბნელეს, ხატს, მკითხავს, მღვდელს-დეკანოზს. მას სურვილი აქვს სწავლისა, აღმშენებლობაში ჩაბმისა, მოითხოვს დახმარებას.

თ ა ვ ი X

ე ქ ს პ ე დ ი ც ი ი ს დ ღ ი უ რ ი

ხევსურეთში მოგზაურობის დროს მიზანშეწონილად დავინახე მიღებული შთაბეჭდილებების შეტანა დღიურში და ზედმეტი არ იქნება თუ ამ დღიურსაც აქ მთლიანად მოვათავსებთ.

მართალია, ფშავ-ხევსურეთი ბევრჯელ ყოფილა კვლევა-ძიების საგნად, მაგრამ ჩვენი საბჭოთა ფედერაციის ეს კუთხეები ჯერ კიდევ გამოცახას წარმოადგენენ ჩვენთვის. გარეშე ქვეყნიერებისაგან მიუვალი კლდე-ღრეებით მოწყვეტილნი, ეს კუთხეები შეტისმეტად ბევრს სიძნელეებს შეიცავენ კულტურის დასახერგად. ამის გარდა ამ კუთხეების მოსახლეობა (ფშავები და ხევსურები) უკიდურესად უნდო და ჭკვიანი ხალხია და ყოველს ახალ ნაბიჯს ერთგვარი აკვიატებული აზრით უცქერიან.

ჩვენმა პატარა ექსპედიციამ კარგად იცოდა ყველა ეს სიძნელენი და მუდამ მხედველობაში გვქონდა ეს. ჩვენი მოგზაურობის მიზნად დავისახეთ ფშავ-ხევსურეთის მინერალური წყლების კვლევა-ძიება, ზნე-ჩვეულების შესწავლა, სახალხო განათლების მდგომარეობის გაცნობას, სამკურნალო საქმის, გზათა-მშენებლობის, ხელისუფლების ორგანოების მოკავშირეობას, სოფლების შორის საფოსტო კავშირგაბმულობის საქმე და სხვა.

დუშეთში ოთვედით, ეს არის ამ კუთხის სარაიონო ცენტრი. იმავე დღეს საღამოს $8^1/_2$ საათზე ვესტუმრეთ რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეს და მისგან საჭირო ცნობები მივიღეთ.

მეორე დღეს დავიქირავეთ ცხენები, ვიყიდეთ ათიოდე დღის სამყოფი საგზალი (ჩაი-შაქარი, პური), ძოველა ვარაკეთ ფოტოგრაფ **როინიშვილს**, დავითანხმეთ ჩვენთან წამოსულიყო, შევიძინეთ ჩუსტები, (რადგანაც მთებზე ბატინკებით სიარული ძალიან ძნელია) და ყოველივე საჭირო წვრილმანის თადარიგი დავიჭირეთ. ერთი დღე აქ მზადებად წაიღო.

ღამე კოკისპირული წვიმა მოდიოდა, რამაც ძალიან შეგვაფიქრიანა, რადგანაც მთებში წვიმიანი ამინდი სახიფათოა მთის ბილიკებზე სასიარულოდ მერე ისიც მთამსვლელობის შეუჩვეველი ხალხისათვის

სექტემბრის 16-ს, დილით ცხრის ნახევარზე გაუდექით გზას ჟინვალისაკენ. ჟინვალისაკენ კარგი გზატკეცილი ძიდის, მასზე ავტომობილიც კი შეიძლება მოკზაურობა. ჟინვალში დილის თორმეტის ნახევარზე ძივალ ყიეთ. იქ ალმასკომის ბიხის ფინ (ალმასკომი და ეტილი იყო) დაგვიხვდა 5 კაცი და 1 დედაკაცი. იმათგან შევიტყეთ, რომ ალ. ასკოიის თავმჯდომარე ორი დღეა რაც დუშეთში ყასულა და ალარ დაბრუნებულა. ამ გარემეობაძ ხვლი შეკვიშალა დაგვეთვალიეოებინა ალ ასკომთან არსებული საფოსტო სააგენტო, რომლის გამგედაც ალმასკომის თავმჯდომარე იყო.

ჟინვალთან ფშავისა და მთიულეთის არაგვი ერთი მეორეს ერთვის.

ოციოდე წუთით დავისვენეთ და შემდეგ მაღაროსაკენ გავეშურეხით. მაღარო ჟინვალიდან 18 კილომეტრით არი დაშორებული. სოფ. თვალიამდე გზა საკაოდ რიგიანი იყო, იმის ზევით კი ისეთი ადგილებიც შეგვხვდა, სადაც ეხოლოდ ცხენით შეიძლება გავლა.

1929 წელს ალმასკომმა გზის მშენებლობა ჩაატარა. მიწის სამუშაო უკვე მოეთავეიინათ ხიდამდე, ოომელიც მაღაროს კარის 3 ვერსის აქეთ მდებარეობს. საჭირო იყო მხოლოდ კლდეების აფეთქება. მაზრის ალმასკომის თავმჯდომარის სიტყვით, ცენტრა უკვე გადადებული ჰქონდა საამისოდ საჭირო ასაფეთქებელი მასალები, მაგრამ მაზრას ჯერ არ მიუღია.

საღამოს 5 საათზე მაღაროს კარში ვიყავით, პატარა სოფელია, სულ 15 კომლისაგან შედგება და მთელი მცხოვრებლების რიცხვი 77 ადამიახს უდრის. აქ არსებობს თემის ალმასკომი, სკოლა და კოოპერატივი, რომელიც 17 სოფელს ემსახურება. სკოლაში მეცადინეობა უკვე არ იყო.

ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს სკოლა უპატრონოდაა მიტოვებული, რადგანაც ნახევაოსფეროების რუკა თაგვებს დაეხრათ.

სამკურნალო პუხქტის ბინა საკმაოდ რიგიანია, 4 ოთახისაგან შესდგება, მაგრამ არავითარი ინვინტარი არ მოეპოვება. ფერშალმა განაცხადა წაილები საკმაოდ გვეშოვებაო, თუმცა ხინა სრულებით არ ალმოაჩნდათ.

ამბულატორიაში დღეში საშუალოდ 15 ავადმყოფი მაინც დადის. მომეტებულად გვხვდება: მალარია, ჭლექი, (ჭლექს ხელს უწყობს გაციება და რიგიანი კვების უქონლობა). ყელის ჩამოსვლის შემთხვევები ყარა ყოფილა. ხშირია დაჭრა. მოსახლეობა ამბულატორიას ხალისიანად ეტანება. თუმცა სამკურნალო პუნქტს ბებია-ქალი

(ალეუშერკა) ჰყავს, მაგრამ მშობიარეთა „ბოსელში“ გაძევება მაინც გრძელდება.

ალმასკომთან არსებული საფოსტო სააგენტო უმოქმედოა: მთელი რაიონისათვის 36 ცალი გაზეთია გამოწერილი. კორესპონდენტია მალაროსკარიდან უკანფშავამდე წერილების დამტარებელს დააქვს, იგივე დამტარებელი ატარებს ფოსტას უკანფშავშიაც. რადგანაც ეს მანძილი ძალიან დიდია და ერთი ვერ ასწრებს, ამისათვის მეორე დამტარებელიც დაუქირავებიათ. დეკემბერიდან მიმოსვლა მთელი წლის გახმავლობაში გახუნყვერლივ გრძელდება. ალმასკომის თავმჯდომარის სიტყვით, სოფ. ჩარგალში, ხობში და შაორეკში სასკოლო შენობები მოიპოვება, მაგრამ მასწავლებლები არა ჰყავთ. ალმასკომის თავმჯდომარემ გვთხოვა, გვიშუამდგომლეთ მასწავლებლები დაგვინიშნოთ.

ენკენისთვის 17-ს დილის 11 საათზე მალაროსკარიდან ბარისახოსაკენ გავემართენით. აქედან უკვე გზა იცვლება, უფრო მთელი სავალი ხდება ცხენით. გზა შესდევს ფშავის არაგვის ნაპირებს. ნაშუადღევის 1-ლ საათზე ჩარგალის ანუ ვაჟა-ფშაველას წყაროს

სურ. 35. ვაჟა-ფშაველას წყარო.

მივალწიეთ. ათიოდე ფშავი კაცი თუ ქალი დაგვხდა. ისინი აქ სამკურნალოდ ჩამოსულიყვნენ.

გამოკვლევამ გამოარკვია, რომ ეს წყარო მშვენიერი თვისებისაა, მაში საკმაოდ ურევია რკინა და ნაწილობრივ ოადი. დღისა და ღამეში იძლევა 377 ვედრო წყალს. ამ წყაროსთან გადავიღეთ იქ ძყოვ სამკურნალოდ მოსულებთან ერთად სურათი.

ცოტა დავნაყრდით და ჩარგალის ხეობას შევყეთ ვაჟა ფშაველის სახლის დასათვალიერებლად.

ვაჟას სახლი ჩარგალის-წყლის ნაპირად სდგას, ფშავის არაგვიდან 6 კილომეტრის მოშორებით. სულ 2 ოთახია პატარა ფანჯრებით, სახლის ერთი კედელი უკვე ინგრევა. ამ სახლში ამჟამად ცხოვრობს ვაჟა-ფშაველის მეორე ცოლი და როგორც სახლის მდგომარეობიდან ჩანს ეტყობა დიდს გაჭირვებაში იმყოფება. სახლის დათვალიერება შიგნით ვერ მოხერხდა, რადგანაც დაკეტილი იყო, რადგანაც ვაჟას მეუღლე სოფ. ხობში წასულიყო თავის ქალთან, რომელიც ფშაველზე ჰყოლია გათხოვილი.

ეს ცხობები გადმოგვცა მისმა მეზობელმა ქალმა კატომ.

როგორც ეტყობა, აქ, სახლის გვერდით ბაღჩა ყოფილა, ეხლა კი მოუვლელია და მიგდებულია, მარტო ერთი ბარი ვაშლი, ერთი მსხალი, ერთიც იჭნავი (ზეყვავილია) შენახულა.

ვაჟას სახლის 2 სურათი გადავიღეთ და გზას გავუდექით.

ორი საათის შემდეგ მივალწიეთ აქეთ მხარეს განთქმულ **პეტრეს დუქანს**, სადაც ღამის გასათ ვად ჩამოვხვდით.

დუქრისაკენ მიმავალი გზა ძალიან ძნელი სავალი აღმოჩნდა, დაგვიღამდა, ცხენებს ძივანდეთ თავი, ძაგრად საკმარისი იყო ერთი წაებორძიკნა, რომ უფსკრულში ჩავლუპულიყავით.

პეტრეს დუქანი ერთადერთი დუქანია მიელს ამ რაიონში, სადაც ყველაფერი იშოვება მარილიდან დაწყებული ღვინომდე.

პეტრეს დიდი ვაჭრობა აქვს გაჩაღებული, ფშაველებისაგან იღებს მატყლს და აძლევს ნავთს, მარილს და სხვა საქონელს.

აქვე, დუქნის გვერდით მოწყობილ ბაქანზე სწარმოებს ცხვრის პარსვა და მატყლის ხაპარსი პირდაპირ პეტრეს უვარდება ხელში, რა თქმა უნდა ჩალის ფასად. ერთი სიტყვით პეტრეს უნივერსალური წარმოება აქვს.

ჩვენ იქ ერთ გლეხებს სხვადასხვა თემაზე გავესაუბრეთ: სხვათა შორის სიტყვა ჩამოუგდეთ „ბოსელი"-სა და „წაწლობის" შესახებ. ჩვენს მოსაუბრეებს ზოგს ასეთი ადათი დასაგმობად არ

მიაჩნიათ, ზოგი კი ურიგობად სთვლის, მაგრამ მისი უარყოფა შეუძლებლად მიაჩნია.

ერთმა გლეხმა ასეთი შედარება ძოგვიყვანა: „წაწლობა“ ჩვენში იგივეა, რაც თქვენს ქალაქში უცხო ქალთან ხელგაყრით სეირნობა“-ო.

ვესაუბრეთ გზების გაყვანის საჭიროებაზე, კულტურის გავრცელებაზე, სკოლების დაარსებაზე და სხვა.

ყოველივე ეს იძათაც სწადიათ, მაგრამ დღემდე სერიოზულად არ ძოჰკიდებიან ამ საქმეს.

ერკენის თვის 18-ს სიცხამ დილით მე და ქიმიკოსი კუპციხი გუდარახის მხარეს გავემართენით ცხენებით, სადაც აღმოვაჩინეთ ორი მოზრდილი წყაროა (იხ. სურ. № 37), ერთ ჩარგალის წყალს მოგვაგონებს, მეორე კი გოგირდის წყალია. იქიდან დაბრუნებას ზე დეგ, პეტრეს დუქნიდან ბარისახოსა ენ გავემგზავ-ენით. ნეტ-როდით, რადგანაც ვიწრო ბილიკები დაიწყო.

სურ. 37.

ნაშუადღის 1-ლ საათზე ორწყალს მივაღწიეთ იმ ადგილს, სადაც არაკვი ოოად იყოფა—ფშავისა და ხევსურეთის არაგვად. ამ ადგილიდ.ნ ხეობები მიდის ფშავეთისა და ხევსურეთი-

საკენ. და აქ ისეთი ვიწრო მიდამოა, თითქოს ხევსურეთის კარიბჭეს წარმოადგენს.

ამის ზემოდ გზა თანდათან უარესდებოდა. ბიფათის ასაცილებლად ხან ცხენდაცხენ მივდიოდით არაგვის პირად, ხან დავ ვ ით-დებოდით. გზამი, დაბარგული ცხენი კინაღამ ფრიალში არ გადა-გვივარდა. საბედნიეროდ ჩვენთან ძყოფმა მილიციონერმა დროზე შეასწრო თვალი და ხელი სტაცა.

ორწყალში შევხვდით ხევსურებს და ფშაველებს და საუბარი გაუბით. ფშაველებმა რემოგვჩივლეს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სწორედ არ არის გაწერილიო. ჩვენ რჩევა-დარიგება მივეცით, სად უნდა მიემართათ, რომ ეს საკითხი ხელახლა გადასინჯულიყო.

სამის ნახევარზე ბარისახოში შევედით. ეს სოფელი გაშენებულია ბარისახოს-მთის ფერდობზე და სულ 30 კომლი მოსახლეობს.

ჩვენ ჩამოვხვდით იმ მეხობაში, რომელიც ეკლესიიდან სკოლად გადაუკეთებიათ. თურმე, ეს სკოლა სრული ორი წელიწადია მთლად გამოყრუებულია, კარ-ფანჯრები წაღებ-წამოღებულია. მაგრამ ეს შენობა რომ შეკეთდეს რაიმე დაწესებულებისათვის გამოდგებოდა.

ბარისახოში არსებობს თემის აღმასკომი, თემის აღმასკომის თავმჯდომარე კი ბარისახოდან 6 კილომეტრის მოშორებით ცხოვრობს, სოფ. მოწმოში.

აქ არ არსებობდა არც სკოლა, არც სამკურნალო პუნქტი, არც კოოპერატივი, არც აღმასკომის საცდივნო, თუმცა ბარისახო თემის ცენტრად ითვლებოდა.

სკოლაში დავბინავდით და მაშინვე ჩაის მოდუღებას შეუდექით, ძალიან მოგვშივნოდა. აქ ხევსურებისაგან ვერაფერი ყიდვა ვერ მოვახერხეთ. ძლივს-ძლიობით ვიშოვნეთ ცხენებისთვის ქერი ფუთი 2 მანეთად და რძე. თითო ღვინის ჭიქა რძეში ორი შაური მოგვთხოვეს, ბოლოს დიდი მოლაპარაკების შემდეგ, ბორჯომის ბოთლი რძე ათ შაურად დაგვითმეს. თივის ყიდვა კი არასგზით არ მოხერხდა.

ხევსურები ძალიან ცოდნისმოყვარე ხალხია, ნიჭიერი და სკოლასაც დიდათ ეტანებიან. ამავე დროს ისინი ჯერ იყვენ ძველებურ ადათ-ჩვეულებას მისდევენ და ისევ ძველებურად იცვამენ. შალი ამოქარგული პერანგით, ძველებური დაშნითა და ფარით, სადაც უნდა მიდიოდეს ხევსური მთელი თავისი აქაო იარაღით შეჭურვილი.

ბარისახოში მოვაწყვეთ საფოსტო სააგენტო, ვიქირავეთ წერილების დამტარებელი, დავაარსეთ საქართველოს ძველთა კულტუ-

ოული საზოგადოების განყოფილ ბა, გავხსენით ჭოხ-საჩკითხვილო და სექტემბრის 19-ს დილის 11 საათზე ლიკოკისაკენ დავიძარით.

ლიკოკი მთელს რაიონს ეწოდება, როგელშიაც შედის 7 სოფელი, თითოეულ ამ სოფლისაგახს იქ მოსახლე ხევსუოთა საგვარეულოს სახელი ეწოდება.

ლიკოკისაკენ მიმავალი გზა ოფრო უარესი აღმოჩნდა. ამ გზის ორი მესაძედი მაინც ფეხით გავიარეთ. გზა ყევაა მაღალი მთის ფერდობ ა გასდევს.

ვიწრო საცალფეხო ბილიკებით გვჭირდებოდა გავლა უფსკრულის პირად და ეს ბილიკი 6 კილომეტრის მანძილზე მაინც იყო გადაჭიმული.

თავქვე დავეშვით მთის ფერდობის ძირზე, ოციოდე წუთს ქარი ამოვიღეთ, მუხლი შევასვენეთ და ისევ შევუდექით იმავე დაკლაკნილ ბილიკს.

ბოლოს, როგორც იყო, გადავლახეთ ეს მთა, და გადაღმა სილიან ხეობაში მივაგენით სელტურის წყალს, თუმცა მცირე დებეტით.

გზა და გზა კიდევ ორ წყაროს წავაწყდით: ერთი მცირე-წყლიანი იყო, მეორე კი ძოზრდილი. ეს წყაროები დიდი რაოდენობით შეიცავს მარილებს, სოდას და რკინის მჟავას. ადგილობრივი გლეხები ამ წყლით ზილავენ პურის ცოცს და მშვენიერი ხარისხის პური გამოდის, ალბად, იმიტომ, რომ წყალში ბევრი სოდა ურევია. ამ წყაროს „ხაპურე-ვეძა"-ს უწოდებენ.

იქ მყოფმა ხევსურმა გვიამბეს, რომ დღეს სამრევლოში ერთი ახალგაზრდა ქალი გადაიცვალაო.

ლიკოკის რაიონის სოფ. ჩალის-სოფელში მარილიანი წყალი (ვეძა?) აღმოჩნდა. ქიმიკოსის გამოკვლევით, ასეთი წყაროა მიელს საქართველოში არ ძოიპოვება. ეს წყაროა ჩალის სოფელთან გამოჩუჩუხებს ფერდობის ძირას. მისი გამოკვლევის შემდეგ სოფ. ხახმატიხაკენ გავემართეხით.

ამ სოფელში მისასვლელად ლიკოკის ქედი გვქონდა გადასავლელი. ეს ქედი ძალიან ძაღალია, მაგრამ გზა (ოტად თუ ბევრად, რიგიანი იყო. აქ მთის შუა წელამდე (ხენდა(ხენ ავედით, იქის ზევით კი ფეხით მოგვიხდა სიარული. გზაში ადგილობრივი ხევსურები შემოგვეყარნენ, მოგვიახლოვდნენ. ერთმა არაყი შეგვთავაზა, ხოგიერთმა ჩვენთაგანმა დალიეს არაყი, რომ მასპინძელს საწყენად არ დარჩენოდა. მთის ბილიკი ძიხვეულ-მოხვევულათ მისდევს. მთის თავზე ორი სოფელია გაშენებული. ნათესობაზე ემჩნევა, რომ აქ მიწა საკმაოდ ხოყიერი უნდა იყოს. ჩვენთან ახლოს მოვიდა პატარა გოგო-

ნა „მზექალა“, ღვრინჭილები ვაჩუქეთ (დუშეთიდან გვქონდა წამოღებული). სიხარულით ცას დაეწია. ხაშუადღევის 4 საათი იქნებოდა, როდესაც ლიკოკის ქედს ქედოზე ძოვექეცით. აქედან ისეთი საოცნებო სანახაობა გადაგვეშალა თვალწინ, რომ მისი მშვენიერების აღწერა ძალიან მეძნელება. მზე ჩაიწვერა. ქედის გადავლია შეძლეგ თავქვე უნდა დავშვებულიყავით სოფლისაკენ. დაღამართი საკმაოდ შეღავათიანი იყო და საღამოს 7 საათზე სოფ. ხახმატს დავაღწიეთ.

ღამე გავათიეთ სახლის ბანაზე, ჩაოდახის ქვეშ. ხევსურები სახლის ამ ხაწილს „კალო“-ს უწოდებენ, რადგანაც ამ ბახახე ლეწავენ ქერს.

სახლის პატრონმა ფარდაგი გამოგვიტანა, იმაზე დავიფინეთ ნაბდები და მოსვერებას მივეცით თავი. აქ მოვახერხეთ ცხენებისათვის ქერისა და თივის ყიდვა. ღა ე რიგიახად გ.მოვიძინე ი. დილით გარს შემოგვეხვევნენ ქალები და ბავშვები ბავშვებს ღვრიხჭილოები და ჰატარა საოკ ები დავურიგეთ, რითაც დიდათ გაიხარეს. ხევსურები სარკეს „მაჭვრიტინა“-ს უწოდებენ.

ქერის ძოიყიდველმა მანდილოსანმა, ფუთი თავდაპირველად მანეთ ნახევარი დ.გვიფასა, მერე კი მილიციონერისაგან შეეტყო რომ ბარისახოში ორ მახეთად ვიყიდეთ და ამანაც ორი მანეთი მოგვთხოვა და მემოგვეკამათა კიდეც. როდესაც წყაროსკენ მივდიოდით, მის გამოსაკვლევად, ეს მანდილოსანი კიდევ შე ოგვხდა გზაზე. გაველაპარაკეთ და, სხვათა შორის სკოლაზე და სწავლახე ჩაძოვაგდეთ სიტყვა. ეს მანდილოსანი ისე ძოიხიბლა ჩვენი რიგიანი და გულითადი დამოკიდებულ ბით, რომ, რაგორც ზეძოდაც მოვიხსეხიგ, წინად დება მომცა, ოღონ აქ დარჩი, ჩემს ბავშვებს ასწავლე რამე და ყოველდღე კარაქით, ყველით და რძით გაგიმასპინძლდებიო.

ხახმატში ფოტოგრაფიით გადავიღეთ ხევსურების ერთი ჯგუფი (იხ. სურ. 37.)

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სოფლის მცხოვრები, ნამეტნავად ბავშვები, გვეხვეწებოდნენ წიგნები გვაჩუქეთო, ცხადია, რომ ᲫᲐᲗᲨᲘ დიდი ხალისი და წყურვილია სწავლისა, ᲫᲐᲒᲠᲐᲛ სკოლები იქ არ გააჩნიათ. მწუხარებით აღბობ ენენ, როᲫ ბარისახოს და დათვისის მასწავლებლებმა სკოლებს თავი მიანებენ და წავიდნენო.

2. სექტემბეოს ხახ ატი დავტოვეთ და ღულისაკენ გავემ ზავრენით. ღ ლი ბაცალიგის ცენტრია და ხახმატიდან 10 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. გზაში, სოფ. ბისოსთან 2 წყარო გამოვიკვლიეთ, ღულის უღელტეხილის ფერდობზე კი 1 მოზრდილი ნაადი. აქედანვე ანალიზის მოსახდენად ორნაირი თიხა წამოვიღეთ.

სურ. 38. ფშავის ხეობა, საახმეტელო მასალის გადაზიდვა ხევსურეთში.

გზაში, რომ არ შემოგვღამებოდა და ღულის ქედი დროზე გადაგვესერა, წყაროს გადოკვლევის შემდეგ დავიძარით გაკლაკნილ ფერდობზე და საღამოს 5 საათზე ღულოში ვიყავით, რომელიც მთაზედვეა გაშენებული. ამ სოფელში ...ულ 16 კომლი ...ოვრობს.

ჩვენ ჩამოვეხეტით აღმასკომის თავმჯდომარესთან, ისევ კალო-ბანზე. უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურები როგორც ხახმატში ისე ღულოშიაც ეჭვიანი და მიუნდობელი ხალხია. ყველა ახლად მოსულს უცხო ადამიანად სთვლიან, სახამ ახლოს არ გაეცნობიან. როგორც ყველა სხვა ადგილებში, ისე ვერც ღულოში ვიშოვეთ რაიმე ცხენების საკვებად სასყიდი. ცხელი ლუკმა ხომ რაოდენიმე დღეა ჩვენს პირში არ ჩასულა. ცხვრის ყიდვა გვიხდოდა, მაგრამ 15 მანეთი დაგვიფასეს, ამის გამო ამ სიამოვნებაზე ხელი ავიღეთ.

გუშინდელს აქეთ ამინდი იცვლება და შეგვაფიქრიანა. თუ გაგვიავდარდა მძიმე გადასავალი გვექნება ართოტამდე ისიც კლდოვან მთებზე. იმ ღამეს ისევ გამოშუქსა, ვარსკვლავები აციმციმდა, დილით კი, როდესაც ჩვენ გამოგველვიძა, უცბად წვრილად სცოიდა. მეოდგომის წვიმა და სოფ. როშკის თავზე ადილ ...ალ მთებზე თოვლის თხელი ფენა დასდებოდა. ამ გარემოებამ საგონებელში ჩაგვაგდო და იძულებელი გაგვხადა ჩვენი მოგზაურობის გეზი შეგვეცვალნა.

გახზრახული გვქონდა სოფ. ბლოს გადაგვევლო და ართოტში გადავსულიყავით, მაგრამ გაავდრების გამო გადავწყვიტეთ გუდამაყრის უფილტეხილი გადაგვესერა, ფასანაურში გადავსულიყავით, იქიდან ყაზბეგში და მერე ართოტში.

ღულოში ძოვაწყვეთ საფოსტო სააგენტო, დავიქირავეთ ორი ფოსტის დამტარებელი, გავხსენით ქოხ-სამკითხველო და 22 სექტემბეროს ხევსუოეთის არაგვის მოსადევარით გუდამაყრის ...ილტეხილისაკენ ავიღეთ გეზი. გზა თავდაპირველად ხეობას შესდევდა, მერმე კი მთის აღმართს შევდექით ვიწრო საცალფეხო ბილიკით. აქ კინაღამ დაუვირთული ცხენი არ დაგვიგორსა, მაგრამ მილიციონერმა დროზე უშველა და საანალიზოდ წამოღებული მინერალური წყლის ნიმუშებით სავსე ბოთლები დამსხვრევას გადაგვარჩინა. უკანახსაკენ ძიმავალ გზაზე, ამ სოფლამდე $3^1/_2$ კილომეტრის მანძილზე, ულრახ ტყეში მივაეკით დიდათ სახელგანთქმულ და ხევსურების სათაყვანო (ხატს) „ფუძის-ანგელოზის“ სამლოცველოს

15 აგვისტოს აქ ხატობაში თავს იყრიან არა მარტო ადგილობრივი ხევსურები, არამედ შორეული სოფლებიდანაც. ...ია ...ოსვლა. აქ ...ოდიან აგრეთვე ...ოუშები, ფშავები და ...თიულებიც. ფუძის ანგე-

სურ. 39. ს. ხახმატი. ჯგუფი ხევსურეთისა — ექსპედიციის მონაწილეთა. მარჯვნიდან პირველი დედაკაცი თამარა ალუდაური

ლოზს სამღთოდ „საკლავს" (ცხვარს ან ბოჩოლას) დაუკლავენ, და საწირავად ვერცხლის ნივთებს მიართმევენ. საძლოკველოს მახლობლად ჩაუმწკრივებულია რაძდენიმე ირმის რქა და მავთულზე ასხმული პატარა ზარები. ზარები იმდენია, რომ დაუვლაც ვერ შეეძელით, ამის გარდა ათიოდე საშუალო ზომის ზარიც ურევია. ეს პატარა

სურ. 41. ყამარაული (ხეკსური).

ზარები სამლთოდ შეთქმულ ცხოველებს ყელზე ექნებოდათ შებმული დაკვლის დროს, საშუალო ზარები კი, ალბად, შეწირულებაა. იქვე მახლობლად გამართულია 2 ლუდის სახდელი. ლლეობა ხშირად ბოლოვდება ჩხუბით, აყალ-მაყალით, ცემა-ტყეპით, ზოგჯერ კი მკვლელობითაც.

იქაურობა ყველაფერი კარგად დავათვალიერეთ, ფოტოგრაფიულად გადავიღეთ და სოფ. **უანახოხაკენ** გავწიეთ. ამ სოფლიდან იწყება გუდამაყრის უღელტეხილის ფხიტის გადასავალი. ცხენებს ვაჭამეთ და ნაშუადღევის ორის ხახევარზე ალმართებს შევუდექით, მაგრამ სანამ ქედს მივალწევდით, ამოვარდა ქარბუქი და თოვლ-ჭყაპი წამოგვიშიხა. მთლად გაზუხზლულები ფეხით მივდიოდით. მთის ქედს მივალწიეთ, მაგრამ საშინელი ქარიშხალი გვიტაცებდა და გვაკოტრიალებდა. გავცდით ხევსურეთის სოფელს **ბაკურხევს** და საღამოს 6 საათზე, როგორც იყო გადალმა თავქვე დავეშვით და შე-

სურ. 42. ხევსურების ბავშვების ჯგუფი ხვოისო-ჭინჭარაულის მეთაურობით, რომელნიც ხევსურეთიდან ფეხით ჩამოვიდენ ტფილისში სასწავლებელში შესასვლელად.

სურ. 40. ხევსურეთის ვუნდი.

ვიცოდეთ გუდამაყრის პირველ სოფლამდე მაინც შეგვეხწია. იქ მიგვიყვანა გუდამაყრელმა ივანე ჩოხელმა. ჩვენი მასპინძელი ისეთი გულუხვი აღმოჩნდა, რომ თიკანიც კი დაგვიკლა, რასაც გასაუთრებელის სიამოვნებით შევექეცით. იქვე დახატულებულნი ვიყავით ცხელ საჭმელს, რომ თიკანი ხახარშსაც კი სიამოვნებით ვჭრუპავდით.

აქ გავათენეთ ღამე ისევ ბან-კალოზე. მეორე დღეს, სისხამ დილითვე დავეშვით გუდამაყრის ხეობით ფაასახ ურიაკეს და დილის თორმეტის ნახევარზე უკვე იქ ვიყავით. აქედან დუშეთში გავაბრუნეთ ცხენები და ჩვენი მხლებელი მილიციონერები. ჩვენ კი ხამუადღევის 2 საათზე საფოსტო ავტომობილით ყაზბეგისაკენ გავეშურეთ.

ყაზბეგში მივლისთანავე, იმავე დღეს შევუდექით არხოტმი გამგზავრების სამზადისს, ცხენები ვიქირავეთ, და მეორე დღე დილით გავემგზავრეთ. თან გვახლდა აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და ერთი მილიციონერი.

არხოტისაკენ მიმავალი გზა ხეობას შესდევს, გაივლის სოფ. სნოს ახაცეხს, კარგუჩას და მერე დაქანებული მთის ფერდობით სოფ. ჯუთაში შეგიყვანთ. ჯუთის აღმართი 5 კილომეტრი ძალიან იქხება.

ჯუთაში ძილიციონერი სოფლის წარმომადგენელმა აკია არაბულმა შესცვალა, რომელსაც არხოტამდე უნდა გავეცილებინეთ, მაგრამ გზაში ხევ ურები შემოეყარნენ, არაყი ჩაღლინა, ცოტა მანძილზე გაგვაცილა, მაგრამ ცხენიდან გადმოვაოდა ხოამში და ისევ უკანვე გამოვაბრუნეთ.

ჯუთიდან ჯერ ხეობას შევ ეთ, მერმე მთის კალთობებს და, ბოლოს, როგორც იყო ჯუთის გადასავალს მივაღ იეთ. გადასავალისაკენ მიმავალი საცალფეხო ბილიკი ციცაბო შეღმართ შესდევს, მაგრამ ბილიკი ეთა რომ ავ ლეთ, გადასვლისაკენ გზა დაღმ დაეშო. საწორედ საღამოს 5 საათზე მივაღწიეთ მწვერვალს. ეს მწვეროვალი 3383 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან. აქ ან საოცხოვო სანახაობა გადიშალა ჩვენს წინაშე ყოვლ ძხოვ: ჩვენს თვალწინ გადაჭიმულიყო გარუწყვეტელი მთის გოეხილები და ბეორები, იქ კი ძიოს ძთის ბსკეოზე შოსჩახდა ორმდენიმე უდნობი ყინულები, საიდანაც მოწანწკარებდა ნაკადები. ეს იყო არხოტის წყალის სათავეები.

მთის ქედზე შევისვეხეთ და თავ დაღმართზე დავ შვით. დაღმართის ნაკლებ ოთი საათი მოვახდენეთ. მთის კალთობები ჯერ მეტად ფრიალად იყო ჩამოლესილი, მერე კი ცოტა დამსეცად მისდივდა. აღმართ-დაღმართები ფეხით ვიარეთ მთელ 5 საათს და ძალიან მოვიქანცენით. ამასთანავე სიბნელემაც გვისწრო და გზის გაგრძელე-

ბა სახიფათო იყო, სადმე ღრანტე ხევხუვებში გადავიჩეხებოდით. ამის გამო გადავ ყვიტეთ იქვე, მთის ფობეში გაგვეთია ღამე.

სუ ხიახი ღამე იყო. ცხენები საძოვარზე ძიუშვით, საჩხებში და ნაბდებში გავ ეხვიეთ და თავი მივდეთ, მაგრამ სიცივისაგან გავი თოშენ ით. სისხამ დილითკე წამოვხტით ზეზე და არხოტისაკენ გავეშურეთ.

ამ მთის ბილიკებზე ხან ფეხით ვიარეთ, ხან ცხენებით და ორი საათის მგზავრობის შეიდგომ თვალი მოვკარით კვირი-წმინდის სად რაჯო ომკს. გულში ნათელი ჩაგვიდგა, ჯერ ერთი იმისათვის, რომ არც ერთმა ჩვენთაგანმა გზა არ იცოდა, მეორეც, ასეთი მძიმე მგზავრობა ჯ მოგვ ეხრდა.

არხოტში ასეთი სადარაჯო კოშკი ორი ყოფილა. ადგილობრივი ხევსურების გადმოცემით ეს კოშკები ვახტანგ მეფის დროს არის აგებული.

არხოტში მხოლოდ ხევსურები ცხოვრობენ. ამ რაიონში სულ 39 კომლია. არხოტელები თავდაპირველად უნდობლად შეგვხვდნენ, მაგრამ როდესაც ჩვენი მისვლის მიზანი შეიტყეს უფრო იეტ ს ნდობით მოგვეკიდნენ.

ერთადერთი კულტურული ადამიანი არხოტში გახლავთ აღმასკომის მდივანი, ხევსური თომა ბალიაური. იმან გულთბილად მ გვიღო, მუდამ თან გვახლდა და გვიზიარებდა ადგილობრივ ზნეჩვეულებებსა და ა ადათ ს.

ამ ს ოფ ლ ი ჩვენ გავხსენით ფოსტის სააგენტო, დაუქირავეთ წერილების დ მტარებელი, მოვაწყვეთ საქარ თვ ლოს თიეტ თა კულტურული საზოგადოების განყოფილება და ოხ-სამკითხველო, რომელსაც დ ვუტოვეთ მთელი დარჩენილი ლიტერატურა.

არაო ელეაი უმეტეს ნა ილად ოფლის მეურნეობას ძისდევენ; მოჰ ავთ ქერი და კართოფილი; უმთავრესად კი ძათ ი ხელობა მისაქოხლეობაა. აქაური ძოხა პატარაა, ცო ია საკვ ბს მო ოთ ვს, დღეში 1½-დე ვედრო რძეს იწველის, რომლის ცხიმოვ ბაც 6% უდრის. ამის გამო ქ ძოხის შეხახვა სახეირო საქმეა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურეთში ძალიან გავრცელებულია ლოთობა. ეს ძაადილ ასნებ ი უფრო ძ ოხის მოყვარე ბას იჩ ნენ, ვიდრე მაჭა ა ბ. ხევსურის ქალი, ოჯახური საქმის გარდა მინ ვრის სამუშაოსაც უძღვ ა: ქერსაც ის ძ ა, კართოფილსაც ის ი ღებს, საქონელ ა ც ის უვლის და სხვა.

ა ოხოტში ერთი დღე და ღამე გავატარეთ. მეორე დღეს კი, სექ ტ ემბრის 25-ს, უკან ვიბრუნეთ პი ი. დილით აგვიდუღეს წყალი,

ჩაი გიახელით და თოფა ბალიაურის თანხლებით, იმავე გზით ყაზბეგში დავბრუნდით.

დაბრუნების დროს გზაში უხიფათოდ მაინც ვერ გადავრჩით. ჩვენი პატიკეტული ქიმიკოსი ცხენიან ხრამში გადაგვივარდა, მაგრამ, საბედნიეროდ ღრმა ხრამი არ იყო და მხოლოდ გულის ფეთებით გადარჩა.

საღამოს 7 საათზე ყაზბეგს მოვაღწიეთ, ცხენების ქირა გავისტუმრეთ და მეორე დღეს 27 სექტემბერს ტფილისისაკენ ვიბრუნეთ პირი.

მეტი ყურადღება მთას და მის შემოქმედებას

პროფ. აკ. შანიძე: „ქართული ხალხური პოეზია", ტ. I, ხევსურული. სახელგამი 1931 წ.

ჩვენი მთა, როგორც თავის გეოგრაფიულ მდგომარეობით, ისე ბუნებრივ სიმდიდრით ჯერჯერობით ნაკლებად არის შესწავლილი და გამოკვლეული; რაც შეეხება მთის ხალხის ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულების, მათი წარსულის და აწმყოს შესწავლას ამ დარგშიაც, სამწუხაროდ, ცოტა რამ არის გაკეთებული.

ჩვენი მწერლები, მკვლევარები, მეცნიერები ძალიან იშვიათად მიმართავენ ხოლმე მთას მის შესწავლის მიზნით.

განსაკუთრებით მდიდარია მთა (თუშ-ფშავ—ხევსურ—მთიულეთი და ხევი) ხალხური პოეზიის ნიმუშებით და ეს ხალხური შემოქმედება, თანდათანობით იკარგება, იბნევა, დავიწყებას ეძლევა. ჩვენი ინტელიგენცია (მცირეოდენის გამოკლებით) არამც თუ არ იცნობს მთის ხალხის ზნე-ჩვეულებას, ყოფა-ცხოვრებას და შრომა-შემოქმედებას, ძალიან ხშირად ვერც-კი არჩევს ერთმანეთისაგან ხევსურს ფშაველისაგან, მთიულს გუდამაყრელისაგან და სხვა. მან არ იცის უბრალო გეოგრაფიული მდებარეობაც კი ამ კუთხეებისა იმ დროს, როდესაც უცხოელებს დაქსელილი აქვს ჩვენი მთები და არა მარტო მთის გეოგრაფიული მდებარეობა აქვთ შესწავლილი, არამდ შესწავლილი აქვთ მთის ხალხის ზნეჩვეულებანი და მათი კულტურაც.

მთა თავის გეოგრაფიულ პირობების გამო საუკუნოებით კარჩაკეტილ ნატურალურ მეურნეობას ეწეოდა და ზოგიერთ კუთხეებში ახლაც ეწევა ამ კარჩაკეტილობას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მნიშვნელოვანი გარდატეხა ეჩინევა: მთა დაიძრა და მიისწრაფის კულტურისაკენ, სოციალისტურ აღმშენებლობისაკენ; მთის ახალგაზრდობა მასიურად სტოვებს მთას, ძველ ადათებს და

ხნე-ჩვეულებებს, ითვისებს ახალ სოციალისტურ იდეებს და ამრიგად თავისთავად იშლება კვალი ძველი ხალხური ზეპირსიტყვაობისაც.

საბჭოთა ხელისუფლების სინამდვილეში, როდესაც მთელი ყურადღება ჩამორჩენილ მთის მოსახლეობისაკენ არის მიპყრობილი, როდესაც საუკუნეებით დაჩაგრულ, როგორც ისტორიით, ისე ბუნებით, მთის ხალხის ბუნებრივ ნიჭს და მის შემოქმედებას ფართე გასაქანი ეძლევა, სწორედ ასეთ დროს, ჩვენი ინტელიგენცია, მოწინავე ახალგაზრდობა, მწერლები და მეცნიერები თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ამ მდიდარ მასალას, რომლის შესწავლა ყოველმხრივ საჭიროა და სასურველი.

პროფ. **აკ. შანიძის** წიგნი **„ხალხური პოეზია“** (ხევსურული) ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. იგი ძვირფასი განძია არა მარტო როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, არამედ ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

ამ წიგნში, რომელიც გარეგან შეხედულებით უკვე იზიდავს მკითხველს, ჩვენ თვალწინ სრულიად ახალი, ჩვენთვის თითქო უცხო ქვეყანა არის წარმოდგენილი, თავისი ზნე-ჩვეულებით, გმირული სულით, თავისებური სიყვარულით და მსოფლმხედველობით. კითხულობ და გიკვირს ენის სიმდიდრე და მოქნილობა, ლექსთა დახვეწილობა და მრავალსახეობა.

ამ წიგნს სიამოვნებით გადაიკითხავს როგორც წერაკითხვის მცოდნე მთიელი, რომელიც მშობლიურ ხშირად გაგონილ და ფანდურზე დამღერებულ ლექსს ან თქმულებას წიგნში შეხვდება, ისე მოსწავლე ახალგაზრდა და მეცნიერი—ლინგვისტი.

ჩვენი მწერლები და სახელმძღვანელოების ავტორები, ხშირად სასაცილო და უბადრუკ თერმინებს ქმნიან ამა თუ იმ ცნების ქართულ გამოთქმისათვის, ჩვენ ქრესტომატიებში ძალიან ხშირად ხალხური პოეზიის ნიმუშებად ტფილისურ შაირებს და ადგილობრივ შეთითხნულ საარშიყო ლექსებს ათავსებენ იმ დროს, როდესაც ჩვენი მთის ხალხური პოეზია მდიდარია, როგორც საგმირო და მითიური ეპოსით, ისე ლირიკით.

საჭიროდ და სასურველად მიგვაჩნია, რომ ჩვენი სახელმძღვანელოების ავტორებმა ფართედ ისარგებლონ **აკ. შანიძის** წიგნით და სახელმძღვანელოებში შეიტანონ ხალხური პოეზიის ნიმუშები, რომლებიც ადვილად გასაგები იქნება, როგორც მთიელ, ისე ბარის ახალგაზრდობისათვის.

პროფ. შანიძემ პირველმა გადადგა გარკვეული ნაბიჯი და თავი მოუყარა დაფანტულ ხალხურ შემოქმედებას, რის შედეგად

მივიღეთ უკვე დაბეჭდილი „ხალხური პოეზიის“ პირველი ტომი. როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს წიგნი მხოლოდ პირველი ტომია (ხევსურული); ამას მოჰყვება ფშაური, მთიულურ-გუდამაყ-ული, ოხეურიოთუშური და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დანარჩენი ტომებიც ისეთივე განძი იქნება მწერლობისათვის, როგორც პირველი ტომია.

პროფ. **შანიძეს,** არ დაუზოგავს არც დრო, არც შრომა და ენერგია, რომ ეს წიგნი ყოველმხრივ უნაკლო ყოფილიყო და ეს შესძლო კიდეც, მაგრამ ერთ პირს, როგორიც არ უნდა იყოს ის, არ ძალუძს ასეთ საზოგადოებრივი მნიშვნელოვანი შრომის სასურველად დაბოლოება. უკეთუ, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ყველა კულტურული ძალები, როგორც მთისა, ისე ბარისა, ან დაეხმარებიან პროფესორს ამ დიდ საქმეში.

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ რამდენიმე ჩვენის აზრით წვრილმანი ნაკლი, რომელიც წიგნში გვხდება.

1. ძალიან ნაკლებია წიგნში მითიურ ეპოსის ნიმუშები.

2. სასურველი იყო წიგნის ბოლოში მოეთავსებია მოკლე ლექსიკონი ხევსურულ და ფშაურ სიტყვებისა, რომლებიც ძნელად გასაგები იქნებიან არა მთიელ მკითხველთათვის; დარწმუნებული ვართ ეს ნაკლი შემდეგ ტომებში გამოსწორდება.

3. არ იქნება ზედმეტი, ჩვენის აზრით, შეტანილი ყოფილიყო წიგნში ხალხური (ხევსურ-მთიულური) ანდაზები, გამოცანები და ზღაპრები, რომლებიც უხვად არის გაბნეული მთაში. განსაკუთრებით ხევსურეთში.

4. წიგნში ალაგ-ალაგ გვხდება ხევსურულ ლექსებში მოხეური გამოთქმები ან და მოხეურში — ხევსურული; ეს არც არის საკვირველი, რადგან ყველა ეს კუთხეები, მოწყვეტილნი ბარის ცხოვრებას, ერთმანეთთან ეკონომიურად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი და თქმა არ უნდა ეკონომიურმა ურთიერთობამ ერთგვარი გავლენა იქონია ამ კუთხეების კილოებზე.

აღნიშნული მითითებანი იმდენად უმნიშვნელოა, რომ სრულებით არ უკარგავს წიგნს თავის ღირსებას და სრულ იმედს გამოვთქვავთ, რომ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დაინტერესებული პირები ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ და საშუალებას მისცემენ პრ. **შანიძეს** თავის შესანიშნავ შრომის დასამთავრებლად.

91
Ч 241

2-50